ქართული მწერლობა

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

6

ივნისი

2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მიწიშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ნინო ყულოშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

ზაურ გერგედავა. ლექსები 5
გიორგი ზანგური. ლექსები 9

მხატვრული პროზა

ნინო სადღობელაშვილი. ორი ნოველა 12

დებიუტი

ბექა არაშიძე. რვა 18

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

ნანა ფიფია. სასახლის სახსოვარი (აკაკი წერეთლის მოგზაურობა სამეგრელოში) 22
გიორგი გოგოლაშვილი. ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე, ანუ მასალები ბიოგრაფიული ნარკვევისათვის 26
ემზარ კვიტაიშვილი. ორი მუზის მსახური 34

ნობელიანტი

როჟე მარტენ დიუ გარი. სიტყვა, წარმოთქმული სტოკჰოლმის რატუშაში,1937 წლის 10 დეკემბერს, ნობელის პრემიის გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე 44

ახალი თარგმანები

გეორგ ბიუხნერი. ლენცი
47 გერმანულიდან თარგმნა **ზურაბ აბაშიძემ**

უკვდავი სახელები

58 **თამაზ ჯოლოგუა.** შეთქმული ქალები (მანანა ორბელიანი)

შტრიხები პორტრეტისათვის

62 **დიტო კიკვაძე.** უჩვეულოდ მომხიბლავი

მწერალი მწერალზე

65 **ჯემალ მეხრიშვილი.** ჯადოსნური ბილიკები

თეატრი

თამარ კიკნაველიძე. რეზა სერვატის
72 „მაკბეტი“ საქართველოში (ნაწილი I)

კონტაქტები

77 **გვანცა ჯობავა.** ასტრიდ ლინდგრენის სამშობლოში

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ



ᲖᲐᲣᲠ ᲒᲔᲠᲒᲔᲓᲐᲕᲐ

ᲐᲠ ᲬᲐᲛᲘᲙᲘᲗᲮᲝ, ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ

ვცოდე უფალო და შეგვიწყალენ, –
მხოლოდ შენთან და შენში ვარ წრფელი, წმინდა, უტეხი;
ეს ნასიზმრალიც რომ არ გამეთქვა, ვერ შევიძელი:

1
... ელტონ ჯონივით ბუნჩულა კაცი ფხანდა ცოლისდის
ნაყვავილარ მკერდს;

2
ანჩხლობდა დილა გაუპარსავი, იეჭვიანა ალბათ მიმწუხრზე;

3
რა ესაქმება მფეთქავ კვირტებთან მინერალურ ჯაზს, პიკასოს „მუმუნს“, ან თავის ქალას მოცარტის ძაღლის?..

4
იგულისყურე:
უკრავს შიბაქზე უბნის გიჟი და, ლამაზი კახპა
მკვრივ თეძოების ჟინიან რხევით
წერს ნეტარების იეროგლიფებს.

5
აქ – ხატებიც კი ტირიან ღამით;
ედემურია ეს ჯოჯოხეთი, როცა სიბერის ჭრიალებს ჭერი,
და უმეცრების
გვირგვინს უსხლტები.

6
მე გამოვუტყდი ჩაქვირითებულ კალმახს, სიმუნჯევ,
– რომ სუნი აგვდის
სისხლის ყივილზე დაბურძგნულ ქვების;

7
და ძალიან გვხოვ, ნუ მითვალთვალებ, ნუ მიწრუპუნებ
გაშიშვლებულ სულს,
უთვალავზე მეტ ციცინათლებით არიალებულს რომ
ვერწყმი უკუნს.

8
აის სიზმარი რომ არ ამიხდეს, ვურტყამ სამნახად
სანთლის არაყს, და
წარმოსახულ კოცონს ზემოდან დავტრიალებ
ჩემს გვამს მიგდებულს.



9
არ წამიკითხო! ვაშინერს! შენთვის, არ შეტოპო და
არ შეაშფოთო
ნაოცნებარის წმინდა ცხედრები...

10
არ წამიკითხო! გემუდარები...
იდექ! იყუჩე! – სანამ სიჩუმე არ შემოგიღრენს, და არ აუვა
კამკამა კვამლი,
ბავშვობის ტბორში ჩანამზერსა და,
ჩანარცისებულ მესაიდუმლეს.

გულუბრყვილოთა, უმეცართა და რუსეთუმეთა
გამოსალოცი ანუ ვაშინერს!

მესიზმრება თუ ხდება... არ მახსოვს:
ცარიელ აკვანს არწევდა ბებო.
„ვაშინერს, ნანა, ქეშქოკირა დო უკული დოკვანწე
სქან დუც,
გოლუაფირო“.
ბები, ბები! ქორექო? – აღმომხდა უცებ...
„ამარ ვორექ, სქუა, გოდაჩხირუქ დო ძუძუს გარზენქინ,
ვაგინაფლენქო?..“
თქვა და შეერწყა უჩუმათო ბნელს. გადმოვაენო?
უსიტყვა-სიტყვად ეს – იგივეა, რაც რომ იყო და არა იყო რა:
ღიობში მთხლე და ძარღვებში – ღვინო.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს სული მისი და შენ კი,
ნუ უშიშვლდები ამძუვნებულ ბრბოს. მხოლოდღა სარკე
ინახავს უთქმელს, სულთა ენაზე უსისხლოდ ნაქსოვს,
და ამიტომაც იმსხვრევა უცებ, როცა აწყდება
მზერას მზაკვართა და სიტყვით მკვლელთა ჟღამიან ექოს.

სისულელის უფლება

ვარ მოციალე ზმანება ცხადში:
ხან უსხეულო, ჩუმი, უვნებო, ხანაც ავხორცი ურჩხულის ექო;
ვგრძნობ, უსათუოდ შეგიპყრობ, ჩემო გამოუთქმელო თანაზიარო,
ო, შენს ქათქათა ხელუხლებ ძუძუს ბინდისფერ კერტის
შარავანდედში კვრინჩხის
კვირტივით მფეთქავი ხალი-ხვითო-თილისმა-საბედისწერო...
არ გეამბორო?
მე შენ კოსმიერ ამბავს გიყვები, სიყვარულს გიხსნი სულთა ენაზე,
დაბადებამდე
დარხეულ ჩურჩულს ვაგრძელებ გარდაცვლის შემდგომ,
და ნათლიერის ჰარმონიაზე ბნელმეტყველების სატანჯველს ვამყნობ.
. . . . . .
უნდა გაიგო შენ ჩემი გემო,
ფეხის წვერიდან თმის ძირებამდე,
და ისე ძლიერ დამწურ-დამჟღლიმო,



ბებერი ძვლების ჭრიალ-ჭახანში
სულმა სხეული გამოარღვიოს...
გაქრეს, განქარდეს სასასწაულოდ.

ხმა სიჩუმიდან ანუ მიუსაფრობის ეპიტაფია

„რას მეტყვი ისეთს?“ – მხოლოდ გაკოცებ ტუჩებში ძლიერ,
ალუბლის გემომ
რომ დაგკრას, ისე.
„მთლად უსაფრთხო ხარ?“ ცისარტყელის რძე. „მე როგორი ვარ?“
ნახევრად ორსულ პატარძალივით ჯერაც ასატან
სიგიჟეს აფრქვევ.
„შენ?“
ველურ სიზმრების მგეშავ-მიმქსევი.

. . . . .
ახლა კი დროა, ცამდე მართლებმაც სული მოითქვან,
ამოირეკლონ
ნაიარევში ჩამქვრეული მზე.

. . . . . .
„შავკანიანი ანგელოსებიც არსებობენ?“ – ჟრუანტელისფერს
ველოდებით.
„გახსოვს? წყვდიადს რომ მივუსამძიმრეთ. უარი გვტკიცა
მკერდის აცრაზე“.
კი, კი: აიჭრა, აიგრაგნა და, იჭექა – უცებ!
და... და... შემოვეხლართე
ფერდაკარგულ ხეს.
„მე?!“
შენ შუამავლად
ენთე ჩვენს შორის, ჩემო სიჩუმევ.

ზურგს უკან დარხეული ჭორები

მოეშვი, დაიკიდე...
მაინც ვერ აქცევ ბალდახინს აკვნად, და, ვერც იმ კუზიან
მთას გაასწორებს სულშენაბერი სიჩუმის წირვა.
. . . . .
ეტყობა დედის ხსენს მეორედ ვერავის იგემებს ბაგე და,
მეძავთა ჩასაქოლ ქვა-ლოდით აღმართულ ტაძარში უფლისკენ
აღვმათოთ მზერა და ვილოცოთ, ჯობია;
რადგან: მე-მე ვარ და შენ-შენ ხარ, ცხადია, მესამეს
– სრულყოფილს,
ზურგს უკან დარხეულ ჭორების ღვართქაფში
აღსარების თქმას არც დააცლიან...
თუმცა შენ უბიწო ჩასახვის არ გჯერა, მაინც დაორსულებულხარ
ავხორცთა მზერით და ცხონებულ ბებიის ნამზითევ აზღუდში
გათქვირულ ძუძუებს ვერ ატევ, გემჟღვლევა, საცაა ტკაცანით
შემოგასკდება, და ნამარხულევ სხეულს შემოზრდილი



პერანგი ნაპერწკლებს აფრქვევს და გადნება, რაც მიგვანიშნებს, რომ ერთმანეთი კვლავ სიგიჟემდე გვიყვარდება და ჩამავალი მზის იღლიებში შეღიტინების ჟინით შეპყრობილთ მშობიარობა გვეწყება ახლა.

მინანქრის ოსტატი

რა, რა დავარქვათ რო? – გულთმისნობს – ტიხრული
მინანქრის ოსტატი;
იყოს უსახელო, (კვლავ ბოდვა-ჩურჩულით თავადვე ჩაუთქვას
უხილავს – უთქმადი);
იყოს უსახელო, აუხსნელ სიზმრების ნაჟურით შემთვრალი, –
სანამ გაუჯდება, ვაშინერს! ჭირიმე, ამღვრეულ ფსკერიდან
უტიფრად თვალთვალი
უცნაურ არსების სრულ გაშიშვლებამდე
წიაღში შეღწევის, შერწყმის და ჩასახვის
აღწერა ჭირს თორემ, ჭროკინა ფრინველთა ხმაბაძვით
მოხმობას,
რა უნდა მითხარი.
შეხე და დაბრმავდი, დაუსხლტი შენსავ ჩრდილს: იფრინე,
იფრინე,
იფრინე უდაბურ სხივადში ჩაწნეხილ ყულფამდე წყვდიადის,
და შენარცხებამდე მონიშნე იქიდან
ის ბორცვი, სადაც რომ
სუდარას გიქსოვდა არყოფნის თავადი.

ნაოცნებარის წმინდა ცხედრები

ველარ, ძვირფასო,
ნეკერჩხალზე თავს ვერ ჩამოვიხრჩობ!
ვერც შენს წაკუზულ ჩრდილ ავატყავებ გალორთხილ მიწას,
ახურუშებულ ხვლიკთა ჯინაზე;
ვიქნები ჩუმად ბუნაგში ჩემთვის, ცოლის მზითვიდან
წითელი მამლის ამოფრენამდე.
ჩვენში რომ დარჩეს, იქ მირჩევნია ვიბორიალო, თვალმიუწვდენში,
და მოლივლივე უკუნეთის ფრთებს ჩამოსხლეტილი
დაგაცხრე უცებ –
სიზმარ-ცხადს შორის გაზმორებულს, და,
ჩაგისახო: გამოუთქმელი.
ის ჩვენ ვიქნებით, და უფრო მეტიც – აღმატებულნი სექსზე,
სხეულზე,
ნაოცნებარის წმინდა ცხედრებით
მწყობრად მოკირწყლულ ქალაქ-ჯოჯოხეთს რომ გადვუშხივლოთ,
განსაცვიფრებლად მოშურნეების.
დაე თვალებში ჩაგვხედოს იმან, ვინც ნათლის ფრქვევით
ათრობს ტკივილებს,
ვისი უხილავ, უმზეო მზერით, ცერად ამომწვარ ქუთუთოებქვეშ
კამკამებს ცრემლთა მძივი, უხრწნელი,
მარადორსულთა ფარულ ციტატებით არიალებულ სიარაფრეშიც –
ლურჯი ყვავი და ჟღალი ექსცესი.

გიორგი ზანგური

ჩამტვრეული ვიტრინები

ვიტრინიდან, ვიტრინიდან
ლამაზ ქალთა ფიგურები...
ვიტრუნები, როცა ასე
დაჟინებით მიყურებენ.
თავბრუ მესხმის, როცა ამდენს
ვუმზერ ცისფერთვალებიანს,
ერთ-ერთი ხომ უნდა ჰგავდეს
მას, ვინც ადრე მყვარებია?!
ერთ-ერთს უნდა ეტყობოდეს
ტუჩზე ჩემი კოცნის კვალი,
ამას უნდა ერქვას ნინო,
ამას უნდა ერქვას ლალი.
ეს ხომ ჩემი სატრფო არის,
ამ დილით რომ გავეყარე,
ამას მგონი ერქვა მარი,
კინაღამ რომ გავიპარეთ.
ყველა როგორ მომაგონდით?!
ყველამ როგორ გამიხსენეთ?!
გახსოვთ, გულთან საკინძე რომ
ვნებიანად გამიხსენით?!
ახლა რა ვქნა? როგორ გითხრათ –
დამიბრუნდით! დამიბრუნდით!
ვხედავ ჩემი აღარ გესმით –
დამიყრუვდით? დამიყრუვდით?
გამაგონეთ თქვენი ხმა და
შემომხვიეთ ყელზე ხელი
შევიყვარე უკვე სმა და
თავს ვერაფრით ვეღარ ვშველი.
ქუჩაც დამიცარიელდა
და თქვენც გადაგაადგილეს,
ლამპიონში შუქის ჩართვით
პეპლებს თავი აატკიეს.
დილით ვიღაც გამყიდველმა
გაგაშიშვლათ ყველას თვალწინ
და სიმწრისგან მთელი ნატვრა
სიგარეტის ბოლში ჩავწვი.
საკანში ვარ, ახლა მთვრალი,
წინასწარი დაკავების,
ვიტრინები ჩამილეწავს
მანეკენებნაკავები.

* * *

მიტოვებისთვის მზად ვარ, მარტოობისთვის მზად,
შენი გულიდან გამიყვანე, შენც დაისვენებ და მეც;
ვივლი მოწყენილი სადმე, ტკივილს აღმოვაჩენ გზად
შენ რომ ჯიბეში ჩამიყარე, ღამეც მაწუხებს და დღეც.

ყველა ის სტრიქონი მაპატიე, შენ რომ მყუდროება დაგირღვია,
ჩემი შენს სიზმარში შემოჭრა და ზღაპრულ სამყაროში ხეტიალი.
რამდენჯერ გარეთ გამოვსულვარ, თავი ნიავისთვის დამიხრია,
როცა მიგრძვნია, რომ გაზაფხული შენს სურნელებაზე მეტი არი.

ერთხელ ოცნებაში გიღალატე, მაშინ ერთმანეთი არ გვიყვარდა,
ღამე მუსიკასთან ვიწექი და სისხლში სიმფონია შემეყარა;
შენი ყვავილები გამახსენდა, ხელში სიცილით რომ აგიყვავდა,
მე რომ აპრილივით მოვინდომე შენში სიყვარული შემეყვანა.

მიტოვებისთვის მზად ვარ, მარტოობისთვის მზად,
შენი გულიდან გამიყვანე, შენც დაისვენებ და მეც,
ვივლი მოწყენილი სადმე, ტკივილს აღმოვაჩენ გზად,
შენ რომ ჯიბეში ჩამიყარე, ღამეც მაწუხებს და დღეც...

* * *

შენი სუნი ყვავილების ნარევია,
შენი ვნება შეღამებამ შემოსა,
არაფერი ისე არ გამხარებია,
როგორც შენი – გაზაფხულის შემოსვლა.

შენი მზერა – შეშინებულშველიანი –
თავს ვერ შველის, ვერ გაურბის სიშორეს.
ნეტა რაა შენზე უფრო მშვენიერი,
რომ ვეძებე და ვერაფრით ვიშოვე.

ამ ღამესაც მარტოდმარტო გადავიტან
და ფერადი სიზმრით გადავაგორებ,
დილით ალერსს ამოვიღებ ნაგავიდან,
ბინძურ სულში უხალისოდ ნაგროვებს.

ფანჯარასთან ჩიტი ნისკარტს გადაიბანს,
შეიბერტყავს მზის სხივებს და გაიფრენს,
გზაზე ბავშვი მოხუცებულს გადაიყვანს
და სკოლაში დალოცვილი ჩაირბენს.

საგზლად ჩანთას ავიკიდებ ლექსებიანს,
ქუჩას ოდნავ მოღუშული შევხვდები.
გაზაფხულზე ასე წვიმას ექცევიან,
უსეირნოდ ავტობუსში შევხტები.

ვივლი დიდხანს, სანამ გული გამოშრება,
ნერვებსველი, ბიძგებშენელებული.



გზაზე ტყემლის ყვავილობა გამოჩნდება,
იმერელი ქალწულების კრებული.

და აპრილი, მათი სულის ნაცინარი,
ქუჩა სავსე ციალებით, ცირებით,
ანგელოზებს თითქოს ბროლის ნაწვიმარი
მათთვის ყელზე შეუბიათ მძივები.

ნუთუ ამ დღეს უხალისოდ გავატარებ
და სულიდან სიჭაბუკეს გავიტან?!
ამ გაზაფხულს მაშინ სულ არ დავამთავრებ
და აპრილსაც წამოვიწყებ თავიდან.

შენი სუნი ყვავილების ნარევია,
შენი ვნება შეღამებამ შემოსა,
არაფერი ისე არ გამხარებია,
როგორც შენი – გაზაფხულის შემოსვლა.

* * *

ყოველდღიურად ვეჩვევი შენს სუნს,
ახლა ძმაკაცი სუფრასთან შემსვამს
და ვიცი, სახლში უგონოდ შესულს,
ლოგინი მომთხოვს ჩურჩულით შენს ხმას.

მოვითხოვ ძილში ფართქალა შენს გულს,
მერცხლების გუნდით ავივსებ უბეს
და ვარსკვლავების პერანგით შემკულს,
მოგართმევ წვიმაგამოცლილ ღრუბელს.

კრიალა მთვარეს ვუკოცნი შენს კანს,
ღამეა ღელვის, მელნისფრად მოთოვს,
თუ ნებას დამრთავ, წავიღებ შენგან
ჩემს დატოვებულ ნეკერჩხლის ფოთოლს.

* * *

ვნებაში დამჭრეს, ოცნებაში, ნეტარებაში,
გახსნილ ჭრილობებს თოვლის ბამბით ისე ვიციებ,
რომ მოვიყინე ყველა სიტყვა მე შენს ქებაში
და ლექსში მკვდარი სტრიქონივით წამოვიწიე.

დავდივარ ახლა შენს ქუჩაზე ძახილის ნიშნად,
შენთან ცხოვრებას დავატარებ მემაწვნის მხრებით.
ჩვენი ყოველი სიახლოვე იყიდა შიშმა,
განშორებამ კი თეთრი ღამე – ლოგინის ხმები.

ის დრო დავწყევლე, ჩემამდე რომ უცხომ გიარა,
აყვავებული რომ დამიხვდა შენი კვირტები,
მე წუთი მომკლავს უშენობით, წელი კი არა
და ის, რომ ძველებურად არ მაკვირდები.

მხატვრული პროზა



ნინო სადღობელაშვილი
დაიბადა 1980 წლის 30 იანვარს, თბილისში.
1996 წელს დაამთავრა თბილისის 149-ე საჯარო სკოლა, ამავე წელს ჩააბარა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობაზე.
2002 წელს დაამთავრა ინსტიტუტი. ამავე წელს დაიწყო მუშაობა საპატრიარქოს რადიოში, ლიტერატურული რედაქციის კორესპონდენტად.
გამოცემული აქვს წიგნები: „ბამბაზიის სამოთხე“ (მოთხრობები, 2006), „შუაღამის იავნანა“ (ლექსები, 2008), „ორსული“ (რომანი, 2009).
2007 წელს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში დაიდგა მისი პიესა „ბამბაზიის სამოთხე“ (რეჟისორი გიორგი სიხარულიძე).
2009 წელს ავთო ვარსიმაშვილმა და გიორგი სიხარულიძემ გადაიღეს ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი.

ნინო სადღობელაშვილი

მათე

აღდგომას, სოფლის სასაფლაოს აღმართს რომ ავასკდებოდით ხოლმე ბავშვები და გზაშივე ვიწყებდით წითელი კვერცხების მსხვრევას, მერე საუკუნენახევრის ცაცხვის ხის ფუღუროში რომ გადავიღებდით სახელდახელო ფოტოებს, მერე სასაფლაოზე აზუზუნებულ ხალხს რომ შევერეოდით და, რომ იწყებოდა ჩვენთვის ყველაზე დიდი დღესასწაული, რაღაც გაურკვევლად ახლობელი და უსაშველოდ საყვარელი – აღდგომა სოფლის სასაფლაოზე!.. – აი მაშინ ვხედავდი ამ კაცს, მარტო მაშინ, წელიწადში ერთხელ, და ყოველთვის ერთიდაიგივე გრძნობით მეკვროდა სუნთქვა.. ჩემი ბებია-ბაბუების და იმათი მშობლების საფლავები ერთ მწკრივში იყო, ესაც – მათ ბოლოში, ყველაზე განაპირას, და რაღაცნაირად განმარტოებული, ბზის პატარა თხელი ღობით გადამიჯნული და ცალკე მყოფი.. ყველა დანარჩენთან პირდაპირ მიხვიდოდი, მიეგებებოდი, ამასთან ღობე უნდა გადაგელახა. ხანდახან ჩემი ბიძაშვილები დაიზარებდნენ კიდეც ხოლმე და ბზების ქვეშიდან შეუგორებდნენ წითელ კვერცხს, მაშინ როცა დანარჩენებისაზე, სამანს აქეთ მყოფებისაზე, კვერცხის შვინდისფერი ალი ბუჩქებად ღვიოდა.

წელიწაში ერთხელ ვხვდებოდი მას, მაგრამ არავინ ისე ძალიან არ ჩამრჩენია ხსოვნის ზარდახშაში, როგორც ის. ყველაზე ძნელბედობის დროსაც გამახსენდება ხოლმე და, წინაპრის სიმტკიცით რაღაცას მანიშნებს.

მათე.

ჩემი ბებიას უფროსი ძმა იყო. ბევრი არაფერი ვიცი მის ბავშვობაზე. ეს ყველაფერი შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინო: ალბათ ყოველთვის მაღალი ბიჭი იყო. აწოწილი მაღლები რომ არიან, ფრინველის ფიტულს რომ უგავთ ხოლმე ხერხემალი, მდინარიდან რომ გამოვლენ და უნებურად თვალს გააყოლებ, გრძელ ჩრდილზე გახედავ... მოჩხუბარიც იქნებოდა, პაპიროსსაც ადრეულად წაეტანებოდა. გოგოებისკენ ცოტა გვიან გაიხედავდა, ჯერ – დამცინავად, მერე ვნებით, მერე – შიშითაც...

ერთხელ ბებიამ გვიამბო, რომ მამამისი ჯიუტი კაცი იყო და მთავრობამ ცხრა მთას იქით გადაასახლა. ჯიუტი რომ არ ყოფილიყო და რაღაც უცნაური წერილების წერაში არ შეემჩნიათ, კი იჯდებოდა სახლში და თავის ცოლს თოთო ბავშვების მოვლაში მიეხმარებოდა. ბებია ამას ისე ყვებოდა, თან ვითომ მამას ამტყუნებდა და თან კიდე შიგ თვალებში გვიყურებდა ყველას, ბავშვებს. მაშინ მომეჩვენა, რომ თავის თავს თუ უნდოდა სადმე წაწყდომოდა... მამაც გადაუსახლეს და ოჯახიც უკუღმა წავიდა – ჯერ დედა მოუკვდათ ამ პატარებს ფილტვების ანთებით, მერე სულ უფროსი ძმა გაუყენეს მამამისის გზას... ბებიას ბუნდოვნად ახსოვდა „შავი ხალხი“, ღამით რომ მოვიდნენ და კარზე ბრახუნი ატეხეს. იმ ხალხის მთელი ცხოვრება ეშინოდა და ყველაფერს გაიღებდა, ოღონდ აღარასდროს არსად განმეორებულიყვნენ.

მერე მათეს ძლიერი მკლავებიც ახსოვდა, საღამოობით შალში რომ გაახვევდა ხოლმე პატარა და-ძმებს და ერთმანეთის მიყოლებით მუთაქებივით ჩააწყობდა საწოლში. ასე გრძელდებოდა დიდხანს და, ერთ

დღესაც, ალბათ მათემ მარტომ ვეღარ გაუძლო ქალის საქმეს და, მართალია მათ ოჯახს სოფელში ცოტცოტას ყველა ერიდებოდა, მაგრამ მაინც მოიყვანა ცოლი. ჩიტივით აჟივჟივებული გამოყვა მასზე ყურებამდე შეყვარებული პატარა გოგო სახლში. თვითონ რა იქნებოდა და, თავისზე უმცროსი რაღა უნდა ყოფილიყო, 15-16 წლის, მაგრამ დატრიალდა ეს პატარა ცოლი და დაატყო სახლს ქალის ხელი. მათემ კი ამოისუნთქა თურმე და რომ დაინახა, ისეთი აუცილებელი მისი სახლში ყოფნა აღარ იყო, დაიწყო აქეთ-იქით სიარული, ბავშვობიდან ელდანაცემი გულის გარეთ გამოტანა.. აბა, ამდენი ხანი იგუბა ჯერ მშობლების და მერე ძმის ჯავრი და, კაცი იყო ისიც!

სმა დაიწყო. კარდაკარ დადიოდა, სვამდა და თან უცნაურ სადღეგრძელოებს ამბობდა – თითქოს სოფელს მივიწყებულ უბედურებას ახსენებდა. სოფელში კიდევ, ორაზროვნება არ უყვართ. იქაური უბრალოება ამას ვერ აიტანს. თუ რამეა, პირდაპირ უნდა მიახალო, თუ არა და, გაგინაპირებენ, ისე დაგიწყებენ ყურებას, როგორც გიჟს, კეთროვანს.

მათეს პირველი ბიჭი გაუჩნდა და მამის სახელი დაარქვა. ერთხელ გზად მიმავალს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეხვედრია (მაშინ ეგრე, კოლმეურნეობებად იყო დაყოფილი ნახევარი დედამიწა). დაუწყია ამ თავმჯდომარესაც – არ მომწონს შენი საქციელიო, ვის ქონებას ფლანგავ და ანიავებ თუ იციო, ღვინო შენი რომ გამოლიე, ახლა მეზობლებს დარევიხარ და, ეგ საერთო ღვინოაო, საერთო ვენახიაო, საერთოდაც, ყველაფერი ახლა საერთო გვაქვს და მარტოკაცობა მოისპოო, დარდიც კი უნდა გაანაწილო, თუ მაინცდამაინცო. აუღია ამ მათეს თავი და, მაშინ თუ ეგრეა, ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, რაცხა ქალი მინდა, საერთო ქალი და, გამომიყვანე შენი ცოლი თუ შეიძლებაო. ამის თქმა იყო და ატყდა ერთი ამბავი, დიდი ჩხუბი და გაწევ-გამოწევა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მათემ რიყის ქვით გაუხეთქა თავი თავმჯდომარეს და ამის გამო დაიჭირეს კიდეც. სასამართლოზე თავმჯდომარე მკვდარივით გაცრეცილი იჯდა და ვერაფრით ათქმევინა მოსამართლემ, რის გამო დაიწყეს ჩხუბი. მაინც შვიდი წელი მიუსაჯეს მათეს და შვიდი არა, მაგრამ ოთხი წელი კი იყურყუტა ციხეში, მერე იქ ერთ დღეს ბუნტი ამტყდარა, მავანნი ამბობენ – მათეს სულჩადგმული იყო ის ბუნტიო, ტყე-ღრე იარეს გაქცეულმა პატიმრებმა, ვლადიკავკაზში გადავიდნენ, იქ დაიფანტნენ. მათეს გზაში ციება შეყრია – სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს თურმე. ამასობაში სადღაციდან თავისი ოჯახის ამბები გაიგო – პატარა ბიჭი მდინარეში დამხრჩვალა (მავანნი იმასაც ამბობდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბიჭთან ერთად ბანაობდაო, კლდიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გადმოსახტომად ემზადებოდა და უეცრად ფეხი ისე უცნაურად დაუსხლტა, გეგონება ვიღაცამ ზურგიდან ხელი კრა, წყლის პირზე, სიპ ქვაზე დაეცა და, მაშინ პირველად ნახა რამდენიმე ბავშვმა ქვაზე ბღუჯა ფურისულასავით გაყვავებული თეთრი ტვინი).

მათე რომ სოფელში დაბრუნდა, თან თეთრი ბილეთი მოიყოლა. საზოგადოებისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. სულ მგონია, რომ თავს იგიჟიანებდა, მაგრამ რასაც მასზე ყვებიან კია ისე გიჟის ჩადენილი. შემოირაგვა თავისი ეზო-კარი უზარმაზარი ეკლიანი ტრიფოლიატით, ღრიჭოც კი არ დაუტოვებია კარად და, ვერავინ შეაღწევდა მისი ნებართვის გარეშე, ცოლი დიდიხნის წასული იყო სახლიდან, თავისიანებმა მოაკითხეს ბავშვის ორმოცის მერე და იმის შემდეგ აღარც არაფერი გაუგიათ ამ ქალის. მათესაც აღარ მოუკითხია. ნელ-ნელა დაძმებსაც გაუნაპირდა, თავიდან კი შეეცადნენ მოევლოთ, ეპატრონათ,



დღეში ერთხელ მაინც გადავიდოდნენ ხოლმე, დადგებოდნენ ღობესთან და დაუტოვებდნენ ან საჭმელს, ან ტანსაცმელს, მაგრამ არავის იკარებდა. სულ მარტო ცხოვრობდა. ეკლიანი ღობით გამიჯნული.

სოფელში ცხოვრება ჩვეულებრივად მიდიოდა, დიდი ჩაფიქრების გარეშე. ბავშვებს მშობლები მათეს ეზოთი აშინებდნენ, პირს თუ არ გააღებ და ამ ფაფას არ შეჭამ, გადაგიყვან და დაგტოვებ იქო. კარგი შვილი იყავი და, არ დაგეფჩინა ამის მერე პირი!

მაინც ყველაზე დიდი ცნობისმოყვარეობით იმ სახლს და ეზოს აუვლ-ჩაუვლიდნენ ხოლმე ბავშვები, იმ ღობიდან გადახედვაზე ოცნებობდნენ, ათას ამბავს იგონებდნენ, ზღაპრებს.. ეზოში კაკლის ხე იდგა, ტოტები ცას სწვდებოდა და, ერთ დილას მთელი უბანი გააკვირვა იმ ტოტებზე ნანახმა: 22-23 ქათამი, დედალ-მამლიანად, ყელწაგდებულები კონწიალობდნენ და ფრთებიდან სისხლი ჯერაც წვეთავდა. მაშინ კი აბუბუნდნენ და ბევრი ბჭობის შემდეგ, დელეგაცია მიადგა მათეს სახლს, დიდიხნის ბრახაბრუხის მერე ნამძინარევი გამოიყვანეს გარეთ და დახოცილი ქათმებისთვის პასუხი მოსთხოვეს. მათემ ძალიან მშვიდად, უმშვიდესად აიხედა ზევით, მერე დელეგაციას კეთილად გაუღიმა და უთხრა: „ესენი?.. ოჰ, ვერ გოუძლეს კომუნისტებს, ვერ გოუძლეს და ჩამეიხრჩვეს თავი“.

დადიოდა ამბად. ქალაქამდე ჩავიდა. იქიდან მსტოვარი აფრინეს, მაგ მათეს ავადმყოფობის ამბები კარგად გამოიძიეთ და თუ რამე საეჭვო მოგეჩვენოთ, დავაბრუნოთ საიდანაც გამოვუშვითო. ძლივს ხალხმა ამოისუნთქა და ცხოვრობს ბედნიერად და აღარ ჭირდება ახლა წყალს ამღვრევაო.

ვერაფერი შარი მოუდეს მათეს, საკუთარი ქათმების მკვლელობისთვის კი ჯერ არ იყო დაწერილი სამსჯავრო კანონი.

იმასაც ამბობდნენ, ჩუმ-ჩუმად ვიღაცეები დადიოდნენო მასთან, ღამეობით რჩებოდნენ, და საოცარია და, ღამღამობით ამ პირქუში სახლიდან ისეთი ტკბილი ხმები გამოდიოდა, თითქოს ანგელოზების თავშეყრა იყოო.. მაინც მარტო იყო მათე, ყველას დასანახად – მარტო და გამიჯნული.

მე არ მახსოვს, ჩემს დაბადებამდე ერთი წლით ადრე მოკვდა, წავიდა მდინარეზე, საღამოსპირი იყო, მზე მთებსმიღმა დნებოდა, გაიხადა ტანსაცმელი, დააწყო ქვაზე, თვითონ შევიდა ღრმად, ძალიან ღრმად და ვეღარ გამოვიდა იქიდან. თქვეს, რომ გული გაუსკდაო. და თან რატომღაც ზუსტად იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც მისი პატარა ბიჭი დაენარცხა ლოდებს.

დაასაფლავეს განაპირას, ტრიფოლიატის ღობე საფლავზე ბზამ შეცვალა, ჩვილი სიმწვანე ეფინა დანარჩენ ქვეყნიერებამდე და იქაც მარტო იყო, შორს.

ქალაქში ჩემი მკვდრები გამიჩნდა და, აღდგომას სოფლის სასაფლაოზე საუკუნეა აღარ ავსულვარ. მათე კი ისე ცხადად მახსოვს, თითქოს მისი გაზრდილი ვიყო. ხანდახან, ყველაფრისგან რომ დავიღლები და ეს ქვეყანაც თავისი ორომტრიალით თავბრუს დამახვევს, მინდა ხოლმე შემოვიკეცო კალთები, ჩავიდგა შუაში კაკლის ხე, ტოტებით ცას რომ წვდებოდეს და, ისე ვიარო, როგორც ერთმა განაპირა ეზომ, ერთმა შემორაგვულმა სახლმა, არც აზრი მომეკითხებოდეს და არც საქციელი, მარტო სადღაც ზევიდან, ტოტების წვეროებიდან მწვეთავდეს სიცოცხლე და ეს იყოს ჩემი სათქმელი..

ხანდახან ასეთი სურვილებიც მომერევა ხოლმე.

ᲬᲐᲛᲘ – ᲐᲥᲐ, ᲬᲐᲛᲘ – ᲘᲥᲐ

– ნუ მითიშავ ტელეფონს! აღარ გამითიშო, გაიგე?.. ფუჰ შენი!..

გიჟივით დახედა მობილურის ჩამქრალ ეკრანს და თვითონ საჭეს დააფრინდა.

– ალო!.. აღარ გათიშო ტელეფონი შე წაკლა! შე ბოზო! აღარ გათიშო თორე მოგკლავ იცოდე! სულერთია ვეღარსად წამიხვალ, ეხლა შენთან მოვდივარ. ვიცი სადაც ხარ, საიდან ვიცი და ვიცი! ხუთ წუთში შენთან ვიქნები და მანდ სცენები არ მომაწყობინო გაიგე გოგო? არ ვღრიალებ, ვღრიალებ კი არა, ხელში შენი თმები რომ არ მიჭირავს და მანქანის გარედან გზაზე არ მოგაპროწიალებ, არ გიკვირს?.. მისმინე! ნუ ხარ ჩუმად!.. მისმენ? ალო!..

ისევ დახედა ეკრანს და შეიგინა. საჭეს იდაყვები დასცხო და კინაღამ მიეხალა წინ მდგომ მერსედესს. წითელი აინთო. გზის ერთი ნაპირიდან მეორეზე მშვიდად გადავიდა რამდენიმე კაცი, მათ შორის ერთი ბავშვებიანი ეტლით და ერთიც – ჯოხს დაყრდნობილი მოხუცი.

ტელეფონიდან რაღაც ხმა მოისმა. გათიშული არ იყო.

– მისმენ? ვიცი რომ მისმენ და ეხლა, ვიდრე შენთან მოვალ, დაგელაპარაკები! ყველაფერს გეტყვი, რასაც ვფიქრობ. შენზე და ჩემზე რასაც ვფიქრობ. მისმინე... მე შენი გულისთვის ჩამოვედი ამ დასაკარგავში. შენ იცი, რომ ყველა ფეხებზე მეკიდა, აღარავინ აღარ მაინტერესებდა, შენ ხო იცი რო შენი ქმარიც კი ფეხებზე დავიკიდე, აი ეგრე, დავიკიდე, ის კი არა, ერთი პირობა მისი მოკვლაც კი ვიფიქრე, მეთქი-გავთავისუფლდები... და შენგან სულ თანაგრძნობას ვგრძნობდი, გესმის? გესმის რა არის ეს – იგრძნო ქალისგან, რომელზეც ჭკუას კარგავ, – თანაგრძნობა? რატომ მაგრძნობინებდი ამას? რატომ გაგეხარდა, როცა გითხარი, რომ ბილეთი უკვე ვიშოვე და შენთან მოვდივარ-მეთქი? რატომ გაჩუმდი მაშინაც ისე, როგორც ეხლა ხარ ჩუმად? რა გინდა? ხმას რატომ არ იღებ? შენ იცი მე რა გავაკეთე? მე აქ ციხეში რომ ვიჯექი, იცი? და კინაღამ მუცლის ტიფი რომ ამკიდეს ინდოელმა პატიმრებმა? შენ იცი, რომ ეხლაც დასაჭერად დამდევენ არალეგალური საბუთებით აღმა-დაღმა წოწიალისთვის? და შენი ქმრის ბანდა რომ ცალკე დამდევს, ეგაც არაფერი? და, ერთი კვირის წინ ორი ვერზილა რომ მომიგზავნა – დავილაპარაკოთო, ეგონა გავყვებოდი? რაღა გვაქვს სალაპარაკო? ის ხო არა, ეხლა ჯობია ორივე რო გავერთიანდეთ, მეც და შენი ქმარიც, და იმ შენს ნახევრად არაბ პრინცს შენი ხელის ოფიციალურად თხოვნა გადავაფიქრებინოთ?.. თუ, ჩვენც გაგვიყვანს წილში და თითო იახტას მაინც გვაჩუქებს ხმელთაშუა ზღვაში სასრიალოდ? შენზე ლამაზ ქალებსაც ვიშოვით, ნუ გეშინია, არა ხარ ერთადერთი ამ სამყაროში, საერთოდაც არავინ არა ხარ შენ, ბოზი ხარ, ჩვეულებრივი ქართველი ბოზი, ფული გიყვარს და აუშვი აფრები, როგორც კი თავისუფლება ნახე, შემთხვევით სტრადივარიუსის ვიოლინოსაც ხომ არ შეგპირდა, სოტბის აუქციონიდან შენთვის მოვხსნიო? ეგ ერთი ოცნებაღა გქონდა და, გაიდე მერე მაგ ნათალ მკლავზე და დაუკარი ხოლმე მისთვის, იქნებ შენამდე აქტიური ხმარებისგან გადაცვეთილი ვნებები როგორმე გაუღვივო! ბოზო! როგორ გაბედე ჩემი მოტყუება!

ლამის ყურში გაუხეთქეს საყვირი. სატვირთო მანქანას ეჯახებოდა.

მექანიკურად გადაატრიალა საჭე და იგივე სიჩქარით, ოღონდ სხვა მიმართულებით გაუხვია.

– ან ეხლა როგორ ბედავ, რო ხმას არ იღებ! ტირი? არ მჯერა! რა



გინდა? რას ეძებ? ხომ გიყვარდი? ბავშვობიდან ხო მე გიყვარდი და არა შენი ქმარი? როგორც კი დამინახე, სკოლის ეზოში, გახსოვს ნაძვს რომ ეფარებოდი და ჩუმად მიყურებდი, შენს რომელიღაცა დაქალს რომ კითხე, ეს ბიჭი ვინააო, მე და შენი მომავალი ქმარი ერთად მოვდიოდით და შენ ჩემზე კითხე, ჩემზე, ჩემზე კითხე! და იმის მერე სულ ჩემზე ეკითხებოდი ყველას და, მამწარებდი როცა ჩვენს შორის ვინმეს ჩააყენებდი.. შენ გამო ვიცხოვრე, იცი, ეს ამდენი წელიწადი შენ გამო რომ ვიცხოვრე? რადგან ვიცოდი, რომ გიყვარდი, მაგრამ რაღაცის გეშინოდა... რისი გეშინოდა? მითხარი, რა გთხოვ!.. ან ეხლა რისი გეშინია?

ისევ დაუსიგნალეს. ახლა კინაღამ ფორდს წამოაჯდა. გადაუხვია.

– სანამ მოვალ, ჩაცმული დამხვდი. ჩაიცვი ჰო, მივდივართ. სამშობლოში, სხვაგან სად წავალთ. მე ყველაფერი მზად მაქვს, საბუთები, ფული, ბილეთები. სამშობლოში წავალთ. არ მოგენატრა? იქ ყველაფერი შეიცვლება და შენც ბოლოსდაბოლოს თავს დაიბრუნებ. შენ ხომ ყოველთვის ეს გინდოდა – თავი დაგებრუნებინა. გაუშვი ეგ პატარა შტერი თავი სადღაც, ცხრა მთას იქით საძოვარზე და აღარც მოიკითხე. დედა-ჩემი გველოდება. ის მთელი ცხოვრება მელოდება. და ხმა ამოიღე, რა!.. რამე მითხარი, სანამ მოვალ, მოვალ!.. მო!.. დედაა!..

ფარები ავტომატურად აინთო, თითქოს მანქანამ თვალები დააჭყიტა. მერე აციმციმდა, მკრთალად, ძალიან ნელა და, ბოლოს ჩაჭყლეტილი შუქივით ჩაქრა. წამზე დიდხანს ეს ყველაფერი არ გაგრძელებულა.

* * *

იისფერი სინათლე ედება ფარდებს. მაღალი თაროებიდან დაკონწიალებული ქოთნის ყვავილები წკრიალებენ. საღამო ლამაზი ქალივით შემოდის ოთახში და გადამდებად იღიმება.

კუთხეში ზის. ფეხები ოდნავ დაუშორებია ერთმანეთისთვის. მწვანე კაბა მოხერხებულად აქვს ჩაკეცილი, ფეხებს შორის თიხის თასი უდგას, თასში – მსხვილკბილება საცერი. თაფლისფერი წყალი ლივლივებს და კედლებზე ჩრდილის ნაკუწებს ახატავს. საცერში თეთრი, ფითქინა თეთრი მასა იკვრება. ფრთხილად ურევს ხელს და თითებით ამ მასას ზელს, კრავს, ამთლიანებს.

თითებიდან რძე გასდის და თაფლისფერ წყალს რგოლებად ედება. თბილია წყალი, თეთრი მასაც თბილია და თითებს შორის კრაჭუნობს.

ფრთხილად მოქმედებს. თან ფიქრობს. სახეზეც ეტყობა – ისვენებს. საღამოობით, ყველი როცა ამოყავს, თან ფიქრობს ხოლმე და ესაა მისი დასვენება. ერთხელაც, ახალგაზრდობაში, ფრჩხილის ლაქის გადაცლა დაავიწყდა, ასე შვინდისფრად გაზიზინებული თითებით ამოიყვანა ყველი და, მეორე კვირაში თავის ბიჭს საუზმეზე რომ დაუჭრა, ფოთოლ-ფოთოლ ამოცალეს გაფცქვნილი ლაქი, შეიზიზღა მისმა ბიჭმა ყველი და დიდი ხანი დასჭირდა, რომ მისი გემო დაებრუნებინა. მერე კი აღარასდროს დაუშვია იგივე შეცდომა. ჯერ საგულდაგულოდ დაისუფთავებდა თითებს, მერე ჩაყოფდა თასში. გასაპრანჭად მთელი დანარჩენი დღე ჰქონდა, თუმცა რა, უფრო თავისთვის იპრანჭებოდა. სოფლის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და დიდი-დიდი სამი-ოთხი კაცი შესულიყო მთელი დღის მანძილზე. ამ სამ-ოთხსაც, ან აინტერესებდა ბიბლიოთეკარი როგორ გამოიყურებოდა, ან – არა. მაგრამ თვითონ იყო ლამაზი და იცოდა თავისი სილამაზე, გავიდოდა დილით სახლიდან და ჭიშკარს რომ გადაცდებოდა, მერე იკეთებდა მძივებს და საყურეებს, ისე ქმარი უშლიდა ხოლმე. შემოვიდოდა საღამოს და, ჭიშკართანვე მოიხსნიდა. ძალიან

კი არ ეჩხუბებოდა, მაგრამ ეს აბეზარი თვისება ჰქონდა, არ უყვარდა სამკაული და, აღარც ცოლი აწყენინებდა, ზედმეტად თვალში არ ჩხერდა... რამდენჯერ ბიბლიოთეკაში ჭრიალა „კალიასკით“ თავისი პატარა ბიჭიც წაუყვანია, დაუსვამს იქ, სახლში ბავშვის დამტოვებელი როცა არავინ ჰყავდა, თვითონ დადიოდა თარო-თარო და იქექებოდა წიგნებში.

წყალს რძის ცხიმი მთელ ზედაპირზე ედება. ყველი ისეთი ჩვილია, შედედებული ცრემლი გეგონება. ვარცლის ზედაპირიდან თითის ბალიშებით გადმოაქვს ყველა ნაკუწი, ყველის პაწია ხორცი, აქა-იქა მიკრული, და ერთად აგროვებს, აგუნდავებს.

ჩამოდი ბიჭო სახლშიო, ცოტახანი დამენახე შვილოო, – ყველსაც რომ ამოიყვანდა, ხელებს დაიბანდა და, რომ მორჩებოდა საქმეს, მერეღა გააკითხავდა სხვენზე შემომჯდარ ბიჭს, ასძახოდა ქვევიდან, ზღაპრის გმირებმა რომ იციან ხოლმე, ცხრაკლიტულში გამომწყვდეულებს ქვევიდან რომ ელაპარაკებიან ყელმოღერებით... ის კი, აბა! მარტოობის გიჟი. ასეც დაარქვა მერე დედამ – მარტოობის გიჟი. მაგრამ, არ არსებობს ამქვეყნად სრულიად მარტოობა. რაღაც დიდი ძალა ამოძრავებს ყველა ადამიანს.

დატრიალდა თითებით მოზელილი წყალი და შეკრა ყველის ნაოჭი. ხელისგულზე დაიპირქვავა.

ერთხელ გიჟივით შეაღო ბიბლიოთეკის კარი მისმა ამხანაგმა, კარგმა ქალმა და კარგი შვილების დედამ, ეცა ამ თავის ამხანაგს, მხრებში დაეჯაჯგურა და ჩაჰყვიროდა გამწარებული: მიხედე შენს შვილს, ამდენი ფერებით მგონი კაცისმკვლელი გაზარდეო, თავგასულიო. რატომ ჰგონია, რომ ყველაფერი მას ეკუთვნისო, მომიკლა შვილი, ცემით მომიკლა შვილიო... ომში მაინც გაუშვი სადმე, თუ მაინცდამაინც, იქ დაიოკოს მანიაკური გრძნობებიო...

დიდ ძალას სოფელში მანიაკურ გრძნობებს ეძახდნენ. მარტოობასაც ვინ პატიობს კაცს.

ორივე ხელისგული შეუშვირა და ახალი ყველი მერცხლის ბუდესავით ზედ დაისვა. თითებიდან წყალმა გაჟონა. ბოლომდე დაწურა, დაჭყლიტა, მერე ცხვირთან მიიტანა და დაყნოსა. ღრმად დაყნოსა, ძალიან ღრმად, ცხვირი ჩაყო კიდეც ყველში და სწორედ ამ დროს მოესმა ხმა, ყველში რომ იყო ლამის მთელი სახით ჩაფლული, ამ დროს გაიგონა ნაცნობი ხმა და ფეთიანივით მოიხედა იმ მხარეს, საიდანაც მოესმა. მისი ბიჭი იდგა. კი არ იდგა, მოძრაობდა კიდეც, შემოვიდა ოთახში, გაიარ-გამოიარა და გაჩერდა მის წინ. ჯერ, დედაო, ძალიან ხმამაღლა დაუძახა, მერე ამან ასწია თავი, შვილი დაინახა, შეაფეთა მზერა, შვილმა ოთახში გაიარ-გამოიარა და დედას უცნაურად გაუღიმა.

მხოლოდ ერთი წამი გაგრძელდა ყველაფერი.

* * *

იქნებ მეტი არც არაფერი რჩება ადამიანისგან: ერთი, ერთადერთი წამი, რომელსაც, შეძლებ და წაავლებ ხელს, თუნდაც ორივე ხელი სხვა რამით გქონდეს დაკავებული და მანძილიც თქვენს შორის ისეთი დიდი იყოს, წესით, ვერ უნდა მიწვდე.

წაავლებ ხელს, ჩაბღუჯავ რაც ძალი და ღონე გაქვს და აქცევ მარგალიტად. მარგალიტის პატრონებს კი გზა ყველგან ხსნილი აქვთ – მდიდრები არიან.

დებიუტი

ბექა არაშიძე

რვა

მე ყოველთვის ვისჯებოდი იმის პირდაპირ
და მკვახედ თქმისთვის, რასაც ვფიქრობ...

პროლოგივით

უხსოვარ დროში, როდესაც ადამიანი ჯერ მხოლოდ იბადებოდა, რომელიღაც ბესტიალურმა ძალამ შვა ხუთი წყეული ძმა: სისასტიკე, ფარისევლობა, ბოღმა, ძალადობა და უგუნურება. დადგეს თუ არა ფეხი მიწაზე, ძმებმა სამისდღეშიო პროცესია დაიწყეს და სადაც კი ფეხს დაადგამდნენ, მტრედებს აფრთხობდნენ, ოქროს აშავებდნენ და საკმევლის სურნელებას საკუთარი სიმყრალით რყვნიდნენ.

და თუ სადმე მური ეყარა, ისე ედებოდა ცეცხლი, თითქოს დენთიაო... ჰაერი სიმხურვალეზე აცახცახდებოდა, მიწა გასკდებოდა და იქიდან თითქოს შორეული ხარხარი მოისმოდა ძმათა წყეული მამისა...

ილეწებოდნენ საუკუნეები...

ძმა პირველი

– არ შეიძლება ერთი შეხედვით იმსჯელო ადამიანზე, – საუბრობდა დამრიგებელი, თუმცა ბავშვები, სიმართლე რომ ვთქვათ, მისი მოსმენით დიდად თავს არ იწუხებდნენ: ზოგი ერთ კუთხეში საქმეს არჩევდა, ზოგი თვალებს აჟუჟუნებდა, ზოგი „აუცილებელ საქმეზე“ ლაპარაკობდა მობილურით, ზოგსაც უბრალოდ ფეხები შემოეწყო მაგიდაზე და ეძინა. – შეიძლება გარეგნულად ულამაზესმა ადამიანმა შეგზაროს, დახვეწილმა გულარძნილობით განგაცვიფროს, შემზარავმა კი მოგხიბლოს. იფიქრეთ ამაზე!

ამ გაკვეთილის შემდეგ, ჯავახ ბექაური, თვრამეტიოდე წლის ბიჭი, ჩაფიქრებული და ამ ფიქრით ტვინადუღებული, ნელი ნაბიჯით გამოემართა სახლისკენ. თბილისში არაბუნებრივად ცხელოდა: ასფალტს ოხშივარი ასდიოდა, ცაზე გამოკიდებული ღრუბლის ნაფლეთები მზის სიმხურვალისგან თითქმის დნებოდნენ.

ქუჩაში მოძრაობა გადატვირთულიყო: დაქოქილი მანქანები ისედაც ბინძურ ჰაერს ჭვარტლავდნენ. დიდად შემელოტებული, შეღიპიანებული მძღოლები შუბლიდან ოფლს იწმენდნენ და რატომღაც ბოლო სიტყვებით იგინებოდნენ, თან აღრენილნი აყვირებდნენ საკუთარ მანქანებს. დროგამოშვებით ბატებივით აყაყანდებოდნენ, კითხულობდნენ: „რა ჭირს ამ დედა...“, თითქოს თავადვე არ სცოდნოდათ პასუხი.

იქით ვიღაც ცხოველივით ჭამდა ხაჭაპურს. მუშტისხელა ლუკმა გადაყლაპული არ ჰქონდა, რომ მოსვრილი ტუჩებით ახალს ეტაკა, თან ნეტარებისგან თვალებს ნაბავდა და დროგამოშვებით ძლივს გასაგონად კრუტუნებდა.

ქალაქის ერთ-ერთ დიდ მოედანზე რომ გავიდა, ჯავახმა უჩვეულო სურათი დაინახა: დაკონკილი, წვერგაბურძგნული, აყროლებული, სახეანგრეული ერთი გიჟი, მთელი არსებით, ამოკვნესით შეიგინებოდა, თანაც უმისამართოდ, ყოველ წამს იფურთხებოდა, ყვიროდა – აი თქვენ, აი თქვენო, ტირილზე უარესი ხარხარით გადაიხარხარებდასავით, მუშტებს შეკრავდა, ერთს ღრმად ამოისუნთქავდა, სწრაფად მოსწყდებოდა ადგილიდან და რომელიღაცა შენობის ნაცრისფერ, ქვითა და ბეტონით ნაგებ კედელს ეჯახებოდა. შემდეგ ისევ ყველაფერს იმეორებდა.

მე, ბექა არაშიძე, დავიბადე 1992 წლის 8 აგვისტოს, ქალაქ თბილისში.
1998 წელს შევედი თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. ჭადრაკში მონიჭებული მაქვს II თანრიგი.
2008 წელს დავამთავრე თბილისის სამუსიკო კოლეჯი.
2007-2008 სასწავლო წელს, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ, 61-ე მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში „ეკოლოგიისა და გარემოს დაცვა“, დამაჯილდოვა მეორე ხარისხის დიპლომით.
2007-2008 სასწავლო წელს, კონკურში „ენა – სახლი, რომელშიც ვცხოვრობ“ დამაჯილდოვეს ნომინაციაში „ესე“ გამარჯვებისთვის.
2007-2008 სასწავლო წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარჩინებით სწავლისთვის დამაჯილდოვა კომპიუტერით.
2007-2008 სასწავლო წელს, კონკურსში „ილიას დღეები სკოლაში“ ესეს ფორმატში საუკეთესო ნამუშევრისთვის დამაჯილდოვეს II ხარისხის დიპლომით.
2009 წლის 25 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ბაქსუდის სკოლისგან გადმომეცა სერტიფიკატი

უკვე გვარიანად დაჟეჟილიყო, სახე სისხლიანი ჰქონდა, წინა კბილები ჩამომტვრეოდა, მაგრამ გაჩერებას მაინც არ აპირებდა.

– გიჟი თავისუფალია, ვერ ხედავ? ჰა-ჰა, მე ამისი... – მუხლზე ხელი დაირტყა ერთმა სიცილისგან გაწითლებულმა ქართველმა.

– უფალო, შეგვიწყალე! – წაიჩურჩულა მანდილიანმა, ერთმა ტუჩებმომუწულმა ქალმა (მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვევაში გადაუვიდა ამ სიტყვების თქმა), რომელსაც გაახსენდა, რომ შეიძლებოდა ეკლესიაში მისვლა დაჰგვიანებოდა. ეს რომ გააცნობიერა, ისე მოკურცხლა იმ ადგილიდან, რომ გიჟისკენ საერთოდ აღარ მოუხედავს.

შემდეგ ჯავახის თანატოლები გამოჩნდნენ, კარგ განწყობაზე იყვნენ, ყველაფერზე ეცინებოდათ.

– რა კაცია! – შესძახა ერთმა ბიჭმა – მოდი, ე, დავეხმაროთ!

– დავეხმაროთ, შენს ძმობას ვფიცავ! – უპასუხა ე. წ. ძმაკაცმა – რას იტყვი, ნინ?

– კარგი რა, დაანებე თავი! – სიცილით თქვა „გერლფრენდმა“.

– არა, მაგარი იქნება, აი „ცვეტში“! ჰე-ჰე! წამო, გიო, შენს ძმობას ვფიცავ!

ჯავახს გულმა რეჩხი უყო, კინაღამ გული აერია და სწრაფად მოშორდა იმ ადგილს.

ძმა მეორე

– ჯავახ, შენ მათი განკითხვის ნება ვინ მოგცა! – უმტკიცებდა იმავეს ერთი კლასელი.

– არავის განვიკითხავ, ეგ ჩემი საქმე არაა. მე მათ ვამხელ.

– არც მაგის უფლება გაქვს!

– როგორ არ მაქვს! როგორ შეიძლება არ ვამხილო?! ნორმალურია როგორც იქცევა ეს ხალხი? ამათ ფსიქოლოგი სჭირდებათ, მღვდელი და მოძღვარი კი არა! რომის პაპის ინდულგენციებს პირველები ესენი იყიდდნენ შუა საუკუნეებში. ესენი თავს იმშვიდებენ იმით, რომ, რადგან წესებით ცხოვრობენ, ცოდვები მიეტევებათ! ცოდვებს ისყიდიან, გესმის სადამდე მივიდა ხალხი?! რამე ცვლილება რომ იყოს, კიდევ ჰო, მესმის, მაგრამ ესენი აიღებენ ფურცელს, ჩამოაწიკწიკებენ ცოდვებს, მივლენ, გამოისყიდიან. და მერე ისევ, მერე ისევ, მეტი თუ არა, იმდენივე ცოდვა! ამიტომაა, რომ ეს შენი ეკლესიური ხალხი, რომელიც ასე ლამაზად ეტაკება ხორცს მარხვის დასრულების შემდეგ, თითქოსდა სავალდებულო ბორკილები ახსნესო, მგლადაა გადაქცეული. არა, გაიხედე რა სახით დადიან, რას არ აკეთებენ, დაინახე და მერე მითხარი, რომ არ უნდა ვამხილო. თქვენ არ იღელვოთ, ჩემო ეკლესიურო ხალხო, ფურცელი, კალამი და მაგათი ჯანი! მე თქვენ გეტყვით და გაგიჭირდებათ ისევ იმდენი ცოდვის ჩამორაკრაკება! მიდით, დაიწყეთ!

– შენ არ გაქვს ამის თქმის უფლება! შენ არა ხარ სწორი და ამას ხვდები.

– მე? რა გინდა ჩემგან? ეს სად ვარ! – და როდესაც მეგობარი მოშორდა, ჯავახმა საკუთარ თავს ჰკითხა, – რა მჭირს? რატომ ვანთხევ ბოღმას? რატომ არ მწამს ადამიანის? ღმერთო, მი...

და აღარ დაამთავრა, შეეშინდა იმ ქალივით არ გამოსვლოდა, გუშინ რომ გიჟთან ნახა. შემდეგ იმაზე დაფიქრდა, რამდენად სწორად მოიქცა და ამ ფიქრებში ტირილი მოუნდა.

ძმა მესამე

ჯავახი მეტროში იჯდა და ჩაფიქრებულიყო, როდესაც ვაგონში ორი ქვასავით მძიმე ჩანთით ერთი ქალი შემოვიდა. ქალს ვამბობ, თორემ ალბათ ყველაფერი ეთქმოდა ქალის გარდა: გვარიანად გასუქებული, ჩანაოჭებული, წირპლიანი, ულვაშებიანი არსება, რომელიც ბაზარში მიდიოდა, რათა კარტოფილი გაეყიდა... კარტო-

წყალტუბოში ინგლისური ენის შესასწავლი საზაფხულო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრებისთვის.
2009 წლის ივნისში მონაწილეობა მივიღე სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის სასკოლო ვიქტორინაში „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“. სკოლის გუნდთან ერთად დავიკავე II ადგილი.
2008-2009 სასწავლო წლის ბიოლოგიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში დავიკავე II ადგილი.
2008-2009 სასწავლო წელს, ტელეკომპანია მზის პროექტ „ევროკლასში“ სკოლის გუნდთან ერთად დავიკავე I ადგილი.
2009 წლის ნოემბერში ამერიკელ-ქართველი პოეტის, იო ელენა ტყებუჩავას ლექსების თარგმნისთვის მოვიპოვე პირველი პრემია, გავხდი „ამერიკის მეგობართა კლუბის“ განსაკუთრებული სიმპათია და დამაჯილდოვეს სურათით „ნიუ-იორკის ხედი“.
2009-2010 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მოთხრობისთვის „რვა“) დავიკავე I, ქიმიაში – II, ხოლო ბიოლოგიაში – III ადგილი.

2009-2010 სასწავლო წელს გავხდი სატელევიზიო პროექტ „ეტალონის“ ორგზის გამარჯვებული. 2010 წელს თბილისის პირველი საჯარო სკოლა დავამთავრე ოქროს მედალზე.

ფილი გაეყიდა... კარტოფილი...

ჯავახს გულმუცელი აეწვა, ისე შეებრალა ეს ქალი. ტირილი მოუნდა ისევ, მაგრამ თავი შეიმაგრა, ჩაფიქრდა და უცნაური რამ „მოახდინა“...

– ახლა კი, ქალბატონებო და ბატონებო, კარტოფილის გამყიდველი ქალი გეტყვით თავის სათქმელს, სიმღერით, რა თქმა უნდა, – გამოაცხადა რაღაც ხმამ, ვაგონში დაბნელდა და ლურჯი განათების ფონზე, ქალი ნელა წამოდგა.

– მე ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს... არ მომერიდოს, სიმართლე რომ ვთქვა... ჩემი ცხოვრება თავად კარტოფილია... ნუ იცინით, დიახ... ის კარტოფილია... მე ის მომყავს და ყველას ვურიგებ... მხოლოდ ეს გული ვერაფრით გაიგებს, მასში რა რჩებااااااა...

ჯავახი წამოიწია, მოეწონა სიმღერა, დააკვირდა და განაგრძო:

– მე ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს... ო, როგორ მინდა ვუპოვო რამე, ამ საქმეს... რითაც დამაინტერესებს, რითაც... თავს დამაკარგვინებს... ვიღაც წიგნებს წერს... ვიღაც თამაშობს... ვიღაც აცხობს კექსს... ვიღაც კამათობს... მე კი ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს... ვიცი, დიდი არაფერია, მაგრამ რაღაც ხომ არის, –

ჩაფიქრდა.

– რაღაც ხომ არის... არიიიიის...

ჩაფიქრდა. ჯავახმა ქალს შეხედა, ის კანკალებდა, მერე მწარედ გაიცინა, ორივე ჩანთა მოისროლა და:

– მე ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს! ეს სულელური კარტოფილები რომ მოვიყვანო, თავ-ბედს ვიწყევლი! თვეობით ვბარავ, ვთოხნი, ვწვალობ, ოფლს ვღვრი, წელებზე ფეხს ვიდგამ! და მე არარაობა გავხდი, აღარაფერი შემიძლია, აღარც ჩემს შვილებს შეუძლიათ! მხოლოდ კარტოფილები! ვიღაც ყავას წრუპავს მოდურ ქუჩაზე და სიგარეტს ეწევა... ვიღაც ოლიმპიადის ნაწერებს ასწორებს! ვიღაც თავის მოსაკლავადაა მზად! ვიღაც სიკეთის კეთებაში კვდება... მე კი, ამის მაგივრად, ჩემს ბაღში კარტოფილი მომყავს! წყეულიმც იყოს ყველა სხვა, არ გაიხაროს არავინ, ჩემს ბოღმაში ამოიხრჩობა მთელი სამყარო!.. ჩემი ბოღმა საკმარისია, რათა მთელი სამყარო ამოახრჩოს!..

– დიდუბე, – გამოაცხადა ვიღაცამ და ქალი კოჭლობით გავიდა ვაგონიდან...

ძმა მეოთხე

– კობალტის ქლორიდი საინტერესო ნაერთია იმით, რომ გამოიყენება საიდუმლო წერილის დასაწერად. მაგალითად, ჩვენ კობალტის ქლორიდით ვწერთ ფურცელზე, ის შრება, აღარ ჩანს. შემდეგ შევათბობთ ცეცხლის ალზე და ნაწერი გამოჩნდება.

– კარგი რა, არ მოგბეზრდა! – დაიღრიალა ერთმა მოსწავლემ, ე. წ. „რაუ-რაუმ“.

– წესიერად ელაპარაკე დედისტოლა ქალს! – გაღიზიანებით უპასუხა ჯავახმა.

– რა, ბიჭო? ჩემი დედა..., თუ ეგ შეგარჩინო, შენი...

ორიოდე წუთში „რაუ-რაუმ“ და იმისმა ექვსმა ძმაკაცმა ჯავახი მოფარებულ ადგილას მიათრიეს. პირველი სამი მუშტი აიცდინა, მაგრამ მეოთხე მოხვდა და დააგდო. წამებში ჯავახმა შეცვალა სამყარო, უფრო სწორედ, დაინახა ისეთი, როგორიც არის; ამაში მას საიდანღაც მოსული ცეცხლი დაეხმარა.

– ასეა, ძამია! – ყვირილით მღეროდა „რაუ-რაუ“, – ნებისმიერი საჯარო სკოლა! ასეა, ძამია! თბილისის საჯარო სკოლა! მოდით, ძმებო, ცალი ხელით დანა ჩავარტყათ, ცალით პირჯვარი გადავიწეროთ... ხომ იცით, ჩემი ხელით უკვე არაერთი დაჭრილა!..

დანა არა, მაგრამ შვიდი კაცი ფეხებით შესდგა ჯავახს. მან კი სისხლი ამოიღო. „რაუ-რაუმ“ თმებში ხელი მოჰკიდა და სახე სისხლში გაასვრევინა, თან ხითხითებდა და მღეროდა:

– მე მიყვარს ნებისმიერი საჯარო სკოლა! ასეა, ძამია! ასეა, ძამია! თბილისის ნებისმიერიიიიიიიიი..., – ფეხი მოამზადა ბოლო დარტყმისთვის, – საჯარო სკოლა!!!

ჯავახმა გონება დაკარგა.

ძმა მეხუთე

– მე შენთვის ვწვალობ! – ყვიროდა ჯავახის დედა მას შემდეგ, რაც ძლივსმოსიარულე შვილი ჩააბარეს, – მე შენთვის ვწვალობ! შენ კიდევ!.. რა მოხდებოდა ჩუმად რომ დამჯდარიყავი, რაც გინდა უთხრას იმ სულელმა მასწავლებელს!.. არ მინდა ასეთი შვილი მყავდეს!..

– რას მეუბნები, ვერ ვხვდები! რისკენ მიბიძგებ! არაფერი მექნა?! ხომ არ გაგიჟდი?!

– გველო!.. – შესძახა ქალმა, – გველო!.. შენ განსხეულებული ბოროტება ხარ, შენი აზრები გგონია არ ვიცი? ვიცი, ვიცი, რაც ხარ, რა გიჟიც ხარ! უფლება არ გაქვს სხვა აძაგო, თავად ხარ საძაგელი!.. მრცხვენია, რომ ასეთი შვილი მყავს, მარცხვენ ნათესაობაში, მეზობლობაში, ყველგან! მოვიდა ნაცემი! ბარემ მერე გამოთვერი და ქუჩაში დაეგდე! შენი ბოლო ეგ არის!.. – თვალებში დიდი ბელადის სიყვარულმაც დაკვესა.

– აღმოსავლეთიდან მტერი გვიახლოვდება! – იყვირა ჯავახმა მდგომარეობაში, სადაც არც ღვიძილია, არც ძილი, სადაც ამ ორის საზღვარზე სამისდღეშიოდ მძრწოლავი ნისლია. – ხუთი ძმა უკვე დიდი ხანია, რაც მოვიდა! ისინი აქ არიან, ჩვენ შორის, ჩვენში!.. ვაი მას, ვინც ვერ ხედავს მათ! დაიჭერენ და ხუთივენი დაჭამენ იმათ ხორცს, დამშეულნი და ბრმანი!.. მე კი გადავრჩები და ერთადერთ გზას გამოვნახავ, არ მივცემ ნებას შემჭამონ! მე ვიცი მხოლოდ... აი, სწორი გზა...

– შვილო, რას აპირებ...

ჯავახი ენერგიულად გავიდა სახლიდან...

ეპილოგი

მთელი არსებით, ამოკვნესით შეიგინა, თანაც უმისამართოდ, ზიზღით გადმოაფურთხა, მუშტები შეკრა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, გაიღიმა, წაიჩურჩულა: „მოვდივარ!“ და სწრაფად მოწყდა ადგილიდან...

* * *

თქვენ საქართველოში ხართ...

ქვეყანაში, სადაც ერთმანეთს წარმოუდგენლად ავადმყოფური ფასეულობები ეჯახებიან, ჭამენ, ყლაპავენ და ინელებენ...

თქვენც ნახევრად გძინავთ, თავს იტყუებთ, რომ ეს ნორმალური და დროებითია...

რომ დადგება დრო და ყველაფერი გაივლის... ლანძღავთ მათ, ვინც არ გეთანხმებათ...

ხანდახან ოდნავ ფხიზლდებით... ოდნავ...

თქვენ ფხიზლდებით...

გინდათ გაიღვიძოთ...

რათა ბოლოს და ბოლოს თავი დააღწიოთ საქართველოს უკლებლივ ყველა ავადმყოფურ ბორკილს... რომლებმაც გიგანტურ რვიანად გადაგიქციეს ქვეყანა...

მაგრამ ეს...

შეუძლებელია...

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

ფოტოზე აკაკი წერეთელი

ნანა ფიფია
სასახლის სახსოვარი

დადიანების სასახლე კლასიკური ხელოვნების ის ადგილია, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი. ეცნობი ფერგადასულ ბარათებს, ფოტო-მატიანეს, გასცქერი წარსულ დროთა მდინარებას და გული სიამაყით გევსება, რომ ამ პატარა ქალაქს ხშირად აკაკი წერეთელი სტუმრობდა.

სტუმრობას საქვეყნო საქმეც ითხოვდა და მონატრებაც. მისი და მატა დაბა ჯვარში იყო გათხოვილი. ალბათ ესეც იყო ერთგვარი მიზეზი იმისა, რომ აკაკის განსაკუთრებულად უყვარდა სამეგრელო.

ყველაფერი კი ქუთაისში, „ცხენთა შეჯიბრებაზე“ დაიწყო: ოდიშ-იმერეთის ახალგაზრდათა შორის კარგი მხედარი ბევრი იყო, მაგრამ ალექსანდრე – გამორჩეული.

– ჯვარელმა დადიანმა წაიღო პირველობა! – იძახდა ხალხი. მატას გულისფანცქალი დაეწყო, მოხიბლა მეგრულ ლაფშაზე მოჯირითე, დოღსა და ცხენბურთში გამარჯვებულმა ვაჟკაცმა.

მალე ნიშნობა შედგა და 1872 წლის შემოდგომაზე ოცდათორმეტი წლის, უკვე აღიარებულმა პოეტმა საყვარელი და გამოაცილა სამეგრელოსკენ.

მატა საგანგებოდ მეფე-დედოფლისთვის გამზადებულ ეტლში ჩასვეს და გვერდით ხელისმომკიდეები მოუსვეს.

მაყრიონი გაუდგა ჯვარისკენ მიმავალ გზას. ზუგდიდში შემოუერთდნენ დადიანები, მხეიძეები, ჩიქოვანები, აკაკის თაყვანისმცემლები.

შევიდნენ სოფელში. დადიანებს ნაძვის მაშხალებით გაენათებინათ ეზოსწინა შემოსასვლელი, უზარმაზარ კაკლის ხეზეც მაშხალები ეკიდა. იქვე წყარო ჩუხჩუხებდა. სულში სიხარული ჩაეღვარა პოეტს მატას ახალი საცხოვრისის დანახვისას. უხარიოდა, რომ მისი სიძე გმირული წარსულის მქონე საგვარეულოდან იყო.

მოილხინეს სტუმრებმა და მასპინძლებმა, მოილხინა აკაკიმ. სუფრას არ მოაკლო თავისი ოხუნჯობანი და ლექსები.

მეორე დღეს სუფრა კაკლის ხის ძირას გაიშალა. იმღერეს, ისაუბრეს. პოეტს განსაკუთრებით დაამახოვრდა მეცენატი, ზემო სამეგრელოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეური იაკობ შანავა.

აკაკის მოეწონა სამეგრელო, მაგრამ ბევრ სიკეთესთან ერთად სიდუხჭირეც ნახა, არც იყო გასაკვირი. საწერეთლოში მიბრუნებულმა დაწერა „ორი სურათი“, სადაც ნანახ-განცდილი ლექსად აღწერა ...

წარსულის დროის ისრები 1909 წელს უჩვენებს. ცაიშში ცხოვრობს ქართული კულტურის წიაღში გამორჩეული პიროვნება – იონა მეუნარგია და აკაკის სტუმრობას ელოდება. მოწვევაზე პასუხი მიღებული აქვს: „ძმაო იონა, მეც შენსავით „ბატონობით“ მინდოდა მომეწერა ეს წერილი, მაგრამ როგორც მესამოცე წლების ჭაბუკს არ მეხერხება! ისევ „ძმობით“ გწერ და ნურას უკაცრავად! დღეს ავიღე აქ ნებართვა, რომ მანდ შა-

ბათს ლექცია უნდა წავიკითხო და პარასკევს ღამით თვითონ ჩამოვალ მანდ. რაც შეეხება აზნაურის სტუმრობას, მე დიდი ხანია ხელაღებული ვარ აზნაურობაზე და სტუმრობაც მეზარება. მე უფრო შენი ნახვა მინდა, რომ ცოტა რამ მასალა გამოგტყუო ჩემი ახალი თხზულებისათვის „ვარანცოვი“. წვეულება სრულიად საჭირო არ არის, თუკი ვისმეს უნდა ჩემი ნახვა და მოხუცის ჩიფჩიფის გაგონება, ლექციაზეც მნახავს. შენი მარად ენამწარი და გულტკბილი მოყვარული აკაკი“.

დიდი სიყვარულითა და პატივით შეხვდნენ საქართველოს ბულბულს ზუგდიდელები. გზაზე დაფნისა და ბზის ხალიჩა დაუგეს და ასე შეაცილეს იონას ეზოში. დიდი იყო ამ შეხვედრის მნიშვნელობა. იმ წლების ქალაქური ცხოვრება ეძებდა საზოგადო მოღვაწესთან შეხვედრის სივრცეს და ახერხებდა კიდეც. სამი დღე დარჩა მეგობართან. გამომგზავრებისას მის ქალიშვილს, პატარა სალომეს საჩუქრად ლექსი დაუტოვა:

როცა გათხოვდე უთხარი
შენს ქმარს,
რომ ბავშვი იყავ შენ საყვარელი
და სამეგობროდ მხცოვან
მგოსანმა
გამოგიწოდა შენ გრძნობით ხელი.

მუზეუმის ფოტო-არქივში საზოგადოებისთვის უცნობი ორი უნიკალური ფოტოა დაცული. ერთი დადიანების სასახლეშია გადაღებული ბანქოს მაგიდასთან. ასაკდამშვენებულ აკაკის გვერდით სალომე მიურატი და ნიკო ნიკოს ძე უზის; მეორე – 1912 წელს ზუგდიდში, სამკითხველოს გახსნის დღეს.

აკაკი კარგად იცნობდა დადიანების დინასტიას. აფასებდა

მათ მოღვაწეობას. მეგობრობდა საზოგადო მოღვაწე გრიგოლ დადიანთან. ბუნებრივია, დადიანებისთვის საამაყო სტუმარი იყო. ცნობილია მისი მიძღვნა, რომელიც პატივისცემასა და ზუგდიდში მის კიდევ ერთ სტუმრობას ადასტურებს:

არ ვიცი როგორ უნდა ვეახლო;
როგორც მორჩილი? თუ
ამხანაგი?
როგორც დადიანს
წერეთელი თუ?
როგორც „კოლხიდელს“
მხოლოდ აკაკი.

ᲤᲝᲢᲝᲖᲔ აკაკი წერეთელი ზუგდიდის სამკითხველოს გახსნის დღეს (1912 წ.)



ფოტოზე სალომე მიურატი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოს ძე დადიანი

1914 წელს დაწერილი მოთხრობა „ნადირობა“ კი, სადაც სამეგრელოში გატარებულ დღეებზე, თურჩუს ტყეებში დათვებზე გამართულ ნადირობასა და იქაურების გულუხვ მასპინძლობაზე წერს – ნიკო ნიკოს ძეს მიუძღვნა...

ზუგდიდში სამკითხველოს დაარსების ინიციატორი მშობლიური ენის მასწავლებელი ნიკოლოზ (კოლია) ბუკია იყო: „ქალაქის დეპუტატ აბესაძეს როცა ვუამბე ჩემი მიზანი დახმარება აღმითქვა. ის შეძლებული და კულტურული ადამიანი იყო. დავნიშნეთ კრება 15 აგვისტოს, ოთხ საათზე. იდეა ყველას მოეწონა.

გაიმართა კამათი იმაზე, თუ ვისი სახელი დარქმეოდა. იყო აზრთა სხვადასხვაობა, ვითხოვე სიტყვა და სხდომას მოვახსენე: ყველაზე უკეთესი და შესაფერი იქნება თუ მას ჩვენი საყვარელი მგოსნის, აკაკი წერეთლის სახელს დავარქმევთ და შენობის საზეიმო გახსნაზე მოვიწვევთ“.

1912 წლის 19 მაისს სამკითხველო გაიხსნა და საგანგებოდ მოწვეული აკაკი წერეთელი სამეგრელოს ესტუმრა.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. შეხვედრას ზუგდიდის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაუწია ორგანიზება. კოლია ბუკია მოგვითხრობს:

„დილით, 10 საათზე, ეტლით მომავალ პოეტს ცაიშში უამრავი ადამიანი შეეგება. ეტლს, რომელშიც იგი იჯდა კეთილშობილი დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ. კოლონა თანდათან იზრდებოდა და ეტლებს სწრაფი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა, ხალხი ფეხდაფეხ მიაცილებდა ძვირფას სტუმარს. სოფელ ჭითაწყარში მგოსანს მიეგე-

ბა ქალთა დელეგაცია, რომლის დავალებით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მანდილოსანმა იუსტინა კობახიძემ. მან პოეტ ქალთა საზოგადოების სახელით ძვირფასი საჩუქრები გადასცა. ქალაქის შესასვლელში აკაკის დახვდა ბერიძის ლამაზი პატარა გოგონა, რომელმაც საყვარელ პოეტს ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული ქნარი მიართვა. 12 საათზე პოეტს საზეიმოდ მორთული დადიანების სასახლე ელოდა. ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად სასახლის უზარმაზარი ოთახები ყვავილებით იყო დამშვენებული, ვეებერთელა ვენეციური ოქროს ჭაღები პარიზიდან გამოწერილი გირლიანდებით მოერთოთ. პოეტმა სასახლეში რამდენიმე საათს დაყო, ისადილა, დადიანებთან ისაუბრა და დაისვენა კიდეც... მერე კი კვლავ გზას გაუდგა... ეტლი ჭადრების ხეივანთან გაჩერდა... აქ, გზის ორივე მხარეს, თაიგულებით ხელში ზუგდიდის მოსწავლე-მასწავლებლები ჩამწკრივებულიყვნენ და სახეგაბრწყინებულნი ელოდნენ სტუმარს...აგერ, ისიც გამოჩნდა. ისმის მისასალმებელი სიტყვები, აღტაცებული „ვაშა“ და ტაში. აკაკი მადლიერების ნიშნად ქედს იხრის, სახე სიხარულით გაცისკროვნებია... ზეიმმა შესანიშნავად ჩაიარა.. საღამოს დაღლილი, მაგრამ გულთბილი შეხვედრით გახარებული მგოსანი ქუთაისში გაემგზავრა. ეს იყო აკაკის უკანასკნელი სტუმრობა ზუგდიდში“.



დროის ხეებიდან წლები, თვეები, დღეები ცვივა... აკაკის მიერ გავლილი სამეგრელოს გზა, გრძნობათა ისტორია და ის განუმეორებელი სილამაზეა, რომელიც შენზე, შენს საქართველოსა და პატარა კუთხის ისტორიაზე გესაუბრება...

„არტანუჯი“ გთავაზობთ

ლევან ბრეგაძე
მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე



ლევან ბრეგაძის ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი თბილისში 1906-1914 წლებში გამომავალი გერმანული გაზეთი **„კაუკაზიშე პოსტი“**. უმთავრესი ყურადღება ექცევა კავკასიური თემატიკის შემცველი მასალების ანალიზს.

წიგნი გამოადგებათ კავკასიოლოგებს, გერმანულ-ქართული/კავკასიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მკვლევართ, ჟურნალისტებს, ლიტერატურათმცოდნეებს, თარგმანის თეორეტიკოსებს, ლინგვისტებს, ისტორიკოსებს. მას ინტერესით წაიკითხავს აგრეთვე ყველა, ვისაც თავგადასავალი იზიდავს, ადამიანების, ტექსტების, სიტყვების თავგადასავალი.



გიორგი გოგოლაშვილი

ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე, ანუ მასალები ბიოგრაფიული ნარკვევისათვის

წინათქმა

12 აპრილი მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღეა. ბატონმა მუხრანმა მეცხრე ათწლეულში შეაბიჯა. რვა ათეული წელი ღირსეულად იარა... რვა ათეული წლის განმავლობაში საქმითა და სიტყვით ზიდა საქართველოს ჭირ-ვარამი... ფიქრით ზიდა, ლექსით ზიდა და ჩვენც უამრავი საფიქრალი გაგვიჩინა... მუხრან მაჭავარიანის მიერ განვლილ რვა ათეულ წელზე ვფიქრობ და მომავალ წელთა სიმრავლეს ვუსურვებ ბატონ მუხრანს საქართველოს საიმედოდ!...

ფიქრი პირველი

„ქართული სიტყვის დიდი მოურავი“ (მ. მაჭავარიანის ფრაზაა) გიორგი შატბერაშვილი იტყოდა: კარგი დღე ის დღეა, რომელიც სიკეთით დაგამახსოვრებს თავსო... და, ვფიქრობ, კარგ დღეთა სათვალავში ჩაითვლება ის დღეც, რომელსაც მუხრან მაჭავარიანთან ერთად გავატარებთ, მუხრან მაჭავარიანის ლექსთან გავატარებთ, მუხრან მაჭავარიანზე ფიქრში გავატარებთ...

ერთ მოღვაწეზე წერს მუხრან მაჭავარიანი, საქართველოთი დაავადებული კაციაო და „ღმერთმა ნუმც გაჰყაროსო იგი ამ სენს, ვინაიდან ეს ის სენია, რომლისგანაც როგორც კი განიკურნები, ლეში ხარ მაშინვეო“... და თუ ვინმეზე ითქმის დღეს ეს სიტყვები, მუხრან მაჭავარიანზე ითქმის უპირველესად: საქართველოთი და ქართული ენით დაავადებული კაცია იგი...

არ არის იოლი მუხრან მაჭავარიანზე (როგორც ყველა კლასიკოსზე) საუბარი: ყველას ჩვენი მუხრანი გვყავს და მე შევეცდები „ჩემს მუხრან მაჭავარიანზე“ გესაუბროთ...

ალბათ ყველასათვის, მაგრამ ჩემი თაობისათვის მუხრანი სულ სხვაა: სამოციანი წლების ქუთაისში ამბად მოვიდა: უნივერსიტეტში (მაშინ ერთი უნივერსიტეტი იყო!) მუხრან მაჭავარიანს ისეთი ლექსები წაუკითხავსოოო... ხელნაწერები ჩამოიტანეს ქუთაისში და ჩუმად ვუკითხავდით ერთმანეთს: „თუ ვინმე ფიქრობს, დადუმდეს ენა, ვერ მოესწრება, არა და ვერა!..“ და, გახსოვთ, ალბათ... „ახლა კი დროა! – სოლომონ რომა, კვლავ დაიქუხოს საქართველომა“; თუ – „გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფიალასო“... ამ ლექსებმა უამრავი კითხვა გაგვიჩინა „საბჭოთა მოწაფეებს“:

– რას ნიშნავს „დადუმდეს ენა“?

– ვის სურს ჩვენი ენის დადუმება და რატომ?

– რისი დროა ახლა?

– რა შუაშია სოლომონი?

– როდის დაიქუხა საქართველომ, კვლავ დაქუხებას რომ ითხოვს პოეტი?

– და სხვა... და სხვა...

ღვთის მადლით, ჩემი ბავშვობის ქუთაისში იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც შეეძლო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და... ჩვენ სულ სხვანი გავხდით... ისეთები, ვინც ჩვენდათავად სამოციანი წლების ბოლოს სტუდქალაქურ შეკრებებზე ვბედავდით, მუხრანის ეს ლექსები გვეთქვა და „საქართველოს მოთმინების ფიალა“ გვედღეგრძელებინა; კვლავ დაქუხება გვენატრა საქართველოისი... აი, ამისთვის მადლობა მუხრან მაჭავარიანს, თავისი მძლავრი პოეტური ხმით ჩვენში ის

მძაფრი ნერვი რომ გამოაღვიძა, ქართული რომ ჰქვია!.. ფაქტობრივ, ეროვნული მოძრაობა ჩემთვის და მრავალი ჩემნაირისთვის სამოციან წლებში ამ ლექსებით დაიწყო...

ზემოთ ვთქვი, „საქართველოთი დაავადებული კაცია იგი“-მეთქი; ვისურვებდი, „ეპიდემიად“ ქცეულიყოს ეს სენი და „მუხრანის ავადმყოფობა“ გადასდებოდეს სრულიად საქართველოს – ყველა ქართველსა თუ არაქართველს!...

ფიქრი მეორე

„საქართველოთი გახარებული,
საქართველოთი გამწარებული,
საქართველოთი გულანთებული,
საქართველოთი გულდათუთქული“ კაცია მუხრან მაჭავარიანი. არ შევცდები, თუ ვიტყვი: საქართველო, ქართველი და ქართული თავის პოეზიაში იმდენჯერ არავის უხსენებია, რამდენჯერაც მუხრან მაჭავარიანს...

ერთგან მუხრანი წერს: „აგერწინას (ეს სიტყვაც მომწონს!) საფრანგეთში ვიყავი; ვდგავარ ფრანგულ მიწაზე, ვათვალიერებ ვერსალს; მოვიხედე უკან: აგერ არ დგას ჩემი კაკლის ხე? ჩემი ორსართულიანი სახლი? ჩემი იზვარა და ჩემი ლაშურა? ჩემი მტკვარი და ჩემი არაგვი?.. დგანან და შემომცქერიან; – გამეცინა, – ფეხი მიწას დავკარი:

– დამეკარგეთ-მეთქი აქედან! – დაბრუნდით-მეთქი შინ! –

გაგიგონია! ფეხიც არ მოიცვალეს, – დგანან და თვალს არ მაშორებენ! – უსიტყვოდ მეუბნებიან: სადაც შენ ხარ, ჩვენც იქ უნდა ვიყოთო!“ და ოთხმოცი წელია, მუხრანთან ერთად მოდიან (ან: მუხრანი მოდის მათთან ერთად) არგვეთი და ყვარელი, საჩხერე და თბილისი, ჭერათხევი და დარიალი, უშბა და მყინვარწვერი... ესაა მუხრან მაჭავარიანის საქართველო!... ეს ის საქართველოა, „ორი ცრემლიდან“ რომ ჭვრეტდა საბა!.. ეს ის საქართველოა, „ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი ისევ რომ უდგას დღის წესრიგში“... ეს ის საქართველოა, ასე რომ მოუმრავლდა „გუგულის კვერცხი“... „მე საქართველო არ მსურს ამგვარიო!“ – იტყვის მუხრანი და ვისურვოთ, გვქონოდეს ისეთი საქართველო, მუხრანს რომ სურს, მუხრანს რომ ეკადრება!..

ფიქრი მესამე

რა არის ქართული ენა?

ილიამ ბრძანა, ღვთაებრივი საუნჯეაო: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული ენა და სარწმუნოება“...

იაკობმა ბრძანა, ქართული ენა ჩვენი ეროვნების უმთავრესი ბურჯიაო: ეროვნებას ოთხი ბურჯი აქვს – მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოებაო...

ქართული ენა ჩვენი ეროვნული მეობის საფუძველიაო, – ეს მეცნიერმა ბრძანა – არნოლდ ჩიქობავამ...

და მაინც, უფრო პოეტური, უფრო შთამბეჭდავი და ორიგინალური განმარტება, რაიც მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა, მე არ მეგულება:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა რაა!–
იმოდენაა!“

რუსთაველი მუხრანისათვის „ქართული სიტყვის მხედართმთავარია“, გიორგი შატბერაშვილი – „ქართული სიტყვის დიდი მოურავი“... მუხრან მაჭავარიანი ამასაც იტყვის: რუსთაველი ქართველი რომ არ ყოფილიყო, „ვეფხისტყაოსანს“ ვერ დაწერდაო; ანუ: „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ქართულ ენაზე შეიძლებოდა დაწერილიყოო... და იმიტომაც შეძლო ქართველმა კაცმა ქართულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა, რომ „დავით აღმაშენებლის ხმალ-



ზეა დამყნილი კალამი შოთასი“!.. ესეც ქებაა ქართული ენისა, მორიგი ქება... და: არავის იმდენი ხოტბა არ უთქვამს ქართული ენისა, რამდენიც მუხრან მაჭავარიანს; არავინ ცდილა იმდენნაირად და ისეთი კუთხით დაენახვებინა ჩვენთვის დედაენა, როგორც ეს მუხრანმა მოახერხა... მხოლოდ მას შეუძლია წარმოიდგინოს და დაინახოს, „როგორ იგერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენითა“!.. მხოლოდ მას შეუძლია ჭირისუფალის თვალით დააცქერდეს „სიტყვის კონაში“ შემორჩენილ „გარდაცვლილ სიტყვებს“... დედაენის სიყვარულმა დააწერინა პოეტს შვიდი დიდებული გამოკვლევა შვიდი ქართული სიტყვის შესახებ – შესაშური პროფესიონალიზმით შესრულებული... და მეტიც – ასამდე წერილი თუ შენიშვნა, ორტომეულის მეორე ტომში რომ გამოაქვეყნა... აი, ესაა მუხრანისებური სიყვარული დედაენისა – ქართული ენისა!

„ენაშია ჩვენი ქართველობა!

ენაა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!“ –

ასე ფიქრობს მუხრან მაჭავარიანი და ეს ქართული ენა უდღეგრძელოს ღმერთმა მუხრან მაჭავარიანს!..

ფიქრი მეოთხე

ერთი სურათი მინახავს: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მუხრან მაჭავარიანი პირისპირ დგანან; უწმინდესი და უნეტარესი ღიმილით ესაუბრება მონუსხულ პოეტს... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ საუბარში უთხრა კათოლიკოს-პატრიარქმა მუხრანს: „თქვენი გამოსვლის დროს მე გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები. მან ასე უწოდა თავის ორ მოწაფეს: „ძენო ქუხილისანო!“ თქვენ შეგშვენით ეს – ძეო ქუხილისაო!“

და მესმის, მუხრანის ხმით როგორ ქუხს, როგორ რეკავს დუმილი „ჯვრით, ალავერდით, გელათით, ტბეთით... ზარზმით, ოპიზით, ოშკით, ხახულით“... და ვხედავ, როგორ იწერს პირჯვარს ძე ქუხილისა:

„მტრული აშოროს მზერა!
ავს არ ეხილოს თვალს!
ჯვარი სწერია გელათს!
ჯვარი სწერია ჯვარს!“

და ვნატრობ: ისმინოს ღმერთმა ლოცვაჲ ძისა ქუხილისაჲ – ჯვარი ეწეროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ჯვარი ეწეროს ქართულ ეკლესიას!..

ფიქრი მეხუთე

ქეთევან მაღალაშვილს უთქვამს, არავინ იცის, ნიჭი ვის დაეცემა ზეციდან თავშიო... ჰოდა, უბოძა ზეცამ ეს ნიჭი მუხრან მაჭავარიანს... მაგრამ მარტო ღვთის წყალობა კლასიკოსად ვერ აქცევს კაცს: ნიჭს გარემო სჭირდება, დიდად ნიჭიერი კაცი კლასიკოსად რომ იქცეს... ჰოდა ეს გარემო უპირველესად ოჯახია... და ღმერთმა ეს გარემოც უბოძა მუხრან მაჭავარიანს – დიდი ქართული ოჯახი!.. პოეტი ასე მოიგონებს დედას: „დედაჩემი მაგარი და მართალი ქალი გახლდათ; პირდაპირი. ზედმიწევნით ობიექტური. აკაკის გარდა პოეტად არავინ მიაჩნდა. ზეპირად იცოდა არაერთი, არამცთუ ლექსი, პოემაც კი აკაკისი“... ერთი შეხედვით, თითქოსდა მოულოდნელია ის, რაც მუხრანის დისთვის უთქვამს ქალბატონ თამარს, „მე არ მამწონს, შვილო, მუხრანის ლექსებიო“... და ამას ამბობს აკაკის ზეპირად მცოდნე ქალბატონი ამ ლექსის ავტორის შესახებ: „მცხეთით. წყნეთით. თუხარისით. ჩორთით. ოთხით. თოხარიკით – უხალისოდ თუ ხალ-

ისით მიაშურა ხალხმა თბილისს“... ანდა: „გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა და დედის საფლავზე ტიროდა საქართველო“... მაგრამ აქ მთავარი სხვაა: შვილისადმი დედის მომთხოვნელობაა აქ მთავარი და სწორედ ესაა ის გარემო, რამაც „მისცა ნიჭს გზა ფართო“... არცთუ შორეულ წარსულში დედას წიწილებივით დაუთვლიდნენ შვილებს და სადღაც ბორჩალოში გვეყოლებოდა გმირი დედა... მუხრანის დედაა გმირი დედა...

საიდან ასეთი მოქნეული ფრაზები მუხრან მაჭავარიანისა; ასეთი სხარტი, ზუსტი, ლაკონური ენობრივი აზროვნება... ნანა მიყვებოდა: ივანე მაჭავარიანი – მუხრანის მამა – შეუძლოდ ყოფილა; წუხდა თურმე; თამარი ამშვიდებდა: ნუ გეშინია, ვანიჩკა, ნუ გეშინიაო... რავა ნუ მეშინია, შე ქალო, – უთქვამს ივანეს, – ქუთეისში კი არ მივდივარო...

ჰოდა, აი, საიდან მოქნეული ფრაზები, სხარტი ენობრივი აზროვნება, მოსწრებული სიტყვა... ესაა ის გარემო, რომელმაც „მისცა ნიჭს გზა ფართო“...

დედას რომ უთქვამს, მუხრანის ლექსები არ მომწონსო, გულში ჩარჩენია დას – დოდო მაჭავარიანს – რომელსაც ეამაყება, ქვეყანას მოსწონსო ჩემი ძმის ლექსები... დის საამაყო ძმა!.. გვიან გაუმხელია ეს „დარდი“ ძმისთვის და ეს არის სწორედ ის გარემო, რომელსაც ოჯახი ჰქვია... ჰოდა, ნიჭთან ერთად განგებამ მუხრანს ის გარემოც უბოძა, რომელმაც მისცა „ნიჭსა გზა ფართო“, გზა – მთაწმინდისაკენ მიმავალი...

ფიქრი მეექვსე

სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის პარიზული დღიურები არ შემორჩენილა; მუხრან მაჭავარიანმა „აღადგინა“ იგი: როგორ ალოდინეს საბა ლუდოვიკოსთან, როგორ გაუცრუვდა იმედები ორბელიანს: „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“... ითქვა, საბას ჩანაწერები რომ შემოგვრჩენოდა, არა მგონია მეტი შესძენოდა პარიზულ ამბებსო...

ალბათ იშვიათია მოღვაწე, დიდი პოეტის შემოქმედებაში ასეთი ადგილი რომ დაეჭირა... იცის მუხრან მაჭავარიანმა სიტყვის ფასი და ამიტომ აფასებს საბას განუზომლად. „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნასო“ – საბას ეს სიტყვები ჩარჩენია პოეტს განსაკუთრებით გულს.

ქართული ენისადმი გამორჩეული დამოკიდებულება, ქართული სიტყვისადმი ასეთი სიყვარული პოეტისა საბას მადლია უპირველესად: „განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონია ჩემი უსაყვარლესი წიგნიო“– დაწერს ერთგან... საბას მადლია ისიც, ჭირისუფლად რომ უდგას პოეტი გარდაცვლილ სიტყვებს: „ვათვალიერებ ამ ძვირფას წიგნს და გულს მიკლავს „დაუმარხავად“ დარჩენილი „გარდაცვლილი“ სიტყვები.“ანდა: „მივჩერებივარ და... სიტყვაც მომჩერებია. ვუყურებ და... სიტყვაც მიყურებს“... საბას მადლია ყოველივე ეს და ღმერთმა საბა უდღეგრძელოს მუხრან მაჭავარიანს და მუხრან მაჭავარიანი უდღეგრძელოს საბას...

იმ საბას, „ორი ცრემლიდან რომ გაჰყურებს საქართველოს“... იმ საბას, „საქართველო რომ არის მისთვის წვიმაც, თოვლიც და ყინვაც“...

ღმერთმა არ აღირსა „სატანძიე საბას“ ძვალთშესალაგად ქართული მიწა, მაგრამ მუხრანის წყალობით ქართული პოეზია იქცა მის საუკუნო განსასვენებლად...

ერთ ფილოსოფოსს უთქვამს ლექციაზე სამედიცინო ინსტიტუტში (ქალბატონი ანას ჩანაწერებიდან): საქართველოში ორი სვეტიცხოველია – ერთი მცხეთაში და მეორე კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაშიო; საქართველოში ორი ნიკორწმინდაა – ერთ რაჭაში და მეორე გალაკტიონის პოეზიაშიო; საქართველო-



ფოტოზე
მუხრან მაჭავარიანის „100 ლექსი“
(გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006)



ში ორი საფლავია დავით აღმაშენებლისაო – ერთი გელათში და მეორე ანას პოეზიაშიო... და მე ვიტყოდი: საბასაც ორი საფლავი აქვს – ერთი მოსკოვში, მეორე საქართველოში.. დიახ, საქართველოში არის საფლავი საბასი – მუხრანის პოეზიაში!..

არ ეღირსა ქართული მიწა, მაგრამ დაემკვიდრა ქართულ პოეზიაში... ამ „სატანძიე“ კაცის საუკუნო სამყოფად მუხრანის პოეზია იქცა და მადლობა ამისთვის მუხრანს და მადლობა ამისთვის საბას...

„კურთხეულ იყოს სახელი შენი, საბა!“ – ამბობს მუხრან მაჭავარიანი და ვამბობთ ჩვენ: კურთხეულ იყოს, სულხან-საბა ორბელიანო, სახელი შენი მადიდებლისა – მუხრან!..

ფიქრი მეშვიდე

წერს მუხრანი: „ერთ მშვენიერ დღეს, (კურთხეულიყოს ის წუთი) გავიხედე, – რას შევხედე:

სიყვარული... სიყვარული არ მეძგერა!..

შორით ვკიდე თვალი; ორფერი კაბა ეცვაო“... მერე ლექსად იტყვის: „მე გული მთხოვა ერთ საღამოს იმ ქალიშვილმაო“ და „მე ყველაფერი შემაყვარა იმ ქალიშვილმაო“... და პროზად თქმული: „სიყვარულის მეხუთე წელს, ოცდახუთი წლისამ შევირთე ქალი, – ლამარა ბოკერია“... საიუბილეო საღამოზე ბრძანა ბატონმა მუხრანმა, – ოთხმოცი წელი ცოტა არ არისო და ამ არცთუ ცოტა ოთხმოცი წლის ზიდვაში დიდია წვლილი ქალბატონი ლამარა ბოკერიასი... მართლაცდა, ღმერთმა დალოცოს ის წუთი, სიყვარული რომ „ეძგერა“ მუხრანს, მთელი ცხოვრება რომ ლოცავს მუხრანი...

ფიქრი მერვე

„რომ არ ამეღო ხელში წიგნი,
თოხი მჭეროდა,
რომ არ გამედგა ფეხი ჩემი
კაკლის ჩეროდან“...

– წერს მუხრანი,–

„სოფლის სკოლაში ორი ბავშვი
ჩემიც ივლიდა,
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა,
გოგოს – ივლიტაო“...

და აიღო ხელში წიგნი მუხრან მაჭავარიანმა, გაადგა ფეხი თავისი კაკლის ჩეროდან და მერე უკვე ქალაქის სკოლაში წავიდა ორი ბავშვი – ბიჭს ისევ ვანო ერქვა, გოგოს – ნანა (ეს შეცვალა ხელში წიგნის აღებამ!).

და იციან ნანამ და ვანომ, რომ მუხრანის შვილობა ტვირთია უზარმაზარი, ტვირთი მძიმე და დიდად საპატიო, საამაყო... ღირსეული ტარება უნდა ამ ტვირთს და ეზიდებიან კიდეც ღირსეულად...

და მე ვიცი, როგორი ამაყი იყო მუხრან მაჭავარიანი, ნანა მუხრანის სათაყვანო უნივერსიტეტის პროფესორი რომ გახდა... მახსოვს, ნანამ პირველი დისერტაცია რომ დაიცვა, მუხრანმა მადლობა უთხრა საჯაროდ, რომ დამიჯერე და ენის სპეციალისტი გახდიო და, რაც მთავარია, პატარა ერის ენის მცოდნეო (ნანა აფხაზურის სპეციალისტია, დიდი ქეთევან ლომთათიძის ღირსეული მოწაფე)...

„ეს კი, მე მგონი,
თუ შენც იტყვი,
ცოტას არ ნიშნავს!“

ფიქრი მეცხრე

როცა მუხრან მაჭავარიანის ჩანაწერებს ვკითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს იგი ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფს – უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტის შემდეგ.

„ამ დროს უნივერსიტეტიდან გამორიცხული ვიყავი“... – წერს ერთგან.

„ასე იყო თუ ისე, მე უნივერსიტეტში აღმადგინეს“...

„პირველად, მხოლოდ 1952 წელს უნივერსიტეტის ლიტ.-წრის ალმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა ჩემი სამი ლექსი“...

„1964 წელს უნივერსიტეტში

გამართულ პოეზიის საღამოზე...“

„უნივერსიტეტში, 1964 წელს ჩემი გამოსვლის შემდეგ...“ და ყოველივე ეს წერია სულ რამდენიმე გვერდზე...

ახსოვს უნივერსიტეტს საომრად შემართული მარჯვენა პოეტისა და განუმეორებელი, ომახიანი შეძახილი...

ახსოვს უნივერსიტეტს ხელში აყვანილი მუხრან მაჭავარიანი...

ახსოვს უნივერსიტეტს ახალგაზრდობის წლებისა თუ ადრე წასული მეგობრების გასახსენებლად შეკრებილი ჭარმაგი სამეგობრო მუხრანისა...

მაშინ უნივერსიტეტი ერთი იყო... ივანე ჯავახიშვილი რომ ქუდს უხდიდა, ის უნივერსიტეტი...

უნივერსიტეტი ახლაც ერთია (ოღონდ შეჭირვებული) და ასე ერთი იქნება მუხრანისათვის, ჩვენთვისაც...

ის უნივერსიტეტი, მუხრანმა და ანამ თავიანთი ცხოვრების ნაწილად რომ მიიჩნიეს და არა მხოლოდ მათ...

საქართველოს ისტორიაში არის რამდენიმე ძეგლი, ეპოქასთან რომ გაიგივდება:

XI საუკუნე და სვეტიცხოველი...

XII საუკუნე და გელათი... და ასეა ესეც:

XX საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი..

და თუნდაც იმიტომ, რომ მუხრანის უნივერსიტეტია...

ფიქრი მეათე

მუხრან მაჭავარიანი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აირჩიეს – მუხრან მაჭავარიანი პოეტი-აკადემიკოსი გახდა... დღეს იგი ერთადერთი პოეტი-აკადემიკოსია... არადა აკადემიკოსები იყვნენ გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე... და ბოლოს – ანა... ეს არ ყოფილა დროის მიერ მოტანილი დიდება. მუხრანი თავისი პოეზიით, თავისი მოღვაწეობით იმსახურებდა ამას... და ეს ალბათ აკადემიას უნდა მივულოცოთ უპირველესად; მე მახსენდება ერთი ადგილი სერგი დურმიშიძის მოგონებებიდან: მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა გალაკტიონთან ერთად სურათი გადავიღეთო; ნიკო მუსხელიშვილმა გვითხრა, ეს სურათი კარგად შეინახეთ, ისტორიაში ამ სურათით დავრჩებით და არა ჩვენი შრომებითო...

და დარჩნენ ისტორიაში იმ სურათითაც... და დარჩებიან ისტორიაში აკადემიკოსები მუხრანის გვერდით დგომითაც...

ჰოდა, მინდა აკადემიას მივულოცო მუხრან მაჭავარიანის აკადემიკოსობა და მუხრან მაჭავარიანსაც!..

ფიქრი მეთერთმეტე

მე მახსენდება ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისი. იმართებოდა პოეზიის საღამოები; უწყობდნენ შეხვედრებს მურმანს, მუხრანსა და ანას. დიახ, ასე, სახელებით აცხადებდნენ: მურმანი, მუხრანი, ანა!.. და იყო უზარმაზარი პატივისცემა ერთმანეთისა... (ვიმეორებ: დიდება წლებს არ მოუტანია – დიდებით შემოვიდნენ ისინი ქართულ პოეზიაში და სახელებით დამკვიდრდნენ იმთავითვე!)...

ძნელია წარმოდგენაც კი იმისა, უფრო მაღალი შეფასება მისცეს პოეტმა პოეტს, ანაზე რომ საუბრობს მუხრანი („წყავის ფოთოლი“) – „მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა, რაც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში იყო და არის ლექსის უკვდავების საწინდარიო“... ანდა მურმანზე მისი აზრი („მურმანის გამო“) – „ღირს სიცოცხლე მურმანის გამოო“...

ასე ფიქრობდა მუხრან მაჭავარიანი გიორგი შატბერაშვილსა თუ გივი ძნელაძეზე, ქიცა ხერხეულიძესა თუ ჯურხა ნადირაძეზე, იორამ ქემერტელიძესა თუ შოთა ნიშნიანიძეზე... ზოგადი აზრია მუხრანისა: ღირს სიცოცხლე მეგობრის გამოო... და ტკივილიც მეტი ახლავს









ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲖᲔ
მუხრან მაჭავარიანის ოთხტომეული
(გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007)



ფოტოები მაია კუდავასი

მეგობრის წასვლას ამ ქვეყნიდან. ამოიგმინებს ერთგან: „რა ღმერთი გვიწყრება?! გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ ჩხეიძე, შოთა ჩანტლაძე, ოთარ რაზმაძე... ახლა ფილიპე ბერიძე... სად გაგონილა ასე ზედიზედ ამდენი ნიჭიერი კაცის სიკვდილი!“ და გააყოლა ცრემლი თავის „დაუძინებელ მეგობრებს“, „თხემით ტერფამდე ქართველებს“... და იმედად დარჩა „მშობლიური ენის სულზე მორგებული“ მათი ხმა... და სჯერა, რომ მათი სახელები უკვდავყოფენ საქართველოს; მათი სულები იხსნიან საქართველოს... „ხალხი და... მერე რა ხალხი!“

და როცა მუხრან მაჭავარიანს ვუსმენ, როცა მის ლექსებს ვკითხულობ, ისეთი შეგრძნება მაქვს, ამ ქართველებს იხმობს პოეტი დღევანდელი საქართველოს საშველად კონსტანტინე გამსახურდიას სარდლობით:

„სისხლისგან იწრიტება და გულზე
ცეცხლი უკიდია სამშობლოს
ჩემსას!
რა გაძლებინებს მიწაში,
ბატონო კონსტანტინე?!
ამოანგრიე საფლავი!
ამოიყოლე შენებრ გულდათუთქული
ქართველნი (უხვად რომ
არიან მანდ)!
ისევ შენ და ისინი თუ უშველით ამ
ჩვენს იავარქმნილ ქვეყანას!..“

ილიამ თქვა დავით აღმაშენებელზე, არა მარტო მისი საქმეების გახსენება, მისი სახელის ხსენებაც კი გვწვრთნისო ჩვენ და ამიტომაც უხმობს მუხრანი ნათელ სულებს თავისი სამეგობროდან, ზეციური საქართველოდან: დიახ, მეგობართა სულებს მოიშველიებს ჩვენი სულების გასაწვრთნელად!

ღმერთო, ისმინე მუხრან მაჭავარიანისა!..

ფიქრი მეთორმეტე

„საჩხერეს მიაშურებენ
პარასკევს ჩვენებურები.
ცხამიდან მოდის ურემი,
ჩონთოდან მოდის ურემი,
იტავაზიდან მოდიან,
ბახიოთიდან მოდიან...
– იმე...
– კი, მარა...
– შე, კაცო...
– ქე მაინც...
და...
– რა მცოდნია!
ისმენენ ჩემი ყურები.
მოჭრიალებენ ურმები;
გოჭებით,
ინდაურებით –
მოდიან ჩვენებურები“.

– ასე იმერეთს დავით კლდიაშვილი ხედავდა და აცოცხლებდა თავის მოთხრობებში; დავით კაკაბაძე ხედავდა და აცოცხლებდა თავის ნახატებში... და მუხრან მაჭავარიანი აცოცხლებს იმერეთს თავის პოეზიაში ასე... საჩხერე სხვაა მუხრანისათვის; არგვეთი და სხვიტორი... ლაშურა და იზვარა... „იმერეთი, მსგავსი ნაჭრის საბნისა!..“

ერთგან თქვა, არგვეთი და არა არგვეთაო... რა აქვს არგვეთას დასაწუნი, მაგრამ მისი სოფელი არგვეთია; აქ იგრძნო პირველად ქართული მიწის მადლი, აქ იგრძნო პირველად ქართული სიტყვის სიტკბო, აქედან დაინახა და აღიქვა საქართველო პირველად... და ეამაყება აკაკის საჩხერეს მუხრანის მშობლობაც...

თუმცა, მოდით, აქ აკაკის ნათქვამი მოვისმინოთ, ილიაზე რომ თქვა:

„ერთ გლეხკაცს ეგონა, მზე თავის სოფლის გორაკიდან ამოდიოდა და წავიდა მის დასაჭერად. მაგრამ დაინახა, რომ მზე მეორე გორიდან ამოდიოდა. გადავიდა, მაგრამ მზემ მესამე გორაკიდან ამოჰყო თავი. იქაც აბობღდა და კიდევ შესცდა. ბოლოს ერთ განდეგილს შეხვდა, რომელსაც შესჩივლა. განდეგილმა უპასუხა: მზეს ვერავინ დაიჭერს, იგი ყველგან და ყველაფერს ანათებსო. ასე დიდებულია ილიას სახელიც. მისი სამშობლოს – ყვარელის გარდა ყველგანაა და ყველასთ-

ვის ანათებსო“... ჰოდა, დიდებულია მუხრანის სახელი; ის მისი საჩხერის გარდა, ყველგანაა და ყველასთვისაა... მაგრამ მაინც სხვაა საჩხერე მუხრანისათვის და საჩხერისათვის მუხრანი... უდღეგრძელოს!..

ფიქრი მეცამეტე

ერთი წლისა ყოფილა მუხრანი, როცა თბილისში გადმოსულან საცხოვრებლად („თბილისში, არაგვის ქუჩაზე“)... და მერე – „ყოველ წელს, საზაფხულო არდადეგების დამდეგს, არგვეთიდან ჩემს წასაყვანად ჩამოდიოდა ზაფხული და მე სევდანარევი ნეტარებით ვტოვებდი თბილისსო“, – გაიხსენებს მოგვიანებით პოეტი... გაიხსენებს და დაამატებს: „ყოველ წელიწადს, ახლაც, როგორც უწინ, არგვეთიდან ჩამოდის ზაფხული და მე მთელი ჩემი ჯალაბით (ცოლით, შვილით, სიძით, შვილიშვილებით, სიძისსიძით, შვილთაშვილებით) მივყავარ არგვეთში“... და ხარობს არგვეთი და ლაშურა...

და მერე ისევ თბილისი... და ხარობს თბილისი, რადგან

„თბილისის ფართო ქუჩებში დადის“:

მუხრანი,
ლამარა,
ნანა,
ვანო,
ლერი,
ანა,
სოფო,
მუხრანი,
რატი,
გიორგი,
დავითი,
თამარი,
ლევანი და...
„იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!“

18 დეკემბერი,
2009 წელი.

მინაწერი ხუთი თვის შემდეგ:

2010 წლის 17 მაისს ბატონი მუხრანი განეშორა ამ ცოდვილ სააქაოს... და წავიდა ისე, როგორც ეკადრებოდა მუხრან მაჭავარიანს:

იცოდა ფასი მეგობრობისა და მეგობრის იუბილეზე სიტყვას რომ ამბობდა, მაშინ...

ეთაყვანებოდა დიდ წინაპრებს და აკაკიზე, ვაჟაზე, გალაკტიონზე, ტიციანზე რომ საუბრობდა, მაშინ...

ხელოვნების მუხლჩაუხრელი მსახური იყო და რუსთაველის თეატრის სცენაზე რომ იდგა, მაშინ...

მთელი ცხოვრება მკითხველის სიყვარული და პატივისცემა არ მოჰკლებია და უზარმაზარი დარბაზი სულგანაბული რომ უსმენდა, მაშინ...

და, რაც მთავარია, საქართველოზე რომ საუბრობდა, მაშინ!..

მის მიერ წარმოთქმული ბოლო წინადადება ეს იყო: „არადა, არამცთუ სხვაგან, ამჟამად, თვით საქართველოში, სამწუხაროდ, არიან ქართველები, რომლებსაც მაინცადამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი ქართველობა!“

ვეღარ მოასწრო მომდევნო წინადადების თქმა: „მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ღმერთი თავისას მიუზღავს ყველას, და დღეს არა, – ხვალე, ამ, ე. წ. ქართველთაგან, არც ერთ მათგანს არ ასცდება ბედი აკაკი წერეთლის ნათაგვარი ღამურასი!“

გარდაიცვალა ისე, როგორც ეკადრებოდა მუხრან მაჭავარიანს!

2010 წლის 18 მაისი.

ფოტოებზე
მუხრან მაჭავარიანის ორტომეული
(გამომცემლობა „ინტელექტი“, 2009)

ფოტოებზე
ელგუჯა ბერძენიშვილი

ემზარ კვიტაიშვილი

ორი მუზის მსახური

ზოგჯერ შევკრთები ხოლმე, იმდენი ხანია გასული მას შემდეგ, საღამოობით, კიროვის (დღევანდელი ვერის) ბაღში რომ შევხეტიალდებოდი და ნაცნობების რომელიმე ჯგუფს შევერეოდი. აპრილის ბოლოდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე ვის აღარ ნახავდით. პოლიტიკაზე გაცხარებით მოპაექრე პენსიონერებს, ჭადრაკის სასახლის ბოლოს, თავიანთი კუთხე ჰქონდათ.

ახალგაზრდები, მეტწილად, აუზის გაყოლებაზე იყრიდნენ თავს და იყო გაუთავებელი კამათი ფეხბურთზე; დანაწილებული ჰყავდათ სათაყვანებელი კერპები და ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. ჩვენს გუნდში მაშინ არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის „ვარსკვლავი“ თამაშობდა; უცხოეთშიც დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი ქართველ ფეხბურთელებს და ბაღში შეკრებილთ სალაპარაკოს რა გამოულევდათ. აქ იყვნენ მწერლები, მხატვრები, მსახიობები, კომპოზიტორები, მეცნიერები, რომელთაც მრავალჯერ უსახელებიათ საქართველო. ბევრი იმათგანი, ჩვენდა სამწუხაროდ, ცოცხალი აღარაა.

ახლახან, ჩემი უფროსი მეგობარი, უბრწყინვალესი ფერმწერი და ასეთივე მწერალი **ელგუჯა ბერძენიშვილი** და მე ვიხსენებდით სიზმარივით გამქრალ წლებს და სევდას ვეღარ ვმალავდით. ვიცოდი, ელგუჯა და მასავით გამორჩეული რამდენიმე ნიჭიერი მხატვარი, სტანდარტულ აზროვნებას, სოცრეალიზმის ჩარჩოებს რომ ვერ ეგუებოდნენ, ჭეშმარიტ ხელოვნებასა და სიახლეებს რომ მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ, უგულო, პედანტმა ხელმძღვანელებმა, „ფორმალიზმის“ ბრალდებით, აკადემიიდან გარიცხეს. ამას ისინი ტრაგედიად არც მაშინ აღიქვამდნენ და თავიანთ მრწამსზე არასოდეს უთქვამთ უარი. მანამდე, ხელისუფლების გულის მოსაგებად დაგეშილმა უვიცმა, ბობოლა ჩინოვნიკებმა თვით **ლადო გუდიაშვილი** და **დავით კაკაბაძე** არ დაინდეს, გენიალური მხატვრები სასწავლებლიდან განდევნეს, არსებობის საშუალება მოუსპეს.

ელგუჯა სიამოვნებით იგონებდა, ადრე საღამოთი, როგორ შემოდიოდნენ ბაღში ჩვენი სახელოვანი სწავლულები – ბრგე, ხელჯოხიანი **შალვა ნუცუბიძე**, ფიცხი, მუდამ საპოლემიკოდ შემართული **აკაკი გაწერელია**, ფაკირს თუ რომელიღაც ეგვიპტურ ღვთაებას მიმსგავსებული, მაღალი და გამხდარი, თვალებმოჭუტული, საქვეყნოდ ცნობილი არაბისტი **გიორგი წერეთელი**, რომელსაც ხშირად ახლდა ხოლმე მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა **თამაზ გამყრელიძე**, ვინც მეცნიერებასა და თავის საყვარელ სპორტს – ჩოგბურთს – მშვენივრად უთავსებდა ერთმანეთს. ბატონი შალვა ჯერ კიდევ მხნედ გრძნობდა თავს, ყავარჯენი ყასიდად ეჭირა. მახსოვს,

ერთხელ, სანდომიანი, ვნების აღმძვრელი ლამაზი ქალის დანახვისას (გვერდით მისივე ტოლი ორი ნაცნობი ედგა), ღრმად ამოიოხრა, ქუთუთოებშეშუპებული თვალები ხარბად გააყოლა იმ ქალს და საჩვენებელ თითზე დაბზრიალებული მძიმე ყავარჯენი ელექტრონის ბოძს ღონივრად შემოჰკრა. მის თანამოსაუბრეებს გაეღიმათ და გახალისებულებმა გააგრძელეს გზა.

ამგვარ სოლიდურ, საპატივცემულო პიროვნებებთან ფეხბურთზე ლაპარაკს ვინ გაბედავდა, სულ სხვა, მაღალ მატერიებსა და ურთულეს პრობლემებზე მსჯელობდნენ, მოგვიანებით, როცა ისინი ბაღიდან გადიოდნენ, მერე ატყდებოდა ცხარე კამათი ფეხბურთის მატჩებსა და ცალკეულ ფეხბურთელებზე. შუაღამემდე დაობდნენ. საქმე ზოგჯერ გაწევგამოწევაზე მიდგებოდა. ფეხბურთის გარდა, ცხადია, ბევრ, ჩვენთვის საინტერესო რემეებზედაც ვლაპარაკობდით.

კარგად ვიცოდი – ლიტერატურის ისეთი თავგამოდებული მოყვარული, როგორიც ელგუჯა ბერძენიშვილია, ჭაბუკობიდანვე ორი მუზის – მხატვრობისა და მწერლობის – ერთგული მსახური იყო. დაუვიწყარი, წარუშლელი აღმოჩნდა ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილება, როდესაც მამამისის შენახულ „ცნობის ფურცელში“ **ლეონარდო და ვინჩის** სურათის რეპროდუქცია იხილა. ყმაწვილის მწერლურ გატაცებას მძლავრი ბიძგი მისცა **ვაჟა-ფშაველასა** და **კონსტანტინე გამსახურდიას** შემოქმედებამ (დიდი გატაცებით აფორმებდა მის რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“). ელგუჯა ბერძენიშვილის უსაყვარლესი მწერლები რომ ჩამოვთვალო, ძალზე დიდი სია გამოვიდოდა. მაინც უნდა დასახელდეს ზოგიერთი მათგანი, რომელთა ოსტატობასა და უმდიდრეს სულიერ სამყაროზე, თავისებურებებზე, კონკრეტულ ეპიზოდებსა და დეტალებზე მას შეუძლია საათობით ისაუბროს: **სერვანტესი**, **სტენდალი**, **ფლობერი**, **ტოლსტოი**, **დოსტოევსკი**, **თომას მანი**, **ჰერმან ჰესე**, **ფრანც კაფკა**, **ჯეიმს ჯოისი**, **მარსელ პრუსტი**, **კნუტ ჰამსუნი**, **უილიამ ფოლკნერი**, **ერნესტ ჰემინგუეი**, **მარგარიტ იურსენარი**, **რობ-გრიე**... მისი საყვარელი საკითხავია ისლანდიური საგები, რომელთა მომჭირნე, მკაცრი უბრალოება და ტრაგიკული კოლოზიებით გაჯერებული

ფოტოზე
ელგუჯა ბერძენიშვილის ავტოპორტრეტი



სისადავე ასე ხიბლავს, ადამიანის ძნელად შესაცნობ ბუნებაზე საფიქრელად განაწყობს.

ელგუჯა ბერძენიშვილი ახალგაზრდობაშივე წერდა მშვენიერ, უაღრესად თავისებურ პროზას, მაგრამ გადამეტებული მორიდებულობის გამო, ახლო მეგობრებსაც იშვიათად აკითხებდა, გამოქვეყნებაზე, მითუმეტეს არასოდეს უზრუნია. მხოლოდ მის მზრუნველ მეუღლეს, შესანიშნავ გერმანისტს **ნატა ჯანელიძეს** უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან ავტორისგან ნამალავად წაიღო ქართული პროზის ნამდვილი მარგალიტი, მოთხრობა „ხასანბეგურა“ და მიუტანა გამოჩენილ მწერალსა და მთარგმნელს, „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელ რედაქტორს **ვახტანგ ჭელიძეს**. დახვეწილი ინტელიგენტი, უზადო გემოვნების მქონე ბატონი ვახტანგი უმალვე მიხვდა, რაოდენ ფასეული, მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო მის ხელთ და დაუყოვნებლივ დაბეჭდა. „ხასანბეგურამ“ მკითხველთა და ცნობილ ლიტერატორთა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა, მოთხრობის დიდოსტატმა **რევაზ ინანიშვილმა** ამ შედევრის წაკითხვის შემდეგ თავისი აღტაცება საქვეყნოდ გამოთქვა.

უეჭველი ჭეშმარიტება გახლავთ – ღვთიური ნიჭი თუ არ დაგყვა, ისე ვერანაირი თეორიების შესწავლა ვერც ჭეშმარიტ ლექსს დაგაწერინებს და ვერც სრულფასოვან სურათს დაგახატვინებს; თუმცა ისიც სათქმელია, რომ შენი საქმის ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა დიდად სასარგებლოა. მაგალითად, შეუძლებელია, სიამოვნება არ მოგანიჭოს, შემოქმედებითი აღმაფრენა არ მოგანიჭოს სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების გამოჩენილ ხელოვანთა ნააზრევმა, ძველი ინდური, ბერძნული, იაპონური, ჩინური თუ სპარსული ტრაქტატების კითხვამ; ესთეტიკური ღირებულების გარდა, უდავოა მათი პრაქტიკული დანიშნულება. საგანგებოდ შემუშავებული, უტყუარი ალღოთი მიგნებული, საგანგებოდ დამუშავებული ხერხები და თვალთახედვა საუკუნეთა განმავლობაში იხვეწებოდა და, ცხადია, ოსტატთა ხანგრძლივ გამოცდილებას ემყარებოდა. ძველ იაპონელებს მიაჩნდათ – თაობების მიერ დაგროვილი წესები საიდუმლოდ უნდა შენახულიყო. მათ სწამდათ გენიოსის ბუნებაში ჩაბუდებული სასწაული და ირაციონალურობა. ეს აზრი ნამდვილად არ არის ხელაღებით უკუსაგდები, მაგრამ ყველაფერში ზომიერება უნდა დავიცვათ. მაგალითად, შუასაუკუნეების ერთი ლათინურენოვანი მწერალი ამბობდა: საიდუმლოს სიდიადეს აკნინებს მისი ფართოდ განთქმა და ჩემი ნაწერი სამიოდე მეგობრისთვის არის განკუთვნილიო. მკითხველთა, თანამოაზრეთა წრის ასე დავიწროება არაა მთლად გამართლებული, კასტურობის ელფერი დაჰკრავს. ელგუჯა ბერძენიშვილისგან გამიგონია – ბევრ ზერელე და უგემოვნო მკითხველს ცოტა და დახვეწილი ჯობსო, რაშიც ძნელია შეედავო. მისი სამაგიდო წიგნთაგანია გულდაგულ შტუდირებული **დელაკრუას** „დღიურები“ და მისი არაერთი გამონათქვამი სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადა.

ელგუჯა ბერძენიშვილისთვის ბევრჯერ მიკითხავს, ვინ არიან მისი საყვარელი მხატვრები. იგი აღმერთებს ძველ ვენეციელ ფერმწერებს (**ტიციანი**, **ტინტორეტო**, **ჯოვანი ბელინი**, **ვერონეზე**,

ჯორჯონე...), აღაფრთოვანებს მათი განუმეორებელი ოსტატობა, თუმცა მისი ინტერესები, თვალსაწიერი ბევრად ფართოა. ამას წინათ სახელდახელოდ ჩამოთვალა რამდენიმე დიდი მხატვრის ნამუშევრები. იმათგან ზოგიერთი დამამახსოვრდა: **ტიციანის** „ქაბუკი ხელთათმანით“, „ახალგაზრდა ინგლისელის პორტრეტი“, „ლამაზმანი“...; **ბრეიგელის** „მონადირენი თოვლზე“ (გურიის ზამთრის პეიზაჟს მაგონებს გამფრინვალე და შიშველ ტოტებზე შემომჯდარი შავი ფრინველები, ფერდებაწურული მწევრებიო, აღტაცებული ამბობს), **ელ გრეკოს** „ტოლედო“, **ჯორჯონეს** „კონცერტი“, **გოიას** „იზაბელა კობოს დე პორცელის პორტრეტი“, **დელაკრუას** „ტრაიანეს მართლმსაჯულება“; „ჯვაროსნების შესვლა კონსტანტინოპოლში“, „ალჟირელი ქალები“, **რენუარის** „გოგონა მარაოთი“, „მსახიობ სამარას პორტრეტი“; **ვან გოგის** „წვიმის შემდეგ“ (ამ სურათზე საუცხოო პროზაული ესკიზი შექმნა, მსგავსი ჩანახატები მრავლად აქვს, მაგრამ ძუნწად აქვეყნებს, დიდ დროს ანდომებს დახვეწას). აქ ჩამოთვლილი ნამუშევრები ზღვაში წვეთია, რითაც ქართველი მხატვარი აღფრთოვანებული და მოჯადოებულია. **ბოტიჩელის** ხაზის ღვთაებრივი სინატიფე მისი გაუნელებელი აღტაცების საგანია, მაგრამ მხატვრობის უპირველეს ღირსებად ფერწერა მიაჩნია.

დიდი ინგლისელი ხელოვნებათმცოდნე, მწერალი და თეორეტიკოსი **ჯონ რიოსკინი** საგანგებოდ აღნიშნავდა, ბიზანტიური ხელოვნების, მისი არქიტუქტურის, დაცემისა და გადაგვარების მიზეზი ფერის უგულვებელყოფა იყოო.

იმავე რიოსკინის სახელგანთქმული წიგნიდან „ვენეციის ქვები“ უნდა მოვიტანო ერთი ამონაწერი, რომელსაც შეუძლებელია არ იზიარებდეს ელგუჯა ბერძენიშვილი, ვისთვისაც „ფერი სულია ფერწერისა“.

„ფერზე უპირატესად ლაპარაკობენ, როგორც სილამაზის ხელშემწყობ ინსტრუმენტზე, უფრო მეტიც – გრძნობადი სიამოვნების წყაროზე, მაგრამ ეს ასე როდია. ამგვარ მსჯელობათა მიზეზი მეტწილად გაუაზრებლობაა; ისინი ვინც ასეთ შეხედულებებს ახმოვანებენ, თუკი არ დაიზარებენ და დაფიქრდებიან, რად გადაიქცევა სამყარო, თვით მათი არსებობა, ცას რომ სილურჯე დაეკარგოს, მზეს – ოქროვანი ნათება, ფოთლებს რომ სიმწვანე წაერთვას, ხოლო სისხლს, სიცოცხლის მომცემს – ალისფერი. ვთქვათ და გაქრა ლოყების სიწითლე და თვალთა ბნელი სიღრმე, თმის ელვარება, მათ წინაშე თუნდ წამიერად წარმოჩნდნენ სრულიად თეთრი ადამიანები თეთრ სამყაროში, ისინი უმალ მიხვდებიან თუ რამდენად უნდა ემადლიერებოდნენ ფერს. ამის მიზეზი ის არის, რომ უფლის წყალობათაგან სწორედ ფერია ყველაზე წმინდა, ყველაზე ღვთიური, ყველაზე მნიშვნელოვანი“ (ლეონარდო და ვინჩიც ხომ ამავე აზრისა იყო).

„ხასანბეგურას“ ავტორისგან ჩემთვის თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და გასაკვირი, მაგრამ მისმა უბრწყინვალესმა ქმნილებამ „მხატვრის ფანტაზია“ (აზროვნების სიღრმე, წერის ვირტუოზული ტექნიკა, თავად ავტორის წარმოსახვის უჩვეულო ძალა) ნამდვილად გამაოგნა, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა.

ეს გახლავთ ესეისა და მოთხრობის უცნაური, ფანტასტიკური



შენადნობი, უფრო გადახრილი მხატვრული პროზისკენ, სადაც ყოველგვარ ჩარჩოებს გადაცდენილი წარმოსახვა და ჭეშმარიტი პოეზია ზეიმობს. გარდა დიდი ცოდნისა და გამოცდილებისა, უხვად მომადლებული მწერლური ნიჭისა, მისი დაწერა ელგუჯა ბერძენიშვილს იმანაც შეაძლებინა, რომ უმდიდრესი პალიტრის მფლობელი და ფერთა შეზავების იშვიათი ოსტატია.

ვისაც მხატვრობისა რაიმე გაეგება, ყველამ იცის – ცხოვრების წესით, მსოფლმხედველობით, ხასიათით, შინაგანი სამყაროთი, ხატვის მანერით – რამდენად განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან ორი დიდი შემოქმედი – **პოლ სეზანი** და **სალვადორ დალი**. სეზანი თუ ახალი ხელოვნების, კერძოდ, კუბიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია (მისგან საკმაოდ არის დავალებული **პაბლო პიკასო**, სხვებიც), სალვადორ დალი, მართალია, ზედმეტად ექსცენტრული, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა, სამაგალითოდ თამამი ნოვატორი, ხატვის განუმეორებელი, განსაცვიფრებელი ოსტატი.

სრულიად აშკარაა, რაოდენი გაბედულებაა საჭირო, რომ ისინი ერთმანეთთან დააწყვილო, მაგრამ ელგუჯა ბერძენიშვილმა შეუძლებელი შესძლო, მართლაც ბეწვის ხიდზე გაიარა, რადგან იგი ორივე გენიალური მხატვრის შემოქმედების საზრისის, ტემპერამენტთა შესაშურ ცოდნასა და თავისსავე უსაზღვრო ფანტაზიას ავლენს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ყოველივე ეს ავტორის წარმოსახვაში, გონებაში ხდება. იგი არა მარტო თავისსავე ორეულს ესაუბრება, მის არსებაში იკვეთება რამდენიმე მოკამათე პიროვნება, რომლებიც განსხვავებული წახნაგებით განიხილავენ ფერისა და ფანტაზიისადმი სეზანისა და დალის დამოკიდებულებას (ყოველ მათგანს თავისი არგუმენტი და პოზიცია აქვს მომარჯვებული). თუკი სეზანი მთლიანად „ნატურაზეა მიჯაჭვული“ და თავის უბადლო ნატურმორტებს ფერთა საიდუმლოს წვდომის მეშვეობით ქმნის, ქვეცნობიერის წიაღში დანთქმული სალვადორ დალი (აქ, რაღა თქმა უნდა, დავიწყებული არაა **ნიცშესა** და **ფროიდის** მძლავრი ზემოქმედება) თავის ფრთებშეუკვეცავ ფანტაზიასა და სიზმრისეულ ხილვებზეა მინდობილი და, ამდენად, ფერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც აქცევს. ამგვარ ფონზე მიმდინარეობს ინტელექტუალური მსჯელობა; გამოუცდელ თვალსა და გაუწვრთნელ გონებას შესაძლოა მოეჩვენოს, რომ აქ გადაულახველი წინააღმდეგობაა აღმართული.

„ფერმწერის ფანტაზიაში“ ავტორის სულთან ახლოს მყოფი ერთ-ერთი უჩინარი, მაგრამ თავის პოზიციაზე მყარად მდგარი „მოკამათე“ ასეთ მრავლისმეტყველ ტირადას წარმოსთქვამს:

„სალვადორ დალის სურათები გაოცებასა და შიშს იწვევს. საიდუმლო ძრწოლვით გვავსებს. თურმე რა ხდება ადამიანის სულში. რა სიბნელეში აღწევს მხატვრის მზერა. რა დიდებული ფანტაზიის მქონეა იგი. სალვადორ დალი ტილოზე აცხადებს უცნობს, ჯერარნახულ, იდუმალებით მოცულ სამყაროს. აქაა თვალნათლივ მოცემული ჩაუღწეველი, ბნელი სიღრმიდან ამოტანილი ქვეცნობიერის საშინელი სახე. აქაა ქვენა გრძნობების დაუოკებელი სურვილები, ინფანტილურის სექსუალური ლტოლვები, ოდესღაც აკრძალვით განდევნილი,

მის ტილოებზე ხდება ყოველივე აკრძალულის რეალიზება... ოცნებები, ფობიები, პარანოიდული თუ შიზოიდური ხილვები, ანგელოზური ხილვები, კოშმარული სიზმრები, მოჩვენებები...

ყოველივე ეს თავის ადგილზე აღმოჩნდებოდა თუ არა ტილოზე; სალვადორს რომ კალამი აეღო ხელში, მაშინ მივიღებდით **ფრანც კაფკას**, ხოლო კაფკას რომ ფუნჯი აეღო და ტილოზე ეხატა – სალვადორ დალის, მაგრამ კაფკა მომგებიან ადგილზე აღმოჩნდა, თავის მშობლიურ გარემოში. მეტაფორა, ალეგორია, ხილვები, ზმანებები, სიზმრები, წინათგრძნობები, ყველაფერი ეს კაფკასთან შინ გრძნობენ თავს (სიტყვის სამყაროში). სალვადორ დალი კი მსგავსი თემებით, იმავე მოტივებით, შემთხვევით, ტილოს მისდგომია და სრულიად უადგილოდ მოგვითხრობს ტილოზე ზეთის საღებავებით. არაცნობიერი სამყაროს გამომზეურება დიახაც საჭიროა ადამიანის ფსიქიკის შესაცნობად, მაგრამ ეს სფერო უცხოა და მიუღებელი ფერწერის ესთეტიკისათვის! ამაოდ უპყრია ხელთ პალიტრა და ფუნჯები სალვადორს, ის ფერით მოაზროვნე და ფერმწერი არ არის“.

ასეთ, უკიდურესად უარყოფით გამონათქვამს მოწინააღმდეგე, მოპაექრეს თავის მსჯელობას მიკერძოებად უთვლის, რადგან მიაჩნია, რომ მას არ ძალუძს „დაინახოს სალვადორ დალის ნოვატორობა“.

სხვა პერსონაჟი, ასევე წარმოსახვითი, ვერ ურიგდება ბრალდებას სეზანის უფანტაზიო მხატვრად გამოცხადებაზე და დინჯად, დამაჯერებლად ასაბუთებს ამის გამაბათილებელ თვალსაზრისს:

„აი, სეზანი ხატავს მსხალს. თქვენ იტყვით – რა უნდა ერთი



მსხლისა და თეფშის დახატვას, თუ ოსტატობა გაგაჩნია მხატვარსო, თანაც, რასაც ხატავს, ყველაფერი ცხვირწინ ულაგია მაგიდაზე – აქ რა რჩება ფანტაზიის სამოქმედოდ? მოთმინება ვიქონიოთ: სეზანი სადაცაა მორჩება მუშაობას და ჩვენ ვიხილავთ და მივხვდებით, რომ თურმე სეზანის ფერწერაში სულ სხვა, თვისობრივად განსხვავებულ ფანტაზიასთან გვქონია საქმე. ჩვენ შევნიშნავთ დიდ განსხვავებას სეზანისა და სალვადორ დალის ფანტაზიას შორის. განა ამაზე არ ვკამათობთ? თუ რა არის ფერმწერის ჭეშმარიტი ფანტაზია?

სეზანი ხატავს მსხალს... მისი მზერა დაჟინებით მისჩერებია საგნებს და ფერებით ანთებულ პალიტრას. მის წინაშეა სინამდვილე, მაგრამ ტილოზე ახალი სინამდვილე უნდა შეიქმნას, ახალი სამყარო, სამყარო ფერწერისა, მაგრამ როგორ? სეზანის ფანტაზია იწყებს მოქმედებას, ის შორს გაიჭრება, ცას არ გადასერავს, ის სიღრმეში ეშვება, პალიტრას დასტრი-

ალებს, აქაა ფერწერის სამყარო და ის არ წყდება ფერწერის წიაღს. ის არ ფანტაზიორობს ტილოზე, არაფერს არ თხზავს, მისი ფანტაზია უჩუმრად მოქმედებს, ობობასავით ქსელს აბამს საგნებსა და პალიტრაზე დასხმულ საღებავებს შორის, ფერწერის საიდუმლო პალიტრაზე ბუდობს“.

ჩვენ მოწმენი ვხვდებით, რა ბუნებრივად ხდება დაპირისპირებულ თვალსაზრისთა შეჯერება და, საბოლოოდ, ყველაფერი ჰარმონიაში ექცევა, ავტორი ფაქიზად მიგვანიშნებს ფერწერის არაერთ საიდუმლოზე. სეზანისავე ხელოვნებას უკავშირდება ზემოთ მოტანილ თვალსაზრისს მოდევნებული მსჯელობა, რაც არაერთხელ გამოუთქვამთ, მაგრამ ელგუჯა ბერძენიშვილი დიდი ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ამ უკვე საყოველთაო ჭეშმარიტებასაც თავისებურად, ელეგანტური მოქნილობით, სახიერად გამოთქვამს.

„საჭიროა ეკვივალენტის პოვნა, აი ფერმწერის ფანტაზიის მოვალეობა. ეკვივალენტი სრულებით არ ჰგავს არსებულ სინამდვილეს, მაგრამ ეკვივალენტის ძალით იქმნება ტილოზე წარმოშობილი ფერწერის სამყარო, თვალისათვის ზეიმი, როცა ადამიანი შესცქერის ფერწერულ ტილოს და არ კითხულობს, რას ნიშნავს ის, რაც გამოხატულია. ფერწერა რებუსი არ არის. განა პატიოსანი თვლები შინაარსით გვიზიდავს? რა შინაარსი გააჩნიათ მათ გარდა იმისა, რომ მშვენიერებას ასხივებენ?“

მსგავსი, პროფესიული ცოდნითა და უზადო გემოვნებით აღბეჭდილი, მოსაზრებების მოხმობა უხვად შეიძლებოდა, მაგრამ ეს საერთო სურათსა და მთლიან განწყობილებას ვერ შეცლიდა.

წარმოსახვითი პაექრობის განმავლობაში, კედელზე ვხედავთ, რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილ, სალვადორ დალის გოროზად, ამრეზილად მაცქერალ ფოტოს (სიტუაციებისდა მიხედვით, მას დროდადრო ეცვლება სახის გამომეტყველება), მხატვარს სახეზე, თვალებზე, „მაგიური ძალის შემცველ“ ულვაშებზე ბუზი დააცოცავს; იგი თითქოს კიდევაც აღიზიანებს თვალებანთებულ მაესტროს; „სამყაროს ყველაზე უფრო პარანოიდული მწერი“, ეს მოძრავი შავი წერტილი თავისებურ რიტმს ანიჭებს თხრობას, თვალსაჩინო როლს ასრულებს, ნაწარმოების კომპოზიცია ბუნებრივად რომ შეიკრას.

ყველაზე მომხიბლავი და შთამბეჭდავი მაინც „ფერმწერის ფანტაზიის“ გენიალურად მიგნებული ფინალური ეპიზოდია – დიდი ოსტატობით გარდასახული, სახეცვლილი ლიტერატურული აპლიკაცია თუ თავისებური მისტიფიკაცია, რაც ასე ესადაგება სალვადორ დალის ხასიათს, მის ფანტასმაგორიულ ვიზიონებს. კარგად ვიცი, როგორ ეთაყვანება ელგუჯა ბერძენიშვილი სერვანტესის უკვდავ, სწორუპოვარ რომანს და სწორედ აქ შეუდარებელი ძალმოსილებით იყენებს მის მთავარ პერსონაჟებს, ოღონდ დონ კიხოტს, „მწუხარე სახის რაინდს“, როსინანტზე ამხედრებული ულვაშებაპრეხილი, გამომწვევად ამპარტავანი სალვადორ დალი ენაცვლება, ხოლო ჩაკურატებული, ტანდაბალი სანჩო პანსა თავის ერთგულ ვირზე გადამჯდარი მიჩაქჩაქებს და მათ შორის იმართება ნათელმხილველის შუქით გაბრწყინებული დიალოგი, რომელიც ყველაფერს ააშკარავებს, თავის ადგილზე აყენებს და რომლის მსგავსი, ემოციური ზემოქმედების სიძლიერით, იშვიათად

წამიკითხავს. ჩრდილში მდგარი ავტორი (მან მთელი ცხოვრება ასე გაატარა), ჩამავალი მზის ათინათში, გაფაციცებული ადევნებს თვალყურს ამ განუშორებელ წყვილს და ჩვენც ბედნიერი, ამაღლებული წუთების მოზიარედ გვხდის.

ეს ფინალური ნაწილი, მისი სისავსის, ფერადოვნებისა და ღრმა შინაარსის გამო, იმდენად სიმბოლური და მნიშვნელოვანია, შემოკლება არ უხერხდება, მთლიანად უნდა ამოვიწერო:

„ოქროსფერ ჰორიზონტს დაჩნდა ნაცნობი, ყველასათვის საყვარელი და ახლობელი სილუეტები. ერთი მათგანი თეთრ ჯაგლაგზე ამხედრებული შუბოსანია. ის ცას ასცქერის; მეორე, სახედარზე არხეინად გადამჯდარა, ნებიერად მისვენებული უნაგირზე, ზანზალაკების ტკბილ ჟღარუნში მთვლემარე. აი, მოახლოვდნენ და მოისმის მათი საუბარი:

– ჩემო კეთილო სანჩო, განაგრძეთ დაგდებული სიტყვა, მე მთელი გულისყურით გისმენთ.

– ოდესღაც მე მყავდა თქვენსავით დიდებული ბატონი, კეთილშობილი რაინდი, მთელი ცხოვრება მახვილით იცავდა სიკეთეს, ვიდრე გალიაში არ მოაყუჩეს და გიჟად არ გამოაცხადეს.

– სიგიჟიდან მე დაზღვეული ვარ, ხელოვნება ხომ მხსნელმაცხოვარია. მაშ გალიაში ჩასვეს?

– დიახ, ჩემო ბატონო, ის ღარიბი იყო და ღატაკი, ის სიკეთისათვის იბრძოდა. ღმერთმა აცხონოს, თქვენ, ბატონო, რისთვის იბრძვით?

– მე სიღატაკის წინააღმდეგი ვარ. მე სიმდიდრისათვის ვიბრძვი!

– მაშ, მდიდარი ყოფილხართ, ჩემო ბატონო, ოქროს მფლობელი!

– მე მდიდარი ვარ სულით! ხოლო ოქრო ჩემი ხელოვნებაა. სულიერად ღატაკებს ვებრძვი და სულიერად ვამდიდრებ ყველას!

– ღმერთმა აცხონოს, ჩემი ძველი პატრონიც სულ ასეთ რამეებს გაიძახოდა!

– კეთილშობილი კაცი ყოფილა!

– დიახ, აგრე იყო, მხოლოდ ერთი უბედურება სჭირდა, მოჩვენებები არ ასვენებდნენ, სულ რაღაც ელანდებოდა, მაგრამ მახვილის ვადას ბღუჯავდა, ომსა ვიქმო, იმუქრებოდა.

– მახვილი კი არ უნდა ჩაებღუჯა შენს პატრონს, ჩემო სანჩო, არამედ ფუნჯი უნდა აეღო ხელში და ჩვენებანი ტილოზე უნდა დაეტოვებინა სამუდამოდ. მაინც, რა ეჩვენებოდა იმ შენს პატრონს?

– აი, ის, რაც თქვენ ტილოებზე ვნახე დახატული. ოღონდ მაშინ ბატონის ნაამბობის ცხადად დანახვა მიძნელდებოდა; როცა თქვენს ნახატებს ვათვალიერებ, ახლა ვხვდები, თურმე რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა ჩემი საბრალო ბატონის თავში. ნუ მიწყენთ, ჩემო ბატონო, და თქვენ ძალიან მაგონებთ მას, ხანდახან შიში შემიპყრობს ხოლმე და ვეკითხები ჩემს ხეპრე თავს, ის ხომ არ არისმეთქი, მაგრამ მას მწუხარე სახე ჰქონდა, თქვენ კი ამპარტავანსა ჰგავხართ...

– ნელა ჩამიარეს გვერდით ლანდებმა და ნელადვე მიჰქრა ზანზალაკების ჟღარუნი...“.

ყველაფერი ისე თავდება, რომ ავტორი განზე გამდგარი, ბოლომდე შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ ამ იშვიათი სიღრმისა და სილამაზის ესეისტური მოთხრობის არდანახვა, არშემჩნევა, ყოვლად შეუძლებელია.

ურყევი რწმენა მრჩება იმისა, რომ „ფერმწერის ფანტაზიას“, რომელიც გნებავთ ქვეყნის დიდი მწერალი, მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე სიამოვნებით მოაწერდა ხელს.



ალბათ ბევრს გაუკვირდება, რომ ასეთი ნიჭისა და გაქანების მხატვარს, ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, პერსონალური გამოფენა არა ჰქონია. ერთადერთი, გემოვნებით შედგენილი და ბეჭდვის ხარისხით მოსაწონი ალბომის გამოცემა უზრუნველყო მისმა უმცროსმა ძმამ **მერაბ ბერძენიშვილმა**, ვინც გამოჩენილმა ხელოვნებათმცოდნემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა **მოისეი კაგანმა მიქელანჯელოს** შეადარა და ვის შესახებაც საქვეყნოდ განაცხადა, რომ იგი „ერთი უდიდესთაგანია თანამედროვე მონუმენტალისტ მოქანდაკეთა შორის“.

ელგუჯა ბერძენიშვილის უსაზღვრო მოკრძალებასა და სიკეთეზე ისიც მეტყველებს, რომ როცა, კარგა ხნის წინ, საქართველოში დამსახურებული მხატვრის წოდებები რიგდებოდა და ამას გარკვეული პრივილეგიები მოჰყვებოდა, მან ეს წოდება დაუნანებლად დაუთმო ერთ საშუალო ნიჭის პიროვნებას. პარადოქსი, დაუჯერებელი ამბავია, რომ მისთანა ელვარე ნიჭისა და თვალსაჩინო დამსახურების შემოქმედი ამჟამად ჩვეულებრივ პენსიას იღებს და სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

ელგუჯას ჩუმი, შეფარული და რამდენადმე უცნაური იუმორის გრძნობა აქვს. ერთხელ მითხრა: პატარაობისას ჩემზე სულ იმას ამბობდნენ, ისიდორეს ბიჭიაო (მამამისი ცნობილი, რკინისებური ხასიათის ვაჟკაცი იყო). როცა მხატვარი გავხდი, მერაბ ბერძენიშვილის ძმად მიცნობდნენ, იმან ძალიან ადრე მოიხვეჭა სახელი. მერე ჩემმა შვილმა, ზაზამ, თავისი სურათების საყურადღებო გამოფენა მოაწყო და იმ დღეს ვიღაცას ჩემი თავი ასე წარუდგინეს – გაიცანით, ზაზას მამა არისო. ამაზე ცოტა არ იყოს, გული მომივიდა, დავფიქრდი, რა ხდება – ნუთუ მე თვითონ, ცალკე არ ვარსებობ-მეთქი.

ამის გახსენებაზე მისებურად, კეთილად ეღიმება და სრულებით არ ნაღვლობს, პოპულარობა რომ ვერ მოიპოვა და მისი სახელი, სხვებივით არ ხმიანობს.

აქ ერთი ძნელად გასაბედავი პარალელი მეძალება და თავს ვერ ვიკავებ – ელგუჯა ბერძენიშვილიც ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული და, ფლობერის მსგავსად, თავისი პროზის გამოქვეყნებას არ ჩქარობდა, მისებრ თავდავიწყებამდე არის შეყვარებული „დონ კიხოტზე“, „მადამ ბოვარის“ ავტორივით, გაუთავებლად და დაუზარებლად მუშაობს ყოველი მოთხრობის სრულყოფაზე და არ იცის, თვითეულის რამდენი ვარიანტი შექმნა (მეტად საინტერესო რომანი აქვს ჩაფიქრებული და ალბათ მალე შეასხამს ხორცს ამ სურვილს). თავისი ნაწერები, მაგიდის ქვეშ, ვეება ყუთებსა და ჩანთებში აქვს ჩალაგებული და

ელგუჯა ამ გროვას, ხუმრობით, „ლილოს ბაზრობას“, ეძახის. არავინ იცის, რა განძს მალავს ის ყუთები და ჭრელი ჩანთები.

ახლობლებმა იციან – ელგუჯა ბუნებით მცივანაა. ადრე, გაზაფხულზე, სანამ კარგად არ დათბებოდა, რუსთაველზე სასეირნოდ გამოსულს იშვიათად ნახავდით. მერე და მერე, ხანში რომ შევიდა და ჯანმრთელობაც შეელახა, კიდევ უფრო უკლო გარეთ სიარულს. ზამთრობით, ფუნჯის დაჭერა უჭირს და, ოთახში გამოკეტილი, კალამს კიდებს ხელს. გასახსენებელი და დასაწერი კი ბევრი აქვს. ამ სამიოდე წლის წინ, ზამთარში, როცა ვინახულე, საუბრით გული ვიჯერეთ და მაცილებდა, კარებთან, გაღიმებულმა, ჩუმად მითხრა: თუ რამე ვარგისი დამიწერია, ამ სასტიკ ყინვას და ნატას ვუმადლი. ყინვა იძულებულს მხდის შინ ვიჯდე და ვიმუშაო, ცოლი კი, რამდენადაც შეუძლია ხელს მიწყობს. ჩემი მწერლური წარმატებები, თუკი რაიმე მაქვს, ამ ორის დამსახურებაა. მერე ღიმილითვე დაამატა: ამას, იცოდე, ახლა სათქმელად კი არა, შენს მომავალ „მემუარებში“ აღსანიშნავად გეუბნებიო.

ვინაიდან „მემუარების“ დაწერას არ ვაპირებ (სად მექნება საიმისო დრო, დავჯდე და ჩემი გაჯახირებული ცხოვრება, რაც მინახავს და თავს გადამხდენია, დინჯად, დაწვრილებით აღვნუსხო), გადავწყვიტე, ჩემს ძვირფას, საყვარელ მეგობარს განდობილი საიდუმლო არ შევუნახო და აქვე, მისადმი მიძღვნილ მცირე ესეიში გავამხილო.

ნობელიანტი

როჟე მარტენ დიუ გარი

სიტყვა, წარმოთქმული სტოკჰოლმის რატუშაში, 1937 წლის 10 დეკემბერს, ნობელის პრემიის გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე

ასეთ ბრწყინვალე საზოგადოებაში ყოფნა – საზოგადოებაში, რომელიც დღეს აქ შეიკრიბა მისი უმაღლესობის, მემკვიდრე პრინცის პატრონაჟით – კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს მღელვარებას, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ამ საპატიო ადგილას ვდგავარ და ეს-ესაა მოვისმინე ჩემი მისამართით ნათქვამი საქებარი სიტყვები. საკუთარი თავი იმ ბუს მაგონებს, რომელსაც დღისით-მზისით ბუდიდან წამოაგდებენ და, სიბნელეს შეჩვეულსა და დამფრთხალს, დღის კაშკაშა სინათლით თვალს მოსჭრიან.

მაგრამ, როგორც არ უნდა ვამაყობდე იმ განსაკუთრებული პატივით, რომელიც შვედეთის აკადემიამ მომაგო, არა და არ ძალმიძს გაოცებისა და დაბნეულობის დაფარვა. სწორედ იმის გამო, რომ კარგად მესმის, თუ რაოდენ წონადია – მეტისმეტად წონადი – ეს ჯილდო, საკუთარ თავს ვეკითხები, თუ რითი შეიძლება აიხსნას აკადემიის არჩევანი.

თავდაპირველად ყველაფერი ჩემს სამშობლოს დავუკავშირე. ბედნიერი ვარ, რომ პატივცემულმა შვედმა აკადემიკოსებმა წელს არჩევანი ფრანგ მწერალზე შეაჩერეს, რითაც, შესაძლოა, სურდათ გამორჩეული პატივი მიეგოთ ფრანგული ლიტერატურისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩემს თანამემამულეთა შორის მრავლად არიან ბრწყინვალე მწერლები, კეთილშობილებით გამორჩეული დიდი მოაზროვნენი, რომელნიც წაქეზებასა და დაფასებას ჩემზე მეტად იმსახურებენ. მაშ, რატომ აღმოვჩნდი ამ საპატიო ადგილას დღეს სწორედ მე?

პატივმოყვარეობის დემონმა, რომლის ძლევა არც თუ ისე ადვილია, მაშინვე მომაწოდა ჩემი თავმოყვარეობისთვის საამო რამდენიმე ვარაუდი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გავიფიქრე, იქნებ ამ ნაბიჯით აკადემიას, რომელმაც ჩემი სახით ჯილდო მიაკუთვნა „დოგმებისგან თავისუფალ ადამიანს“, – ნება მომეცით განვაცხადო, რომ მე ასეთად მიმაჩნია საკუთარი თავი, – იმის აღნიშვნა-ხაზგასმა სურდა, რომ ჩვენს დროში, როდესაც ყოველ ადამიანს რაღაცისა „სწამს“ და რაღაცას „ამტკიცებს“, ალბათ საჭიროა, რომ იყვნენ „მერყეევნიც“, „ეჭვით შეპყრობილნიც“ და „კითხვათა დამსმელნიც“-მეთქი, ანუ ის დამოუკიდებლად მოაზროვნენი, რომელნიც არ ნებდებიან წინასწარშექმნილ იდეოლოგიათა ჰიპნოზს, რამეთუ მათი ერთადერთი საზრუნავი ისაა, საკუთარი ცნობიერება განავითარონ და „მკვლევარის სული“ შეინარჩუნონ იმდენად თავისუფალი, არაწინასწარშეგონებული და პატიოსანი, რამდენადაც ეს საერთოდ ხელეწიფება ადამიანს.

ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა იმის გაფიქრებაც, რომ ეს მოულოდნელი ჯილდო შესაძლოა გარკვეულ – ჩემთვის ძვირფას – პრინციპთა დაფასებაზე მეტყველებდეს. შესაძლოა, „პრინციპები“ მეტისმეტად მტკიცედ იყოს ნათქვამი იმ ადამიანის მხრიდან, რომელიც მუდამ მზადაა, ხშირ-ხშირად გადასინჯოს

ისინი; და მაინც, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემს შემოქმედებაში მე გარკვეული ორიენტირები დავისახე და მუდამ ვცდილობდი მათი მიმართულებით მევლო.

ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც ინგლისელი მწერლის, ტომას ჰარდის რომანში წავაწყდი ასეთ აზრს, რომელსაც ავტორი გამოთქვამს თავის ერთ-ერთ გმირთან მიმართებით: „ცხოვრების ჭეშმარიტ ღირებულებად მას წარმოუდგებოდა არა იმდენად მისი მშვენიერება, რამდენადაც ტრაგედია“. ეს აზრი ძალზე ზუსტად გამოხატავდა იმას, რასაც ვფიქრობდი, ზუსტად ემთხვეოდა ჩემს სიღრმისეულ ინტუიციას, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო ჩემს მწერლურ მოწოდებასთან. ამის შემდეგ მე იმ დასკვნამდე მივედი (და ეს ახლაც მიმაჩნია სწორ მოსაზრებად), რომ რომანისტის უმთავრესი ამოცანა ცხოვრების ტრაგედიის გადმოცემაა. დღეს მე დავამატებდი: ინდივიდუალური ცხოვრების ტრაგედიისა, „განხორციელების პროცესში მყოფი ადამიანური ბედის“ ტრაგედიისა.

და აქ, მე არ შემიძლია არ გავიხსენო უკვდავი მაგალითი ტოლსტოისა, რომლის წიგნებმაც ჩემზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. რომანისტს, რომელიც მართლა რომანისტადაა დაბადებული, როგორც წესი, ცნობენ ხოლმე მისი მგზნებარე მისწრაფებით შეაღწიოს ადამიანის ცნობიერების ყველაზე დაფარულ სიღრმეებში და თითოეულ გმირში ის ინდივიდუალური მხარე, ის თავისებურება გვიჩვენოს, რომელიც მას განუმეორებლობას სძენს. დარწმუნებული ვარ, ხანგრძლივი სიცოცხლე მხოლოდ იმ რომანს უწერია, რომელშიაც ავტორი შეძლებს ინდივიდუალურ ცხოვრებათა რაოდენობრივი და თვისებრივი მრავალფეროვნების შერწყმას. მაგრამ ეს – ყველაფერი როდია. რომანისტს ზოგადად ცხოვრების აზრი უნდა ესმოდეს აუცილებლად; მის ნაწარმოებებში სამყაროს ავტორისეული აღქმა უნდა ჩანდეს. ამაში კი ტოლსტოი უდიდესი მასწავლებელია. მეტ-ნაკლებად, ყველა მისი პერსონაჟი იტანჯება ფილოსოფიურ საკითხთა გადაწყვეტით; ნებისმიერი ადამიანური ბედის თხრობა, ტოლსტოის ნაწარმოებებში, მჭიდრო კავშირშია არა მარტო ადამიანის გამოკვლევა-შესწავლასთან, არამედ აღძრავს მარადიულ კითხვასაც ცხოვრების საზრისზე. სიმართლე რომ გითხრათ, მე მინდა მჯეროდეს, რომ სინამდვილეში, ჩემი მწერლური შრომის დაგვირგვინებით, შვედეთის აკადემიის წევრებმა სწორედ ამ მიუღწეველი მოდელის მოწიწებული სიყვარული დამიფასეს, დააფასეს ის ძალისხმევა, რომელიც დამჭირდა იმისათვის, რათა ტოლსტოის გენიის გაკვეთილებით მეც მესარგებლა.

ფოტოზე ანდრე ჟიდი და როჟე მარტენ დიუ გარი

დასაშვებია სხვა, უფრო სერიოზული ვარაუდიც, რომელზედაც შევჩერდები, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მსურს დღევანდელი ზეიმის ბრწყინვალება მწუხარებით დავჩრდილო და კვლავ აღ-

სანამ როჟე მარტენ დიუ გარი ამ სიტყვას წარმოთქვამდა, უფსალის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ე. ლინდმა ასე მიმართა მწერალს: „ჩვენ უდიდესი სიამოვნებისა და კმაყოფილების გრძნობა გვეუფლება, როდესაც ამ საღამოს, ჩვენს სახელოვან სტუმრებს შორის, გხედავთ თქვენ, როჟე მარტენ დიუ გარს, მწერალს, რომელსაც შვედეთის აკადემიამ დღეს ნობელის პრემიის ოქროს დაფნა არგუნა. გულითადად გიხდით მადლობას მთელი თქვენი ლიტერატურული ღვაწლისთვის, იმისთვის, რაც გვაჩუქეთ, კერძოდ კი, თქვენი საუცხოო შედევრისთვის «Les Thibault» („ტიბოთა ოჯახი“), რომელიც სინამდვილის გულმოდგინე, დაუღალავი შესწავლისა და ადამიანურ განსხვავებათა ღრმა ცოდნის შედეგს წარმოადგენს. თქვენს ფსიქოლოგიურ ნაწარმოებში ცოცხლობს ის კლასიკური ფრანგული რეალიზმი, რომელიც შეუპოვრად ხატავს ცხოვრებას ყველა მისი გაშიშვლებული სინამდვილით, რეალიზმი, რომელიც მწერლისგან უანგარობას, დიდ სიზუსტესა და სამართლიანობის გრძნობას მოითხოვს. ჩვენ მოხიბლულნი ვართ თქვენი მეთოდით, რომლის მეშვეობითაც ოჯახური ქრონიკები, „ტიბოთა ოჯახში“, მსოფლიო ომის *(იგულისხმება, რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო ომი – მთარგმნ.)* დამღუპველი, უბედურებით აღსავსე წლებისწინარე ევროპის ტრაგიკულ და ყოვლისმომცველ სურათში გადადის. თქვენი ბრწყინვალე მიღწევის აღიარებასა და დაფასებასთან ერთად, ჩვენ გამოვხატავთ პატივისცემას იმ ძლიერი, გულიდან წამოსული პათოსისადმი, რომლითაც მთელი თქვენი შემოქმედება სუნთქავს“.

გიძრათ ის მტანჯველი ფიქრები, ყოველ ჩვენგანში რომ ჩასახლებულა: შესაძლოა, შვედეთის აკადემიას განსაკუთრებული განზრახვა ამოძრავებდა, როდესაც იგი არ შეუშინდა საგანგებო მინიშნებას და ინტელექტუალური სამყაროს ყურადღება *„1914 წლის ზაფხულის“* ავტორისკენ მიმართა.

ასე ჰქვია ჩემს ბოლო ნაწარმოებს. გამოირჩევა თუ არა აღნიშნული წიგნი განსაკუთრებული ლიტერატურული ღირებულებით? ამაზე მსჯელობა სხვათათვის მიმინდვია. ყოველ შემთხვევაში, ის კი დანამდვილებით ვიცი, თუ რისი მიღწევა მინდოდა: ამ სამ ტომში, მე მსურდა აღმედგინა 1914 წლის მობილიზაციამდელი ევროპის მშფოთვარე ატმოსფერო; მე მინდოდა მეჩვენებინა მაშინდელ მთავრობათა სიმხდალე, გაუბედაობა, დაუდევრობა, მათი ფარული მიზნები; და, რაც ყველაზე მთავარია, მე მინდოდა თვალსაჩინოდ მეჩვენებინა მშვიდობიანად განწყობილი მასების საოცარი პასიურობა იმ კატასტროფის მოახლოებისას, რომლის მსხვერპლადაც მალე თავად იქცნენ, კატასტროფისა, რომელმაც ცხრა მილიონი ადამიანი შეიწირა, ათი მილიონი კი სამუდამოდ სახიჩრად დატოვა.

როდესაც გავიგე, რომ მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე კომპეტენტურმა და ღირსეულმა ლიტერატურულმა ჟიურიმ ჩემს წიგნებს თავისი უდავო ავტორიტეტით დაუჭირა მხარი, საკუთარ თავს ვუთხარი, იქნებ ასე იმიტომ მოხდა, რომ ეს წიგნები იცავენ გარკვეულ ღირებულებებს, რომელსაც კვლავ საფრთხე ემუქრება, და შეუძლიათ ომს, ამ დამღუპველ, დემონურ სენს ებრძოლონ-მეთქი.

მე ხომ ევროპის შვილი ვარ, სადაც სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის იარაღის ჩხარუნი! რამდენადაც ჩვენ აქ 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის, ამ მებრძოლი ადამიანის (და არა „კულისებში მყოფი კაცის“), გარდაცვალების დღეს შევიკრიბეთ, – ადამიანისა, რომელიც არამც და არამც არ იყო ილუზიებისადმი მიდრეკილი და რომელმაც, ცხოვრების დასასრულს, თავისი უკანასკნელი იმედი ხალხთა ძმობაზე დაამყარა, – ნება მომეცით ვაღიარო, თუ რაოდენ სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის იმის გაფიქრება, რომ ჩემი შემოქმედებით, რომელიც მისი სახელობის ჯილდოს ღირსი გახდა, შემიძლია არა მხოლოდ ვემსახურო ლიტერატურას, არამედ მშვიდობისთვისაც ვიბრძოლო! ამ შფოთვით აღსავსე დროს, რომელშიც ვცხოვრობთ, როდესაც დედამიწის ორ უკიდურეს წერტილში სისხლი უკვე იღვრება, როდესაც ჰაერი თითქმის ყველგან სიღარიბით დასენიანებული და ფანატიზმით წაბილწულია, ხოლო სამიზნეებისკენ უკვე მიმართულ ზარბაზანთა გარშემო ვნებები სულ უფრო და უფრო მძაფრდება, მაშინ, როცა ყოველივე მოწმობს ფარულ კაპიტულანტურ განწყობასა და მორჩილების იმ საყოველთაო სულისკვეთებაზე, რომელიც სწორედ ომის გაღვივებას უწყობს ხელს, ახლა, მთელი კაცობრიობისათვის ამ უაღრესად სერიოზულ მომენტში, მე ვისურვებდი, – ყოველგვარი პატივმოყვარეობის გარეშე, თუმცა კი წუხილითა და მღელვარებით აღსავსე გულით, – რომ ჩემი *„1914 წლის ზაფხული“* მუდამ იკითხებოდეს, განიხილებოდეს და შეახსენებდეს ყველას – მოხუცებსაც, რომელთაც გულმავიწყობა დასჩემთ, და ახალგაზრდებსაც, რომელთაც არაფერი იციან და არც უნდათ, რომ იცოდნენ – წარსულის ტრაგიკულ გაკვეთილებს.

ფრანგულიდან თარგმნა
ილია გასვიანმა

ახალი თარგმანები

გეორგ ბიუხნერი

ლენცი

გეორგ ბიუხნერის (1813 -1837) სახელობის პრემია გერმანიაში ყველაზე საპატიო და ყველაზე მაღალდოტირებული ლიტერატურული პრემიაა (ორასიათასი ევრო). სულ არასრული 24 წელიწადი იცოცხლა გენიალურმა ჭაბუკმა, ბელეტრისტმა, პუბლიცისტმა, ფილოსოფოსმა, მედიცინის დოქტორმა. მისი შემოქმედება, – ორი დრამა, ერთი კომედია, ერთი ნოველა, პოლიტიკური პამფლეტი, თარგმანები და პირადი მიმოწერა მთლიანად დაიტია ერთმა ტომმა. გოეთეს შემდეგ გერმანულ დრამატურგიას ბიუხნერის თხზულებებმა შესძინეს მსოფლიო რეზონანსი. ამჟამად გერმანულენოვან სახელმწიფოებში და მთელ მსოფლიოში აღინიშნება ცხოველი ინტერესი ბიუხნერის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი, დიდი ტირაჟით ისტამბება მისი წიგნები, დრამატურგიული ნაწარმოებები იდგმება სცენაზე. გეორგ ბიუხნერი ცოცხალი კლასიკოსია და მისი შემოქმედების თანამედროვე რეცეფცია თავის კვალს ამჩნევს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს.

აპნისის ოცსა ლენცმა მთიანეთს მიაშურა. თოვლით დაფარულ მწვერვალებსა და ზენა ზეგნებს, დაღმა ხეობებს, ლეგა ქვა-ღორღით მოფენილებს, მწვანე კორდებს, კლდეთა და ნაძვნარს.

ნოტიო თოში დათარეშობდა, ლეშტერი სდიოდა კლდეებს და ლეკავდა გზებს. ნაძვის რტოები დუნედ ეკიდა ნესტიან ჰაერში. რუხი ღრუბელი სულმთლიანად ფარავდა ზეცას და უგლიმი, ნედლი ნისლი ბუჩქნართან ზანტი ლაციცის შემდგომ გასწევდა ზემოთ.

ის უწადინოდ მიდიოდა, აინუნშიაც არ აგდებდა გზას, აღმართ-დაღმართს. დაღლა არ გაჰკარებია, ოღონდ არ ეთნეოდა, ყირამალა რომ არ ძალედვა გავლა[1].

თავდაპირველად ტანში გასცრიდა მოსხლეტილი სიპის ჩქამის, დაბლა უღრანი ტყის შრიალის გამგონეს და შეზარავდა, ნისლი რომ ერთიან შთანთქავდა ხოლმე სილუეტებს და მერე კვლავ ბუნდოვნად წარმოაჩენდა ბუმბერაზ ტინებს. მისი არსება მიელტვოდა, ეძიებდა რასმე გარდასულს, ნაოცნებარს, მაგრამ ვერაფერს პოულობდა. მის თვალში უცებ დაემცრო ყველაფერი, ახლო მოვიდა, ნესტით დაილტო; ჰგონებდა, დამცრობილ დედამიწას ცეცხლაპირას დავასკუპებო. ვერა ხვდებოდა, რა ხანი დასჭირდა ფერდობზე დაღმა ფორთხვით სიარულს, შორეულ კიდემდე მისვლას, ერთი ხელის გაწვდენაზე ეგულვებოდა ყველაფერი. ოღონდ ანაზდად შეაკრთობდა ხოლმე ქარაშოტით დაბლობს ჩალალული ღრუბელი ისევ ტყისკერძ რომ ამობოჟირდებოდა, ან შორეულ კლდეებზე გავარდნილი მეხის ძალუმი ექო იმგვარ კილოზე მოვარდებოდა, თითქოს ველურ ყიჟინით დედამიწას ხოტბას ასხამდა და ღრუბლები მოგელავდნენ, ვით ველური ბედაურები და მათ შორის მზის სხივი გამოკრთებოდა და კრიალა სატევარივით ჩაუელვებდა თოვლიან ფერდობებს და კაშკაშა შუქი გადაევლებოდა მთა-ბარს. ქარიშხალმა ღრუბლები დაღმა ჩარეკა და ჩია ზურმუხტის ტბა გამოჭიატდა; ცოტა იყუჩა ქარმა და მერმე ისევ წამოუბერა ღრანტე ხევებსა და ნაძვის კენწეროებს, ვით ზანზალაკებით დარეკილმა იავნანამ; მუქლურჯი ძოწისფერ შეიფაკლა და ღრუბლის ქულები მოვერცხლისფრო ფრთათა ფარფატით გამოფრინდნენ და მთათა ყველა მწვერვალი ქვეყნის თავზე მკვეთრად, მედგრად გაკრთა – გაბრწყინდა და ლენცი შეძრული შედგა, სული ყელში ებჯინებოდა, წელში წახრილმა პირი დააღო, თვალნი დაჭყიტა, თითქოს ქარიშხლის დანთქმას, ერთად ყველაფრის თავისთავში დატევას აპირებსო, და მიწას განერთხა, კოსმოსს შეერია, ტკივილამდე ეთნეოდა ესე ყოველი. მერე დაყუჩდა, ხავსში ჩარგო თავი, თვალი მილულა, უცებ ფეხქვეშ გამოეცალა ნიადაგი, დაემცრო, დაილია დედამიწა და მოწყვეტილი ვარსკვლავის ოდენა გახდა, აქაფებულ მორევში ჩავარდა და კვალი ნათელი დაამჩნია, სულ მცირე გამოხდა ხანი და ლენცი გამოფხიზლდა, წამოდგა დინჯი, შემმართებელი, მის თვალწინ

1. ბიუხნერის მკვლევართა აზრით, ეს გახლავთ ალუზია გენიალური სერვანტესის რომანის იმ პასაჟისა, საცა დონ კიხოტი მალაყებს გადადის და თავდაყირა დგება, რასაც სანჩო პანსა რაინდის გაგიჟების სიმპტომად მიიჩნევს.

ბიუხნერის ნოველის მთავარი პერსონაჟი, მწერალი იაკობ მიხაელ რაინჰოლდ ლენცი ისტორიული პიროვნებაა, მას თავისი მყარი, გამორჩეული ადგილი უჭირავს გერმანული ლიტერატურის ისტორიაში. ლენცი ტიპიური წარმომადგენელია „გენიოსების ხანის“, ანუ „შტურმ უნდ დრანგის“ (ქარიშხლისა და შეტევის) მიმდინარეობისა, რომელსაც დასაბამი დაედო მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების გერმანიაში. განმანათლებლების რაციონალისტურ ტენდენციებს შტიურმერებმა დაუპირისპირეს განცდის, ფანტაზიის, ვნების პრიმატი. გოეთეს, შილერის და ლენცის გარდა ამ სკოლას განეკუთვნებიან ფ. მ. კლინგერი, ჰ. ლ. ვაგნერი, კ. შუბარტი. ი. მ. რაინჰოლდ ლენცი დაიბადა 1751 წელს პასტორის ოჯახში, ლატვიაში, თეოლოგიას სწავლობდა ტარტუსა და კიონიგსბერგის უნივერსიტეტებში. 1771 წელს მან სტრასბურგში გაიცნო გოეთე და მისი დახმარებით შეეცადა მასწავლებლის, ან მოხელის თანამდებობის მოპოვებას, მაგრამ ამაოდ, — ჰერცოგის კარის საზოგადოების წარმომადგენლებთან მრავალგზისი კონფლიქტის გამო იგი გააძევეს ვაიმარიდან. ოცდახუთი წლის ასაკში ლენცს პირველად ჰქონდა მწვავე ფსიქიკური სინდრომის მოტევნა. რიგაში, მშობლების ოჯახში დაბრუნების შემდეგ

თითქოს ჩრდილების სახიობამ ჩამოიარა და მერე სადღაც დაინთქაო. საღამოხანს ლენცი მთის თოვლიან თხემზე ავიდა, იქიდან დასავლეთით დაბლობის ხედი გადაეშალა. ჩაიმუხლა; ამასობაში გამოიდარა. ლეგა ღრუბელი უძრავად ეკიდა ცაზე. თვალსაწიერზე კალთაგანიერ მთათა მწვერვალები ილანდებოდა ოდენ. სიჩუმეში გარინდულ გარემოს თალხი ბინდი ეფინებოდა. უცაბედად მარტოობის განცდა მოეძალა შემზარავი. მარტო იყო, მარტოეული. საკუთარ თავთან საუბარი მოესურვა, მაგრამ ვერ მოახერხა; სული გაკმინდა. მერე დაიძრა და მეხივით გახმიანდა მისი ნაბიჯის ექო; წაიფორხილა. ენით აუწერელმა შიშმა შეიპყრო და სადღაც საარარაოში-, სიცარიელეში ამოჰყო თავი, მერე ანაზდად მოწყდა და ფერდობზე დაცურდა.

ჩამობნელდა, ერთურთს შეერწყა ზეცა და მიწა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს უკან ვიღაცა აედევნა, საშინელება მოსდევდა ფეხდაფეხ, კაცისათვის გაუსაძლისი, თითქოს სიგიჟე წამოეწია ბედაურზე ამხედრებული.

როგორც იქნა ადამიანის ხმა გაიგონა, ლამპების შუქი დაინახა. უცნობმა კაცმა მიასწავლა გზა, აუხსნა, ვალდბახი აქედან ნახევარი საათის სავალზეაო.

სოფელი გაიარა. ფანჯრებში შუქი ჩანდა, მაგიდის გარშემო მსხდარი ბავშვები, ბებერი დედაკაცები, გოგონები, სულ მშვიდი, სათნო სახისანი. მოეჩვენა, შუქს ესენი აფრქვევენო. გულს ჯავრი გადაეყარა და მალე მიაღწია მღვდლის კარმიდამოს სოფელ ვალდბახში.

შევიდა სახლში. ფერმკრთალ სახეზე ქერა კულულები სცემდა, თვალებს ახამხამებდა, ტუჩები უთრთოდა, სამოსი შემოხეოდა. ოთახში მაგიდას უსხდნენ დამხვდურნი. ობერლინს სტუმარი ხელოსანი ეგონა, შემოეგება.

– ვერ გიცანით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

– მე კაუფმანის მეგობარი გახლავართ, მან თქვენთან მოკითხვა დამაბარა!

– თქვენი გვარი გვითხარით, გეთაყვა!

– ლენცი!

– აჰა! კეთილი! მე დაბეჭდილი მინახავს ეს გვარი! ორიოდ დრამა მაქვს წაკითხული, ლენცის მიერ ხელმოწერილი!

– დიახ, მაგრამ გთხოვთ, იმათ კვალობაზე ნუ ინებებთ ჩემს განსჯას!

გაჩაღდა საუბარი, ლენცი სიტყვებს ეძებდა, ფორიაქობდა, სხაპასხუპით ამბობდა სათქმელს. მერე თანდათან დაშოშმინდა, იდუმალებით მოცულ ოთახში ჩრდილების ფონზე დაჩნდა სახეები: ბავშვის სათნო, ნათელი სახე თითქოს მთელ შუქს იკრებდა, იგი თვალებში შესცინებდა მიღმა, ჩრდილში, ანგელოსისებრ გარინდულ დედას. ლენცი შეკრებილთ უყვებოდა თავისი სამშობლოს ამბავს, იქაურთა ტანსაცმელი დაუხატა ათასნაირი. დამხვდურები თანაგრძნობით განიმსჭვალნენ, გარს შემოერტყნენ. ისიც გაუშინაურდა; უნდა გენახათ მისი ფერმკრთალი ბავშვური სახე, მისი ცოცხალი საუბარი მოგესმინათ! დაშოშმინდა, იმგვარი განცდა დაეუფლა, თითქოს სიბნელიდან ნაცნობი ლანდები, მივიწყებული სახეები, ძველი სიმღერები გამოეცხადნენ, აიყოლიეს და იქაობას განარიდეს.

წასვლის დრომ მოაწია. მასპინძლებმა შარაგზა გადაატარეს, – მღვდლის სახლი პატარა იყო და სტუმარს სკოლის შენობაში დაუთმეს

ოთახი. ლენცი ავიდა. ზემოთ ციოდა. განიერ, თითქმის ცარიელ ოთახში ერთი მაღალი საწოლი და მაგიდა იდგა. სანათი მაგიდაზე დადგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. გაიხსენა წამოსვლის დღე, გამოვლილი გზა და მღვდლის სახლი ლანდად, ზმანებად გადაექცა, მისი არსება კვლავ დაცარიელდა, როგორც იქ, მთაზე, აღარ იცოდა სიცარიელე რით შეევსო. სანთელი ჩაქრა. წყვდიადმა შთანთქა ყველაფერი. იგი გამოუთქმელმა შიშმა შეიპყრო. წამოხტა, ოთახი გაირბინა, კიბე ჩაიარა და ეზოში გავიდა; მაგრამ ამაოდ, წყვდიადი ფარავდა გარემოს, გაქრა ყოველივე, თავიც სიზმარში დაიგულა. თითო-ოროლა აზრი გაუელვებდა და ცდილობდა დაეფიქსირებინა. გონებაში გაივლო, „მამაო ჩვენო“-ს ვიტყვი და კვლავ და კვლავ გავიმეორებო, თავგზა აებნა. ბნელმა ინსტინქტმა უკარნახა, თავს უშველეო. გაიქცა, ქვას წამოჰკრა ფეხი, წაიფორხილა. ხელები დაიკაწრა. ტკივილმა ნელინელ დაუბრუნა ცნობიერება. ჭასთან მდგარ ვარცლში ჩახტა, ტყაპანი მოიღო, წყალი არ დახვდა ღრმა. გამვლელებმა გაიგონეს, გაეხმიანენ. მოვარდა ობერლინი. ლენცი გონს მოეგო, გაიცნობიერა, რა დღეში იყო და თანდათან გულზე მოეშვა. სირცხვილის ოფლში იწურებოდა, რცხვენოდა, კეთილ ხალხს შიში ვაჭამეო. თქვა, ცივი წყლით ტანის დაბანასა ვარ ჩვეულიო და თავის ოთახში გაბრუნდა. იქ არაქათგამოცლილს ჩაეძინა.

მეორე დღეს თავს კარგადა გრძნობდა. ობერლინთან ერთად ხეობაში ცხენით გაისეირნა: გაშლილი მთის კალთები, ზოგან ვიწრო, კლაკნილ ხეობად ერთურთს მიჯრილი; ხეობა, აქეთ-იქით ფერდობები ზეატყორცნილი; უშველებელი კლდის მასივის დაღმართები; აქა-იქ კორომები, ლეგა, მეჩხერი ტყე; დასავლის მხარეს დაბლობზე გადასახედი; სამხრეთიდან ჩრდილოეთის კერძ დაქანებული მთაგრეხილის დინჯი, მდუმარე მწვერვალები ზმანებებში გარინდულნი ყელყელაობდნენ. დროდადრო სინათლის ვეება ჩქერი ამოიჭრებოდა ხოლმე ხეობიდან, ვით ნაკადი მოოქროვილი, მერე ღრუბელი დაიძვროდა უმაღლეს მწვერვალზე დავანებული, ზანტად დაეკიდებოდა ტყის თავზე და ხეობისკენ დაცურდებოდა ელვით ანთებულ ვერცხლისფერ ლანდად მოლიცლიცე.არრა ხმაური, არც მოძრაობა, არცა ჩიტი, არაფერი, თვინიერ ქარის შორით ქროლვისა. ზოგან ქოხები დახვდა ფიცარნაგი, აჩონჩხლილი, მრუმე ისლით გადახურული. ადამიანები, მდუმარენი, სერიოზულნი, თითქოს ხეობისეულ მდუმარების დარღვევას ეკრძალვიანო, ფიქრში გართულნი უმძრახად ესალმებოდნენ.

რომელ ქოხშიდაც შევიდნენ, სიცოცხლე შეიტანეს. დამხვდურები ობერლინს შემოეხვევოდნენ გარს, ისიც არიგებდა, შეგონებებს უკითხავდა, ანუგეშებდა; ყველგან მზერა, ნდობით აღსავსე, ლოცვა-დიდება. ადამიანები თავიანთ ზრახვებს, გულისნადებს უზიარებდნენ.საქმიანი რჩევებიც: გზების გაყვანა, არხების გათხრა, სკოლების გახსნა.

ობერლინს, კაცს გამრჯეს, მოუღლელს, ლენცი მიწყივ თანასდევდა, ესეც საუბრობდა, საქმიანობდა, ხანაც ბუნებაში ითქვიფებოდა. ყველაფერი კეთილისმყოფელ, დამამშვიდებელ ზეგავლენას ახდენდა ლენცზე. ჩახედავდა ობერლინს თვალებში, სპეტაკ, დინჯ სახეს დააკვირდებოდა და უსაზღვრო სიმშვიდე დაეუფლებოდა, რაც ადამიანს მიბნედილი ბუნების წიაღ, უღრან ტყეში, ზაფხულის მთოვარის შუქით მოვარაყებულ ღამეს ეწვევა ხოლმე. კდემა ემოსა, მაგრამ სიტყვას ჰკადრებდა, აზრს გამოთქვამდა. ობელინიც მჭერმეტყველებდა, ეთნეოდა



ორი წლის განმავლობაში (1779-1781) ლენცი ეწეოდა ჰოფმაისტერის (ბავშვების ლალა – აღმზრდელი, მასწავლებელი) საქმიანობას. 1781 წელს ის პეტერბურგში ჩავიდა, იქაც დიდხანს ამაოდ ეძებდა სამსახურს. არსებობისათვის განუწყვეტელმა ბრძოლამ დააბეჩავა ემიგრაციაში მცხოვრები მწერალი და გააძლიერა მისი ფსიქიკური დაავადება. გარდაიცვალა 1792 წელს მოსკოვში.
ლენცი გოეთესა და შილერთან ერთად მოიხსენიება როგორც „ქარიშხლისა და შეტევის“ უმნიშვნელოვანესი დრამატურგი. მისეულ „ჰოფმაისტერს“ ბრეხტმა ახალი ლიტერატურულ-სცენური სიცოცხლე შესძინა. ლენცის კალამს ეკუთვნის აგრეთვე თეორიული ნაშრომი „სჯა-ბაასი თეატრის შესახებ“, აგრეთვე ორი ნოველა და მრავალი ლექსი.



ხიბლი ლენცის ბავშვური პირისახისა.

ვიდრე ხეობას სხივი ეფინა, თმობას იქმდა ლენცი, საღამოჟამს კი უცნაური შიში აიტანდა ხოლმე, ვაი თუ მზეს ავედევნოო, რაც უფრო მუქდებოდნენ საგნები, მით უფრო სიზმარეულ-უამური ესახებოდა გარემო. შიში შეიპყრობდა, ვითარცა ბავშვს, გარეთ მძინარეს. ეჩვენებოდა, დავბრმავდიო და მერე ფერხთით მიუსკუპდებოდა მაჯლაჯუნა. უსაშველო ფიქრი აეკვიატებოდა, სიზმარი ეგონა ყველაფერი. აღნაქვსნი დარიალებდნენ მის სიახლოვეს, ხელს გაიწვდიდა და ოდენ აჩრდილი შერჩებოდა, სიცოცხლის ძაფგაწყვეტილს კიდურები სავსებით უშეშდებოდა. ლაპარაკობდა, მღეროდა, შექსპირის ციტატები მოჰყავდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ძარღვებში სისხლი აეჩქროლებინა. რაღა არ სცადა, მაგრამ ამაოდ, ტყუილუბრალოდ. მერე გარეთ გამოსწევდა და თვალს სიბნელეს რა შეაჩვევდა, უკუნში გამკრთალ მცირედი შუქის დანახვისთანავე მომჯობინდებოდა; ჭისპირა ვარცლში ჩახტებოდა და ცივი წყლის ჟრუანტელი აფხიზლებდა. თან იდუმალ იმედოვნებდა, ავადმყოფობას თავს დავაღწევო და ნაკლები ხმაურით იბანდა ტანს.

საქმიანობაში ჩართვის კვალობაზე თანდათან მშვიდდებოდა. ობერლინს მხარში ამოუდგა, ხატავდა, ბიბლიას კითხულობდა, კვლავ მოეახლნენ განმქრეული იმედები და ფრიადი სასოება ათნია ახალმა აღთქმამ. გარეთ გავიდა, ობერლინის ნათქვამი გაიხსენა, – უხილავი ხელი ხიდზე მიმავალს როგორ შეეშველა, მთაზე შუქმა რომ მოსჭრა თვალი და ღამით მოესმა ხმა იდუმალი, – ღმერთი გამოეცხადა, და მან ჯიბიდან ბავშვივით ამოიღო თავის წილხვდომილი ბილეთი, რათა გაეგო, რარიგ მოქცეულიყო, – მაშინღა ჩაწვდა საღმრთო წერილს, იწამა ზეციური ცხოვრების მარადისობა, კაცისათვის ბუნების განხვნა ზეციური მისტერიებით, არა მოტევნა მედიდური, არამედ მოკეთის მოსლვა.

ერთ მშვენიერ დილას გარეთ გამოვიდა; წინაღამ მოეთოვა. დაბლობს ნათელი ეფინა, ზემოთ ლანდშაფტს კი სანახევროდ ნისლი ფარავდა. გზიდან მალე გადაუხვია, ნაძვნარისპირა დამრეც აღმართს აუყვა, ადამიანის ნატერფალი არსად მოჩანდა. მზე თოვლზე კრისტალებს აკვესებდა, ფიფქია, მსუბუქ, ფაშარ თოვლს აქა-იქ ნადირის კვალი აჩნდა, ლენცი მთის კალთას აღმა მიჰყვებოდა. ოდენ მსუბუქი სიო ატოკებდა გარინდულ ჰაერს და ჩიტის ფრთათა ფათქუნი, თოვლის ჩამობერტყვისას გაჩქამებული. გალურსულ გარემოში აღმართული ხეები მუქლურჯ ზეცას უთათუნებდნენ თეთრად გაპენტილ კენწეროებს. ლენცი თანდათან გაუშინაურდა მიდამოს. თოვლით ჩაფუთნული ერთფეროვანი, ვეება სივრცეები, მთათა კონტურები თითქოს ხმამაღლა ემუსაიფებოდნენ. შობის დღის განწყობა წამოეპარა, იფიქრა, ახლა დედაჩემის დიდი ხატება გამოვა ტყიდან და მომახარებს, ეს ყველაფერი საჩუქრად მომირთმევიაო. უკან მომავალმა შენიშნა, რომ მის აჩრდილს სხივთა ცისარტყელა გარს ევლებოდა. უეცრად თითქოს შუბლზე რაღაცა მოელამუნა და გაეხმიანა.

ჩამოივაკა. ობერლინი ოთახში დახვდა. ლენცი მიეხალისა, უთხრა, ქადაგებას წავიკითხავო ეკლესიაში.

– თქვენ თეოლოგი ბრძანდებით?

– დიახ!

– კეთილი, დღეის სწორს, კვირის წირვაზე!

ლენცი კმაყოფილი ავიდა თავის ოთახში. ბევრს ფიქრობდა, ქადაგე-

ბის ტექსტს ამზადებდა. ღამეებს მშვიდად ატარებდა. გათენდა კვირადღე. დამთბარიყო, თოვლი დნებოდა. ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელთა შორის ჩანდა ცის ფერი. ეკლესია ახლოს იყო, მთის შვერილზე წამოსკუპული, ეზოთი გარშემოზღუდული. ზარების რეკვას ლენცი ზემოთ შეეგება. მოდიოდნენ მლოცველები უბრალო, შავი ტანსაცმლით მოსილი დედაკაცები, გოგოები. მათ ლოცვანი, ცხვირსახოცები და როზმარინის რტოები ეპყრათ ხელთ, მოდიოდნენ სხვადასხვა მხრიდან, კლდის ვიწრო ბილიკებს მოჰყვებოდნენ; ხანგამოშვებით ხეობას გადაანათებდა ხოლმე მზის ჭიატი, ზანტად ირწეოდა ნელთბილი ჰაერი, ჭავრილში კრთოდა ლანდშაფტის ხატი, შორით რეკდნენ ზარები და ყველაფერი ერთ შეხმატკბილებულ ჰანგად შეერწყმოდა ერთურთს.

ეკლესიის პაწია ეზოში თოვლი ამშრალიყო, მრუმე ჯვრების ძირში ქუფრი ხავსი ხარობდა, ვარდის ბუჩქი გალავანზე აცოცებულიყო, ხავსიდან ნაგვიანები ყვავილები ამოწვერილიყვნენ. მზის შუქს ჩრდილი ენაცვლებოდა. დაიწყო წირვა.

მგალობელთ ხმები წკრიალა კილოზე ჩაეწნენ ერთურთს, ჰანგები მთის ნაკადულისდარ მორაკრაკებდნენ.

გალობა ჩანავლდა, ლენცმა დაიწყო საუბარი. საგალობელმა სულმთლად დაუცხრო კრუნჩხვა, მაგრამ თან ათასი წუხილი გაუღვიძა და გული აუჩქროლა.

საუბრისდაკვალ უსაზღვრო სიამის გრძნობა ეუფლებოდა. ადამიანებს უბრალო სიტყვით მიმართავდა, ყოველი მათგანის ტანჯვას იზიარებდა, შვებას ჰგვრიდა იმედის ნაპერწკლის გაელვება დაღლილ, ნამტირალევ თვალებში, სიმშვიდის დავანება ტანჯულ გულებში და ნივთიერი ძნელბედობით შეჭირვებულ ყოფიერების მძიმე განცდათა ზეცისკენ წარგზავნა. გამხნევებულმა დაამთავრა ქადაგება და მყისვე გუნდმა ჩამოართვა სიტყვა:

შეგვაძლებინე უფალო
ტკივილის წყაროს დაქცევა,
ტანჯვის სრულიად დატევნა
ლოცვით ურვათა განდევნა.

მუსიკამ ტკივილამდე შეძრა, მისი გრძნობები ააბრდღვიალა, სამყარო დაკოდილი ეჩვენა და ამან მწვავე, გაუცნობიერებელი, გამჭოლი ტკივილი მოჰგვარა. უცხო ყოფიერებაში გადანაცვლებულმა ათრთოლებული, ღვთიური ბაგეები იხილა, და იგრძნო, მის ტუჩებს როგორ დაეკონა ის ბაგეები; მან თავის ეულ ოთახს მიაშურა, მარტო იყო, სავსებით მარტოსული! უეცრად აჩქეფდა ბინული, ცრემლის ნაკადი წასკდა თვალთაგან, წელში მოდრეკილს კიდურები აუცახცახდა, ეგონა, ცოტაც და სამყაროში ავითქვიფებიო, უკიდეგანო ნეტარება დაეუფლა. მერე ნელინელ მწუხრი შემოვიდა მის სულში, – საკუთარი თავი შეეცოდა და ატირდა; თავი მკერდზე ჩამოუვარდა, ჩაეძინა; ცაზე ვიდოდა ბადრი მთოვარე. ლენცს კულულები საფეთქლებსა და სახეზე დაეფინა, წამწამზე ცრემლი დაეკიდა და ლოყაზე ჩამოუგორდა, იწვა მარტოკა, სიჩუმით და სიცივით გარემოცული და მას მთელი ღამე დარაჯობდა ეული მთვარე.

მეორე დღეს ობერლინს მიაკითხა და სრულიად დამშვიდებულმა

მოუყვა, როგორ გამოეცხადა სიზმარში დედა.

– ეკლესიის ეზოს თალხ გალავნიდან გამოვიდა თეთრკაბიანი, გულისპირზე ერთი თეთრი და ერთი წითელი ვარდი ჰქონდა დაბნეული, მერე რომელიღაც კუთხეში დაინთქა ქალი. ვარდები მის გულმკერდზე ნელნელა წამოიზარდნენ, ნამდვილად მომიკვდა დედა!

თავის მხრივ ობერლინმა გაიხსენა:

– მამა რომ მიკვდებოდა, მინდორში მყოფმა ხმა გავიგონე და იმწამს ვიგრძენი, რომ აღარ მყავდა მამა. მივედი სახლში და მართლაც მკვდარი დამხვდა საცოდავი.

მერე სხვა ამბებსაც გადასწვდნენ, ობერლინმა მთიელები გაიხსენა, იქაურ გოგონებს მიწის ქვეშ წყლისა და ლითონის ბუდობების მიკვლევის უნარი აქვთ მიმადლებული, ხოლო მამაკაცები მთის კალთებზე სულებს ერკინებიანო. ისიც დასძინა, ერთხელ, მთის ღრმა მდინარის წყალში ცქერამ კინაღამ სომნამბულად[2] მაქციაო. ახლა ლენცმა გაანდო, ვიგრძენი წყლის სული როგორ გადმოვიდა ჩემზე და მაშინ მივხვდი ჩემი ყოფის უცნაურობასო. შემდეგ განაგრძო:

– უბრალო, ალალი ადამიანები სტიქიონებთან უფრო მეტად არიან წილნაყარნი. რაც უფრო დახვეწილი სულისა და ცხოვრების ნირისაა კაცი, უფრო ჩლუნგდება ბუნების ძალთა მისეული განცდა. თუმცა მათი ცხოვრება ყოფიერების მაღალ ფორმად არ მიმაჩნია მათი არასაკმაო თავისთავადობისა გამო, მაგრამ მჯერა, – უკიდეგანო უნდა იყოს ნეტარების გრძნობა, ოდეს კაცი შეესწრება ამ პირველქმნილი სიცოცხლის გამოვლინებას. დიდებულია, ოდეს მავანს ესმის ქვათა და ლითონთა ღაღადი და აქვს უნარი მიმადლებული, ისე შთაეგრძნოს მოვლენას ბუნებისა, როგორც ყვავილი ეგუება ჰაერს მთოვარის მატებისა თუ კლებისადა კვალად.

ლენცმა განაგრძო თავისი აზრის გამოთქმა: ენით აღუწერელი ნეტარების მომგვრელია ჰარმონია, ყოველი ბგერა, გრძნობათა უფრო მეტი ორგანოთი, აფექტურად აღქმული და წარმოჩენილი, ხოლო დაბალ ფორმებში ყველაფერი უფრო დინჯია, თავდაჭერილი, სამაგიეროდ აქ სიმშვიდე სჭარბობს შინაგანი. იგი ეშხში შევიდა, მაგრამ ობერლინმა გააწყვეტინა და უთხრა, მე უფრო მარტივად განვსჯიდი ამასო. შემდგომი საუბრის დროს ობერლინმა ფერადი დაფა აჩვენა და განუმარტა ადამიანისადმი თითოეული ფერის მიმართება. თორმეტი მოციქული გამოსახა, ყოველი მათგანი თითო ფერის საღებავით. ამის გაგონებაზე ლენცს კვლავ აეშალა საფიქრალი, ღამე კოშმარულ სიზმრებს ხედავდა, შტილინგის[3] მიბაძვით აპოკალიფსს ჩაუკირკიტდა და ბიბლიას ჩაუღრმავდა.

იმხანად კაუფმანი[4] ჩამოვიდა სტუმრად შტაინთალში და თავისი დანიშნული ჩამოიყვანა. თავდაპირველად ლენცს არ ეამა მისი ნახვა, – ის იყო იქაურობას შეეგუა, სიმშვიდე ჰპოვა და აი მოიჭრა კაცი, ვინც უწყის მისი ამბები. ობერლინს წარმოდგენა არა ჰქონდა ლენცისა და კაუფმანის ურთიერთობაზე. მან ღვთივ მოგზავნილად დასახა ბედკრული ლენცი, სტუმრად მიიღო, მოუარა, გულით შეიყვარა და დიდი ხნის ნაცნობივით გაიშინაურა იგი. ყველას უხაროდა მისი სტუმრობა, თავისიანად მიიღეს და არც არავინ ეკითხებოდა, საიდან მოვიდა და საით აპირებდა წასვლას.

სერობის ჟამს ლენცი ისევ გახალისდა. საუბარი ლიტერატურას შე-

2. აქ ძილის ჟამს მოსეირნე მთვარეული კი არ იგულისხმება, არამედ ავტოჰიპნოზი, ჩანჩქერებში ხანგრძლივი ჩაშტერების შედეგად წარმოქმნილი. ჰიპნოზის მდგომარეობაში ადამიანს შეუძლია აღასრულოს კომპლექსური ქმედებანი, რანიც გაღვიძების მერე აღარ ახსოვს. ისტორიული ობერლინი ინტენსიურად სწავლობდა პარაფსიქოლოგიურ მოვლენებს – ტრანსსა და ჰიპნოზს, წინათგრძნობას, ვიზიონებსა და ტელეპატიას.

3. შტილინგი – იოჰან ჰაინრიხ იუნგ შტილინგს (1740 -1817), გერმანელ ექიმს, ეკონომისტსა და მწერალს ეკუთვნის მრავალი შრომა აპოკალიფსისა და გამოცხადების შესახებ, მაგ., „ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების გზა იოვანეს გამოცხადების საყოველთაოდ სარგო განმარტებით“ (1805).

4. ქრისტოფ კაუფმანი (1753-1795) შვეიცარელი გერმანულენოვანი მწერალი, ლიტერატურის ისტორიას შემორჩა იმის წყალობით, რომ ფრიდრიხ მაქსიმილიან კლინგერის დრამას „Wirrwur“ („ალიაქოთი“) სათაური გამოუცვალა და დაარქვა „Sturm und Drang“ („ქარიშხალი და შეტევა“), რაც შემდგომ მთელი ლიტერატურული მიმდინარეობის სახელად იქცა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის გერმანიაში. გოეთემ ამ მოძრაობას, ლიტერატურული რევოლუცია უწოდა. გოეთესა და კლინგერის გარდა შტიურმერები იყვნენ აგრეთვე თვით ბიუხნერის ნოველის პერსონაჟი იაკობ მიქაელ რაინჰოლდ ლენცი, გ. ა. ბიურგერი, კ. შუბარტი და მრავალი სხვა.



ეხო, მის სანუკვარ საგანს. იმხანად დასაბამი დაედო იდეალისტურ მიმდინარეობას და კაუფმანიც სწორედ მისი მიმდევარი იყო. ლენცი ცხარედ შეეკამათა. მან თქვა:

– მწერლები ლამობენ ასახონ სინამდვილე, მაგრამ წარმოდგენაც არ გააჩნიათ, რა არის სინამდვილე. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ რა ვუყოთ იმათ, ვინც ცდილობს გაალამაზოს სინამდვილე? ღმერთმა სამყარო იმგვარი შექმნა, როგორიც ჯერ არს და ჩვენი ნაცოდვილარი აბა მას ტოლს როგორ დაუდებს! ერთადერთ რასმე უნდა ვესწრაფოთ, ნააზრევი მცირეოდენ მაინც მივამგვანოთ მას, მივბაძოთ ყოველგან, როგორც ცნობიერების, ასევე ყოფიერების გარემოებათა გადმოცემისას და მაშინ ზედმეტი აღმოჩნდება თხზულების ავკარგზე მსჯელობა. შემოქმედი შეიგრძნობს, ქმნილებას სიცოცხლეს თუ შთაბერავს და ამგვარი შეგრძნება თავისთავად უგულვებელყოფს წილადობილას ავკარგიანობის თაობაზე, იგი წარმოადგენს ერთადერთ კრიტერიუმს ხელოვნების საგანთა განსასჯელად. თუმცა მას იშვიათად თუ სადმე ჰპოვებ: შექსპირთან და ხალხურ პოეზიაში იგი ნაღდია, ხანდახან ნახავ გოეთესთანაც; ყველაფერი დანარჩენი ცეცხლში დადაგვის ღირსია. მავანთ ძაღლის ხუხულის დახატვის უნარიც არ გააჩნიათ. აქ წარმოსდგება იდეალისტური ფიგურების საჭიროება, მაგრამ რაც კი მინახავს ამდაგვარი, ყველაფერი ხისგან ნაჩორკნი თოჯინებია. ასეთი იდეალიზმი უკიდურესად უტიფარი აბუჩად აგდებაა ადამიანის ბუნებისა. აბა მოსინჯეთ და შთაეგზნეთ თუნდაც ყველაზე კნინი სულდგმულის სიცოცხლეს და აღნუსხეთ მისთა ნაკვთთა თრთოლვა, ძლივს სახილველი, უფაქიზესი, და წადილ-მურაზის მიმოფენა. ჩემი „მამასახლისი“ და „ჯარისკაცები“ ვცადე ასე შემეთხზა. მზისქვეშეთში ბევრია პროზაული ბუნების ადამიანი, თუმცა ძარღვი, გრძნობისმიერი თითქმის ყოველ კაცს ერთნაირი აქვს, მეტნაკლები სისქის გარსით გარემოცული. საამისოდ ხამს ჩუბინი თვალი და მახვილი ყური. გუშინ ხეობის აღმა მიმავალმა ლოდზე დასკუპული ორი გოგონა ვნახე, ერთი მეორეს თმის ვარცხნაში ეხმარებოდა. შავკაბიან გოგოს ოქროსფერი თმა ჩამოშლოდა გაცრეცილ, სათნო სახეზე. უნდა გენახათ, რარიგ შეფრფინვით დასტრიალებდა მეგობარს გოგო. ძველი გერმანული სკოლის[5] უბრწყინვალეს შედევრებშიაც კი იმ სცენის მაგვარს ვერაფერს ნახავ. მედუზას[6] თავი უნდა ინატრო, რომ ამგვარი ჯგუფი გააქვავო და ხალხს აჩვენო. ჩემს დანახვაზე გოგონები წამოიშალნენ და გაქრა დიდებული კომპოზიცია. თუმცა კლდის ბილიკზე იმათი დაღმართ რონინი კვლავ სასეირო რამ სურათი გამოვიდა.

იბადებიან და მერე ქრებიან უმშვენიერესი ხატები, ამო ბგერები, ერთადერთი რამ რჩება მხოლოდ – დაუსაბამო მშვენიერება, ერთი აღნაქვსის მეორედ გარდაქცევა, მარადიული მოძრაობა, ცვალებადობა. თქმა არ უნდა, ყოველთვის ვერ ვახერხებთ მათ მოხელთებას, ტილოზე აღბეჭდვას ანდა ნოტებზე გადატანას საჯარო თანალმობისა და განსჯისათვის. კაცობრიობა უნდა გიყვარდეს, რომ ჩაწვდე ცალკეულ ადამიანის სულს, თავისებურს. ადამიანი თვალში არ უნდა გეპატარავებოდეს და არც გეგონჯებოდეს. მაშინ ჩაწვდები მის გულისნადებს. თვალად ნაზი არსება ხანდახან უფრორე აღებეჭდება გულ-გონებას, ვიდრე პირმშვენიერი; შესაძლოა ისე შექმნა იერსახე, რომ საერთოდ უგულებელჰყო გარეგნობა. ფუჭია ყოველი ქმნილება, საცა არ ფეთქავს სიცოცხლე, არ ტოკავს კუნთი და არ გაისმის გულის ბაგაბუგი.

5. ძველი გერმანული სკოლის შედევრები – იგულისხმება მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების დიდ გერმანელ ხელოვანთა – ალბრეხტ დიურერის, მარტინ შიონგაუერის, მათიას გრიუნევალდის, ალბრეხტ ალტორფერისა და სხვათა ნაწარმოებები.

6. მედუზა გორგონი – ურჩხული ბერძნულ მითოლოგიაში; მისი დანახვა ადამიანს ქვად აქცევდა.

აქ კაუფმანი ჩაერთო კამათში:

– სინამდვილეში ვერსად ნახავ აპოლონ ბელვედერელისა[7] და რაფაელის მადონას[8] პროტოტიპებს.

– არც საჭიროა. – მიუგო ლენცმა, – გარემოება დამთრგუნველად ზემოქმედებს ჩემზე. საგანგებოდ თუ არ შევიქმენ სათანადო განწყობილება, სინამდვილის ფენომენთ ჯეროვანს ვერ მივუზღავ. მწერლისა და მხატვრის ქმნილებებში ასახული ჭეშმარიტება ეფრო მეთნევა, მისი წყალობით უმეტეს მადლს ვეზიარები, იმათ მიღმა არსებული ჩალად მიჩნს სუყველაფერი. ჰოლანდიელი ფერწერის ოსტატები მირჩევნია იტალიელებს, ისინი გასაგები მანერით მეტყველებენ. ორი სურათი მეგულვის სწორედ ნიდერლანდელებისა, რომელთ ჩემზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინეს, ვით ახალმა აღთქმამ. პირველი – ქრისტე თავის მოციქულებთან, – ფრესკა ემოს ტაძრიდან. მაცხოვარი და მოწაფეები ბუნების წიაღში. უაღრესად შთამბეჭდავი სცენა. ღრუბლიანი, მოღუშული დაისი, ჰორიზონტს მონოტონური, წითელი სარტყელი აკრავს, ქუჩას ბინდ-ბუნდი ეფინება. უცხო ადამიანი მოვიდა სტუმრად, უბრალოდ, კაცურად მოეახლათ. ჰოდა იმ უბრალო, კაცურ კაცში შეიცნეს მსხემი, ღვთაებრივ დიდებული, შიშმა შეიპყრო სუყველა, რაკი უეცრად ჩამობნელდა და გარემო გაუუცხოვდათ, თუმც ეს არ იყო თავზარდაცემა, თითქოს გარდაცვლილი ღვიძლი – თავისიანი გამოეცხადათ. ამგვარია იმ სურათზე მოყავისფრო ტონით ნახატი წყნარი საღამო. ახლა მეორე: აქ ქალი ზის თავის სენაკში, ხელთ უპყრია ლოცვანი; საკვირაოდ გამოწყობილა, გაკრიალებულ ოთახში ერბო აიკრიფება, ქალმა ვეღარ მოიცალა ეკლესიაში წასასვლელად და თავის სახლში აღავლენს ლოცვას. ღია ფანჯრის წინ დამჯდარა ქალი, მიღმა, ფართოდ გადაშლილ დაბლობიდან იღვრება ფანჯარაში ზარების რეკვა, გუნდის გალობა და ქალი თვალს ადევნებს სახარების ტექსტს.

ასე საუბრობდა ლენცი. უსმენდნენ, ნათქვამი ბევრს გულზე ხვდებოდა. ლენცი როლში შეიჭრა, მრისხანებდა, ხან იცინოდა, ქერა კულულებიან თავს აქნევდა.

ნასადილევს კაუფმანმა გვერდით გაიხმო.

– მამათქვენის[9] წერილი მივიღე, მწერს, დამიბრუნდეს ჩემი ვაჟიშვილი, მისი მხარში ამოდგომა მჭირდებაო. შენ აქ მართლაც უაზროდ, ფუჭად ფლანგავ დროს, ადამიანი რაღაცა მიზანს ხომ უნდა ესწრაფვოდეს! – არიგებდა კაუფმანი.

ლენცმა შეუტია: – აქედან წავიდე სახლში? რომ იქ ჭკუაზე შევცდე? ხომ იცი, მე სხვაგან ვერსად გავძლებ, აქაობას ვერ შეველევი. გავგიჟდები, ჟამიჟამ მთაზე ასვლა რო ვერ შევძლო,ზემოდან გადმოხედვა, მერე, რომ დავბრუნდები, ბაღში გასეირნება, ოთახის ფანჯრიდან ამ სანახის ცქერა, გადავირევი, შევირყევი! მომეშვით, თავი დამანებეთ! აქ, მხოლოდ აქ მოვითქვი სული, აქა ვპოვე სულის მშვიდობა მცირეოდენი. ჰოდა აქედან დავიკარგო? რატომ? ჩემი წასვლით შეიცვლება ქვეყნიერება. ყველას თავისი გულისნადები ჯერეჩინება. დამაშვრალმა უნდა მოისვენოს უთუოდ. მარადი სრბოლა და ბრძოლა, რუდუნება, დღევანდელობის უგულებელყოფა, გარჯა ერთი განცხრომისათვის! მწყურვალება, ოდეს გზად გვხვდება ნაკადული! აქაობას შევეგუე და აქვე დავრჩები. რატომ? რატომ? – იმიტომ რომ აქ მირჩევნია! რას გადამეკიდა მამაჩემი? უკეთეს ყოფას მიქადის? – არაფერიც! თავი მანებეთ! – ლენცი

7. ვატიკანის მუზეუმში დაცული აპოლონის ქანდაკება. იგი წარმოადგენს ბერძნული ბრინჯაოს ორიგინალის რომაულ ასლს. გერმანელი ხელოვნებათმცოდნის, იოჰან იოახიმ ვინკელმანის აღფრთოვანებული შეფასების წყალობით აპოლონ ბელვედერელი იქცა ბერძნული ხელოვნების სიმბოლოდ. ბიუხნერი ბელვედერელ აპოლონს იცნობდა დარმშტადტის ჰერცოგისეულ მუზეუმში დაცული თაბაშირის ასლის მიხედვით.

8. იტალიური რენესანსის გენიალური წარმომადგენლის, რაფაელის (რაფაელო სანტის, 1483-1520) ფუნჯით შეიქმნა ოცდაათამდე მადონა, მაგალითად,საყოველთაოდ ცნობილი სიქსტის მადონა.

9. მამა, ქრისტიან დავიდ ლენცი (1720-1798) პასტორი და თავისი დროის გამოჩენილი მწერალი-თეოლოგი, ბალტიისპირა ქვეყნებში მოღვაწეობდა, იყო სრულიად ლივლანდიის (ლატვიის) გენერალსუპერინტენდანტი, უმაღლესი საეკლესიო მოხელე. მკაცრ, ავტორიტარულ მამას გამორჩეულად უყვარდა თავისი ვაჟიშვილი, იაკობი და ზრუნავდა მის განსწავლასა და კარიერაზე. მამის ნების წინააღმდეგ ი. ლენცმა ორი წლის შემდეგ შეწყვიტა თეოლოგიის შესწავლა კიონიგსბერგის უნივერსიტეტში.



გაცეცხლდა. კაუფმანი გაეცალა და დარჩა ლენცი დაღონებული.

მეორე დღეს კაუფმანმა წასვლა გადაწყვიტა და ობერლინს შესთავაზა შვეიცარიაში გაჰყოლოდა.

– მე და ლავატერი[10] დიდი ხანია წერილებსა ვწერთ ერთმანეთს, ახლა წამოვალ და გავეცნობი! – კვერი დაუკრა ობერლინმა.

მომდევნო დღეს სამგზავროდ წასვლის თადარიგი დაიჭირეს. ლენცს გული აემღვრა. უსასრულო ტანჯვისაგან თავის დასაღწევად ათას რამეს ებღაუჭებოდა. დრო და დრო იგრძნობდა ხოლმე, საკუთარ თავზე განუწყვეტელი მიმძლავრება რომ სჭირდებოდა, იტყოდა, ავადმყოფი ბავშვივით ვეპყრობი საკუთარ თავსო. ზოგ ფიქრსა და განცდას იგი მხოლოდ დიდი ძალისხმევის ფასად განაგდებდა. ისევ მოუვლიდა უსაშველო განცდა შიშისა, აკანკალდებოდა, თმები ყალყზე დაუდგებოდა, დაიძაგრებოდა და ბოლოს არაქათგამოცლილი მიეგდებოდა. შვებას ოდენ ერთი არსება ჰგვრიდა, მიწყივ მის თვალწინ მყოფი, – ობერლინი, მისი სახე, მისი სიტყვები, ამიტომაც შიშით ფიქრობდა მეგობრის გამგზავრებაზე.

სახლში მარტო დარჩენა ესიკვდილებოდა. იმხანად თბილი ამინდები დაიჭირა. გადაწყვიტა ობერლინი მთაში გაეცილებინა. წავიდნენ. მთა გადალახეს და გადაღმა, იქ, საცა ფერდობი დაბლობს ერწყმოდა, ერთმანეთს დაემშვიდობენ. უკან მარტოკა წამოვიდა. აცა-ბაცა სერავდა ფერდობს, მთის განიერი კალთები ხევში იკარგებოდა. ტყე – მეჩხერი, ჰორიზონტი ვეება შტრიხით გადახაზული. დაბლა – დაბლობი აბოლებული. ჰაერის ძალუმი ქროლვა, არსაით კაცის ჭაჭანება, აქა-იქ ქოხი, ფერდობს აკრული, მწყემსის სადგომი საზაფხულო. ლენცი დაშოშმინდა და ფიქრებს აჰყვა. მის თვალში ერთ ხაზად შენივთდა ყოველი, ზეცისა და მიწის გამყოფ დაღმავალ სხივად. იმგვარი განცდა დაეუფლა, თითქოს ნელიად მონანავე უსასრულო ზღვის ნაპირზე იმყოფებოდა. ხანგამოშვებით ჩაიმუხლებდა, მერე ისევ გაეშურებოდა ოცნებებს აყოლილი. გზას არად დაგიდევდა.

უკვე კარგა დაღამებულზე შტაინთალის მახლობლად ფერდობზე მდგარ ერთ სახლს მიადგა. კარი გამოკეტილი დახვდა და განათებულ ფანჯარას მიუახლოვდა. შეიხედა. ლამპა თითქოს მხოლოდ ერთადერთ კუნჭულს ანათებდა, მისი სინათლე ერთი გოგოს გაფითრებულ პირისახეს ეფინებოდა. გოგონა ლამპის მიღმა იწვა გარინდული, ნახევრად თვალგახელილი და ტუჩებს აცმაცუნებდა. შორიახლოს დასკუპული ბებერი დედაკაცი ჩახლეჩილი ხმით ღიღინებდა საგალობელს. კარგახნის კაკუნი დასჭირდა, ვიდრე დედაბერი კარს გაუღებდა. ნახევრად ყრუ გამოდგა დედაბერი, იგი შეუძღვა შინ, მცირე რამ საჭმლით გაუმასპინძლდა, მოსასვენებლად ადგილი მიუჩინა, თან განუწყვეტლივ ღიღინებდა. გოგონა არც კი შეტოკებულა. კარგახნის შემდეგ ერთი მაღალი, გამხდარი კაცი შემოვიდა, მეჩხერ, ჭაღარათმიანი, ქარდაკრული, მჭმუნვარე პირისახით. მის დანახვაზე გოგო გაკრთა, შეშფოთდა. მოსულმა გამხმარი ბალახი ჩამოხსნა კედლიდან და გოგონას ფოთლები დააფინა ხელზე. გოგო დაწყნარდა და აზრიანი სიტყვების წარმოთქმას მოჰყვა გაბმული, გამყივანი ტონით. კაცმა დამხვდურთ უამბო, მთებში ხმა გავიგონე და შორს გამკრთალი ელვის ციალი ვიხილეო. უცაბედად რაღაცა დამეტაკა და მას შევერკინე, როგორც იაკობიო. რომ დაამთავრა, დაიჩოქა და მხურვალე ლოცვა აღავლინა. ავადმყოფი გოგო ამ დროს წყნარი, ძლივს

10. იოჰან კასპარ ლავატერი (1741-1801) შვეიცარიელი (გერმანულენოვანი) მწერალი, ფილოსოფიურ და რელიგიურ თხზულებათა ავტორი, სახელი გაითქვა თხზულებით „ფიზიოგნომისტური ფრაგმენტები ადამიანის შეცნობისა და კაცთმოყვარეობის ხელშესაწყობად“. მან საფუძველი დაუდო ფიზიოგნომიკას, მეცნიერებას ადამიანის სულის სხეულებრივ გაცხადების ფორმათა შესახებ სახის ნაკვთებისა და თავის ქალის ფორმების მიხედვით. ფიზიოგნომიკამ, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ევროპაში მოდად ქცეულმა, აღიარება მოიპოვა აგრეთვე გერმანელ შტიურმერებში. ნაშრომის მეოთხე ტომში ლავატერი სხვებთან ერთად ლენცსა და კაუფმანსაც მოიხსენიებს იმ პირთ შორის, ვინც საქმიანი თანადგომა აღმოუჩინა ავტორს.



გასაგონი კრინით გალობდა. ლენცი მოსასვენებლად გაემზადა.

შუა სიზმარში მყოფს საათის ტაკატუკი ჩაესმა, მერე გოგონას კრინი და დედაბრის ხავილი, რასაც ხან ძალუმი და ხანაც წყნარი ქარის ქროლვა ახლდა თან. პირბადრი მთვარე სიზმარეულ სხივებს დააფრქვევდა ოთახს და მერე ღრუბელში შეიყუჟებოდა. უცაბედად ხმა გაძლიერდა, გოგომ ხმამაღლა, გარკვევით განაცხადა, კბოდეს გადაღმა ეკლესია აღუმართავთო. ლენცმა გახედა, გოგო წელგამართული, თვალგახელილი იჯდა მაგიდის მიღმა, სახეზე მთვარის ბაცი სხივები ეფინა, რაც მისტერიულ ელვარებას ანიჭებდა. დედაბერი ისევ ხვრინავდა. შუქ-ჩრდილისა და ჩქამების მონაცვლეობამ ლენცს როგორც იქნა მოჰგვარა რული.

ლენცს დილაადრიან გამოეღვიძა. ბინდ-ბუნდით მოცულ ოთახში ყველაფერი ძილს გაეთანგა, გოგოც დამშვიდებული, გულაღმა იწვა, ერთმანეთს გადაჭდობილი ხელის მტევნები მარცხენა ლოყაზე მიედო. იდუმალება გასცლოდა, მის ნაკვთებს ახლა უსაშველო ტანჯვის დაღი ემჩნეოდა. ლენცი ფანჯარსთან მივიდა და გამოაღო. გარედან დილაჟამის გრილი ჰაერი შემოიჭრა, შეამცივნა. სახლი ღრმა, ვიწრო, აღმოსავლეთით გახსნილი ხეობის ბოლოში მდებარეობდა; აისის ნაცრისფერ ციდან მოწყვეტილი წითელი სხივები ახალგამოფხიზლებული ხეობის თავზე მოჯარული თეთრი კვამლის ქულებს სერავდნენ, ლეგა ლოდებს გაკვესავდნენ და ქოხთა ფანჯრებში იჭრებოდნენ. ჭაღარა კაცს გამოეღვიძა. მზერა კედელზე დაკიდულ შუქმოსილ ხატს მიაპყრო და მიაშტერა. მერე ტუჩები ააცმაცუნა, მხურვალე ლოცვა აღავლინა, ჯერ წყნარად, შემდეგ თანდათან უფრო ხმამაღლა. ამასობაში ხალხი შემოვიდა ქოხში. მოდიოდნენ და მდუმარედ მუხლს იდრეკდნენ. გოგო იწვა და ცახცახებდა, დედაბერი ხავილით ამბობდა საგალობელს, ხანაც მეზობელთან მუსაიფობდა.

მოსულებმა უამბეს ლენცს, ეს კაცი კარგა ხანია გამოგვეცხადაო, საიდან მოევლინათ, არავინ იცოდა. წმინდანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მიწის წიაღ წყალს ჭვრეტდა. მას თურმე სულთა გამოძახება ძალედვა, ამიტომაც მოილტვოდნენ მისკენ ლოცვადმავალნი. იმათვე აუხსნეს ლენცს, მხარი აგქცევია, შტაინთალს ამცდარხარო. ამიტომ იქით მიმავალ რამოდენიმე ტყისმჭრელს აემგზავრა. თანამგზავრებმა გაახალისეს. წმინდანად შერაცხული კაცის გახსენება აშინებდა, მისი ხმის მრისხანე ჟღერა. მოახლოებულ მარტო ყოფნასაც უფრთხოდა. დაბრუნდა შინ; ქოხში გატარებული ღამე სულს მაინც ცხადად აღებეჭდა, დარჩა ნათელი მოგონება. ახლა კი, თითქოს უფსკრულის კიდეზე მყოფს ულმობელი რაღაც ძალა ჩაეჭიდა და მის ჩათრევას ლამობდა. საგონებელში ჩავარდა, ცოტას ჭამდა, მაჯლაჯუნას ელდანაკრავი გაიღვიძებდა და ლოცულობდა. მოეჭრებოდა თავზარი, არაქათს გააცლიდა და მიაგდებდა; ლენცი ცხარე ცრემლით ატირდებოდა და მერე უცაბედად ძალას მოიკრებდა, ცივი გონებითა და გულმშვიდი წამოდგებოდა, ცრემლს შეიშრობდა, გაიცინებდა. რაც უფრო მაღლა აიჭრებოდა, მით უფრო ღრმა უფსკრულში ვარდებოდა. აირდაირევოდა კვლავ ყველაფერი, ქვეშეცნეულად მოვლენილი ძველი განცდები მოეჭრებოდა და ტიალ ქაოსს, მის სულში დავანებულს, მყისიერ შუქს მიაფრქვევდა.

დღის განმავლობაში ქვემოთ, ოთახში იჯდა ჩვეულებრივ. იქ ქალბატონი ობერლინი მიაკითხავდა ხოლმე. ლენცი ხატავდა ფანქრით



და ფუნჯით, მერე უეცრად წიგნებს გადასწვდებოდა, ათას ხერხს მიმართავდა ფიქრთ გასართველად; ქალბატონ ობერლინს ეთვისებოდა. განსაკუთრებით ეთნეოდა ხილვა ოთახის ყვავილის სიახლოვეს მჯდარი ქალისა, როცა მას შავყდიანი ლოცვანი ეპყრა ხელთ და კალთაზე უმრწემესი შვილი ებღაუჭებოდა. მაშინ ბავშვს მიეფერებოდა ხოლმე ლენცი. ერთხელაც შიშმა მოუარა ოთახში მჯდომს, წამოხტა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ღია კარიდან მოისმა მოახლე გოგოს სიმღერა, ჯერ გაურკვეველი, ბოლოს სიტყვებიც გაარჩია:

ქვეყანაზე არაფერი მახარებს,
ჩემი სატრფო გაქცეულა სხვა მხარეს.

სიმღერის სიტყვები ისე მოხვდა გულზე, რომ კინაღამ ცრემლი ადინა. ქალბატონმა ობერლინმა მოიხედა მისკენ. ლენცს მეტი დუმილი აღარ შეეძლო, მან მოიკრიბა მხნეობა და ამოღერღა:

– ჩემო კეთილო ქალბატონო ობერლინ, იქნებ თქვენ მითხრათ, რასა იქმს ის ქალიშვილი[11], მომკლა იმისმა დარდმა!

– მე ვერაფერს გეტყვით, ბატონო ლენც!

ლენცი ისევ დადუმდა, ოთახში აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. მერე დაიწყო:

– იცით, მე უნდა წავიდე; ღმერთმა იცის, თქვენ ერთადერთნი ხართ კაცთაგან, ვისთანაც მე გაძლება შემიძლია და მაინც უნდა გავეცალო აქაურობას. – იმ ყმაწვილქალის სანახავად მწადია წასვლა, მაგრამ შებოჭილი ვარ, ვერ ვახერხებ – თქვა და უკიდურესად აფორიაქებული გავიდა კარში.

გერმანულიდან თარგმნა ზურაბ აბაშიძემ

დასასრული შემდეგ ნომერში

11. ის ქალიშვილი, – იგულისხმება ზესენჰაიმელი პასტორის ქალიშვილი, ფრიდერიკე ბრიონი (1752-1813). ფრიდერიკეს ეტრფოდა ი. ვ. გოეთე, ხშირად დადიოდა მასთან, მაგრამ მერე მიატოვა და არ უთქვამს, რომ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი სატრფოსთან. ერთი წლის შემდეგ ფრიდერიკე გაიცნო ლენცმა და თავდავიწყებით შეიყვარა იგი. ფრიდერიკემ არ გაიზიარა ახალგაზრდა მწერლის გრძნობები. გაუზიარებელი სიყვარული აღმოჩნდა ლენცის დეპრესიისა და მისი სულიერი ავადმყოფობის მიზეზი.

„ინტელექტი“ გთავაზობთ



ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო
გაზაფხული და წელიწადის სხვა დრონი

გახმაურებული სერია – ნობელის პრემიის ლაურეატები. ახალი წიგნი – გამოჩენილი ფრანგი მწერლისა და 2008 წლის ნობელიანტის, **ჟან-მარი გუსტავ** ლე კლეზიოს ნოველების კრებული „გაზაფხული და წელიწადის სხვა დრონი“. ფრანგულიდან თარგმნა **დალი იაშვილმა**.

„ეს ერთ დღეში წასაკითხი ნოველებია. იწყებ კითხვას, თავს ვეღარ ანებებ და მწერლის მომაჯადოებელ სამყაროში შედიხარ...“ (ფრაგმენტი წინასიტყვაობიდან).

წიგნს ერთვის **მზია ბაქრაძის** წერილი „მეცამეტე ფრანგი“ და ლე-კლეზიოს სანობელო ლექცია (ფრანგულიდან თარგმნა **ირმა ტაველიძემ**).

უკვდავი სახელები

„დედაკაცებმა ბაირაღებს კერვაც დაუწყეს“ – ასე ქვია ფრაგმენტს თამაზ ჯოლოგუას მონოგრაფიიდან, რომელიც 1832 წლის შეთქმულებას ეხება. „ქართული მწერლობის“ წინამდებარე და მომდევნო ნომრებში გთავაზობთ შეთქმულ ქალებს – აქტიურ მონაწილეებს საიდუმლო განზრახულებისა.

ფოტოებზე
მანანა ორბელიანი

თამაზ ჯოლოგუა

შეთქმული ქალები

მანანა ორბელიანი

მანანა ორბელიანი (1808-1870) იყო პოდპოლკოვნიკ მირმანოზ ქსნის ერისთავის ასული და მეუღლე პოდპორუჩიკ (ზოგ წყაროში – „სოვეტნიკ“) დავით ივანეს ძე ორბელიანისა (გარდ. 1830; დავითის გარდაცვალებას გრიგოლ ორბელიანი გამოეხმაურა ლექსით – „დავით ორბელიანზე“).

დავით ორბელიანი იყო ძმა შეთქმულების აქტიური წევრის – ლუარსაბ ორბელიანისა. 1833 წლის თებერვლის დასაწყისში ლუარსაბი შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომლის მიხედვითაც, მისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ძმის, პოდპორუჩიკ დავით ორბელიანის ცოლი მანანა სამი შვილით: 8 წლის ივანეთი, 7 წლის ანასტასიათი და 5 წლის ალექსანდრეთი (გოზალიშვილი, II: 256). 22 თებერვალს მიცემულ ჩვენებაში კი ლუარსაბ ორბელიანი შეთქმულთა შორის უკვე მანანა ორბელიანსაც ასახელებს: „1832 წელს ჩემმა რძალმა... მანანამ იცოდა განზრახულება საქართველოს განთავისუფლების შესახებ, და მგონია, რომ მას ელიზბარ ერისთოვმა უთხრა... ელიზბარს ხშირად ჰქონია მასთან საუბარი“ (გოზალიშვილი, II: 342).

მანანას მონაწილეობა შეთქმულებაში დაადასტურეს იასე ფალავანდიშვილმა, სოლომონ დოდაშვილმა, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი რევაზის ძე ერისთავებმა.

მანანა ორბელიანი არ ყოფილა აჯანყებისათვის მზადების პასიური მაყურებელი – იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით, „როგორც ელიზბარმა გადმომცა, მანანას თანდასწრებით აშკარად ყოფილა საუბარი აჯანყებაზე... ელიზბარი მეუბნებოდა, რომ ლუარსაბ ორბელიანს უთქვამს მისთვის, რათა თავადები არჩევნებისათვის შეიკრიბნენ არა ლუარსაბის, არამედ მისი [ელიზბარ ერისთავის] სიძის მელნიკოვის სახლში, სადაც ქართლის ზოგიერთ საპატიო თავადს მანანა და ელიზბარი გაუმჟღავნებენ შეთქმულებასაო“ (გოზალიშვილი, III: 103). შეთქმულების მასალების მიხედვით, მანანამ, სულ ცოტა, იცოდა „პირველი ღამის განკარგულებისა“ და საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტის შესახებ (გოზალიშვილი, II: 393).

რაც შეეხება მანანას შეთქმულთა წრეში შესვლის თარიღს, შეთქმულნი 1832 წლის შემოდგომას ასახელებენ, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ამ თარიღში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა:

1831 წლის გაზაფხულზე მანანა თავის შვილებთან ერთად თბილისიდან ქართლში ძმასთან გამგზავრებულა და იგი ქალაქიდან გაუცილებიათ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ლუარსაბ და ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანებს, ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთავებს. ლუარსაბ ორბელიანისა და გიორგი ერისთავის ჩვენებებით, მათ გზაში „პოლონეთზე“ [პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყებაზე] და თავიანთ „განზრახულებაზე“ [შეთქმულებაზე] უსაუბრიათ (გოზალიშვილი, II: 396-397, 430, 434), მაგრამ შეთქმულთა ჩვენებებიდან მკაფიოდ არ ჩანს, მონაწილეობდა თუ არა ამ საუბარში საკუთრივ მანანა და, საერთოდ, იცოდა თუ არა მან ამ დროისათვის შეთქმულების არსებობა.

თვითონ მანანა ორბელიანი 1833 წლის 25 თებერვალს წერილობით განმარტებას აძლევს კავკასიის მთავარმართებელს, გრაფ როზენს: „მე

ვარ... რძალი ნამსახური და ერთგულის სახლისა და კმაყოფილი ჩემის ცხოვრებისა და მთავრობისაგან. მაშ რა მიზანი მექნებოდა, რომ გამებედნა და შევსულიყავ მთავრობის წინააღმდეგ საქმის მოქმედებაში, მაგრამ თუმცა ზოგიერთი მთავრობის წინააღმდეგი ჰაზრი ჩემის ნათესავებისაგან შეტყობილი მქონდა და, ვითარცა კანონის უცოდინარმა დედაკაცმა, შიშითა და სირცხვილითა და ნათესაობის მიზეზით ვერ გავბედე, რომ პირველადვე მოენე შევქმნილიყავი. ახლა, რადგანაც თითონ იმათაც უღიარებიათ, ამისათვის მე ამას ვბედავ ჩემის ერთგულებითა, წრფელის სვინდისით და დაუფარავი მინდობით თქვენის მაღალაღმატებულობისა, ვითარცა მამა მზრუნველი უბედურთა, აღვიარებ, რაც გამიგონია და მათ ეთქვათ ჩემთვისა“. ამის შემდეგ მანანა საუბრობს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ისედაც ცნობილი იყო საგამომძიებლო კომისიისათვის: შეთქმულება გამიმჟღავნა გიორგი რევაზის ძე ერისთავმა, ამ თემაზე მისაუბრია ელიზბარ ერისთავთან, ლუარსაბ ორბელიანთან და ზაქარია ჩოლოყაშვილთან. გიორგი რევაზის ძე ერისთავისგან გამიგონია, რომ შეთქმულების სათავეებთან ოქროპირ ბატონიშვილი დგას და დიმიტრი ბატონიშვილიც „ჩვენი ამ საქმეში ამხანაგიაო“, ოქროპირი მზადაა, საფრანგეთში წავიდეს და იქიდან დაგვეხმაროსო, „ბატონიშვილ თეკლეს შვილებიც ჩვენი თანახმანი არიანო და შემწეობასაც გვაძლევენო“ (გოზალიშვილი, II: 342-343).

1833 წლის 7 ივლისს მანანა ორბელიანი უკვე საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომელშიც აღიარებს: 1832 წლის ნოემბრის დამდეგს ელიზბარ და გიორგი [რევაზის ძე] ერისთავებმა მითხრეს, „რომ გვსურს თავისუფალნი შევიქნათო“, მაგრამ მე არათუ დავთანხმდი, პირიქით, ისინი დავტუქსე და ამის მერე მე შეთქმულებაში არც არა მონაწილეობა მიმიღია და არც არაფრის კურსში ვარ, გარდა იმისა, რაც გრაფ როზენს წერილობით უკვე ვაცნობეო (გოზალიშვილი, III: 295-298).

საგამომძიებლო კომისია, რომელიც არ იყო დაინტერესებული შეთქმულების ჭეშმარიტი მიზანდასახულობისა და მასშტაბების წარმოჩენით, მანანას ჩვენებას დასჯერდა, გაათავისუფლა იგი პასუხისმგებლობისაგან, თუმცა საჭიროდ ჩათვალა მისთვის სასტიკი მეთვალყურეობის დაწესება („ქვრივი მანანა ორბელიანოვი... დარჩეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ“ – გოზალიშვილი, III: 430; ბერძნიშვილი: 155).

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ერთი მოგონების მიხედვით, „ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა ბაირაღებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს“ (ბალახაშვილი: 15). დოკუმენტურად არ დასტურდება, იყო თუ არა ამ „ყმაწვილ დედაკაცებს“ შორის მანანა ორბელიანი, თუმცა არისტოკრატიულ წრეებში ასეთი გადმოცემა მართლაც არსებობდა – რევაზ შალვას ძე ერისთავის ასული ანასტასია ამილახვარი ერთ თავის მოგონებაში წერს: „მანანა [ორბელიანი]... ჰქარგავდა საქართველოს აღდგენის დროშას“ (ამილახვარი: ფურც. 13), ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავის გადმოცემით კი – „მანანაზე, ვგონებ, ცნობილია, რომ თავისუფლების დროშას საქართველოსი ჰკერავდნენ ელენე და მანანა“ (ერისთავი I: ფურც. 1; ავტორი გულისხმობს ელენე ერისთავს – ლუარსაბ ორბელიანის ასულს, 1850 წელს ყაჩაღების მიერ მოკლული ზაქარია ერისთავის მეუღლეს, თუმცა შეთქმულებასთან რაიმე ფორმით ელენეს კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ჩვენ არ მოგვეპოვება).

1840-იანი წლებიდან მანანა ორბელიანი თბილისის კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების ცენტრში მოექცა. მას ჰქონდა ლიტერატურული სალონი, სადაც თავს იყრიდნენ თბილისში მყოფი ქართველი მწერლები და რუსეთიდან თუ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები, კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს (ორიგინალურნი, თარგმანები), მსჯელობდნენ ქარ-

თული კულტურის აწმყოსა და მომავალზე (სალონის ხშირი სტუმარი იყო მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი). სწორედ მანანას სალონში დაიბადა და ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების იდეა (ბალახაშვილი: 25-42). ყოველივე ამის გამო იონა მეუნარგია მანანას „ჩვენებურ მადამ რეკამიეს“ უწოდებს [მეუნარგია: 203; ჟანა-ფრანცისკა-იულია-ადელაიდა (ეძახდნენ ჟულიეტას) რეკამიეს (1777-1849) პარიზში ჰქონდა ევროპაში სახელგანთქმული სალონი, სადაც თავს იყრიდნენ დიდი მწერლები და ხელოვანები (შატობრიანი, სტენდალი, ბალზაკი, ჰიუგო, მერიმე, მიუსე, ჟაკ ლუი დავიდი და სხვ.). ამდენად, ეს სალონი ათეული წლების განმავლობაში პარიზის კულტურულ-ინტელექტუალურ ცენტრად ითვლებოდა].

დიმიტრი ყიფიანის ცნობით, 1840-იანი წლების დასაწყისში იმ ქართველ პოეტებს (მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილს), რომლებიც ტრიალებდნენ მანანა ორბელიანის სალონში, შეუდგენიათ მანანასადმი მიძღვნილი ხელნაწერი პოეტური კრებული, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება (ლეონიძე: 411). მანანა ორბელიანის სალონის წევრმა დიმ. ყიფიანმა თავისი პირველი თარგმანი შექსპირის „რომეო და ჯულიეტასი“ (1841 წ.) უძღვნა მანანას – უცნობი ხელით გადაწერილ ერთ-ერთ ხელნაწერს ამ თარგმანისას აქვს მინაწერი: „რუსულიდგან კნეინა **მანანა ორბელიანისთვის** ქართულსა ენაზედ გარდმოღებული **ყიფიანის** მიერ **ტფილისს**...“ (ყიფიანი: ფურც. 2) და სხვ. (სავარაუდოდ, ეს თარგმანი პირველად სწორედ მანანას სალონში იქნა წაკითხული, ისევე როგორც ნიკ. ბარათაშვილის ამჟამად დაკარგული თარგმანი ი. ლაიზევიცის ტრაგედიისა „იულიუს ტარენტელი“ – ბარათაშვილი: 111).

მანანა ორბელიანი 22 წლისა დაქვრივდა, ქმრის საფლავზე ფიცი დადო – „აღარ გავთხოვდებიო“ – და ეს ფიცი აღასრულა კიდევაც, თუმცა მუდამ თაყვანისმცემლებით იყო გარშემორტყმული.

1835 წელს ლუარსაბ ორბელიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანი მანანას სწერს: „უბედნიერესნი ჩემნი დღენი წარვიდნენ თქუენს ოჯახში საყუარელს დავითთან და ლუარსაბთან, რომელთა სიკუდილით დამემწარა სრულებით სიცოცხლე და გამოცხადდა ჩ[უე]ნს გვარზე რისხუა ღ[ვ]თისა. – მანანავ! ვინძლო უბედურებამან არ გძლიოს შენ, არა დაეცე სულითა. გარდამეტებული მწუხარება არის წინააღმდეგ ღ[უ]თისა. მიჰხედე შენ წვრიშვილებს, რომელთაცა მფარველად დაჰშთი მხოლოდ შენ ამ სოფელში. მათთვის უნდა იცოცხლო, მათთვის უნდა მოითმინო ყოველგვარი უსიამოვნება და ტანჯვა; თვითეული ჟამი, თვითეული დღე შენისა სიცოცხლისა უნდა უმსხვერპლო მათ“ (ორბელიანი: 38).

გრიგოლ ორბელიანის მიერ აქ ნახსენები „**წვრიშვილები**“ არიან:

1. **ივანე ორბელიანი** (1825-1893) – გენერალ-მაიორი, მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის ადიუტანტი, „კავკასიის ომების“ მონაწილე, დიმ. ყიფიანის თაოსნობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, თავისებური ხასიათისა და მეტად კოლორიტული პიროვნება, რომლის შესახებაც გრიგოლ ორბელიანი 1846 წლის თებერვალში თემირ-ხან-შურადან ირონიული ტონით სწერს მანანას: „მაგის ამბავი სულ წვრილად ვიცი: ეგ გამხდარა აკტრისების ლომი... სადაც შეუტევს, ბრეს გაადენს. სწორედ მოგახსენოთ, კარგი გზა აურჩევია სადიდებლად თავის გვარისა და საკეთილდღეოდ თავის ოჯახისა... ნეტავი იმათ [ივანეს წინაპრებს], რომ მაგისთანა დიდებული, ჩინებული, პატივცემული შვილისშვილი გამოუვიდათ, რომლისა სახელი გარდამატებს მათ სახელთა“ (ორბელიანი: 120). 1847-1850 წლებში ივანე ორბელიანი თითქოს შამილის წინააღმდეგ კი იბრძოდა გრიგოლ ორბელიანის სამხედრო ნაწილში, მაგრამ ძირითადად დროს გარე-გარე სიარულში, ქეიფსა და დროსტარებაში ხარ-

დამოწმებანი:

ამილახვარი: ამილახვარი ანასტასია, აღწერა ჩემი ცხოვრებისა ბავშვობიდან, ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 8995-ხ.

ბალახაშვილი: ბალახაშვილი იაკობ, მანანა ორბელიანი, თბ., 1941.

ბარათაშვილი: ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი, ა. გაწერელიასა და ი. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1972.

ბერძნიშვილი: ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983.

ბოროზდინი: ბოროზდინი კორნელი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861 (მოგონებანი), თბ., 1934.

გოზალიშვილი: გოზალიშვილი გიორგი, 1832 წლის შეთქმულება, I, თბ., 1935; II, თბ., 1970; III, თბ., 1976.

ერისთავი I: ერისთავი ელისაბედ, მოგონება მანანა ორბელიანზე, ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 13481-ხ.

ერისთავი II: ერისთავი ელისაბედ, მოგონებანი, ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 13257-ხ.

კარბელაშვილი: კარბელაშვილი პოლიევქტოს, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, ტფ., 1902.

ჯავდა, რასაც ივანეს ცხოვრების წესით შეწუხებული გრიგოლ ორბელიანი ხშირ-ხშირად ატყობინებდა თბილისში თავის ნათესავ-მეგობრებს. „ქაჩალი ივანე, ჩამომავლობით ღონენა, წამოვიდა დედის გასახარებლად. ვნახოთ რა დიდი ბედნიერება მიეცემა მაგის ნახვითა“ – სწერს ივანეს მოშორებით შვებამოგვრილი გრიგოლ ორბელიანი 1850 წლის 6 დეკემბერს ილია ორბელიანს (ორბელიანი: 212). 1858 წელს ფოთის სანავსადგურო ქალაქად კურთხევის ცერემონიალზე ოფიციალურ პირად მიწვეული ივანე ორბელიანი იქ მეზურნეების დასტით გამოცხადდა: „ზურნის ხმა პირველად მოეფინა ფოთს და ჩვენც, საკმაოდ შეღვინიანების შემდეგ, საამოდ გვეწვეთებოდა ყურში ეს ხმაო“ – წერს ამ ამბის შემსწრე კორნელი ბოროზდინი (ბოროზდინი: 313).

ივანე ორბელიანი დაქორწინებული იყო შალვა რევაზის ძე ერისთავის ქალიშვილზე – სოფიოზე (გარდ. 1887). „[მანანას] სიკვდილის შემდეგ მისი შვილი ივანე გადაიყვანეს დაღესტანში მართველათ და ცოლ-ქმარნი წავიდნენ გუნიბში, საიდანაც ზაფხულში მამიდაჩემი სოფიო გვეწვეოდა ხოლმე კარალეთში, თავის სამშობლოში“ – იგონებს ანასტასია ამილახვარი (ამილახვარი: ფურც. 14).

ივანე და სოფიო ორბელიანები დაკრძალულნი არიან ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში (ცინცაძე: 112).

2. ანასტასია (ტასო) ორბელიანი-გაგარინა (1826-1907) – ცოლი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის მიერ მოკლული **ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინისა** (1801-1857). დაქვრივებული ანასტასია დასახლდა ყირიმში, ქუჩუქ-ლამბათში (ამჟამად – უტიოსი), ქმრის მამულში, სადაც სიკვდილის წინ, 1907 წელს, მისი თაოსნობითა და არქიტექტორ ნ. კრასნოვის პროექტით აშენდა ქუჩუქ-ლამბათის შესანიშნავი სასახლე. მანამდე კი, 1901 წელს, ანასტასია გაგარინამ ანჩისხატის იატაკი მოაგებინა მოზაიკით [ბერძნიშვილი: 154; უფრო ადრე – 1829 წელს – თვითონ მანანას შეუწირავს ანჩისხატისთვის „პირი ბეთანიის ღვთის მშობლის ხატისა, ოქროცურვილი ვერცხლით და თვლებით შემკობილი“ (კარბელაშვილი: 26)]. მანანა ორბელიანი ცხოვრების ბოლო წლებს ძირითადად ქალიშვილთან ატარებდა ყირიმში.

ანასტასია და ალექსანდრე გაგარინები უშვილოდ გადაეგნენ.

3. **ალექსანდრე ორბელიანი** (1828-1869) – გენერალ-მაიორი, „კავკასიის ომების“ მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1858-1864 წლებში (ამ პოსტზე დიმიტრი ყიფიანმა შეცვალა). ანასტასია ამილახვრის მოგონების მიხედვით, „ალექსანდრემ შეირთო მდიდარი რუსის ქალი – სომოვისა“ (ამილახვარი: ფურც. 13); „ალექსანდრეს ყავდა ერთი ქალი მარიამ, რომელიც სილამაზით მოგაგონებდათ თავის ბებიას – მანანას“ (ერისთავი II: ფურც. 8). ცხოვრების უკანასკნელი წლები ალ. დ. ორბელიანმა გაატარა პეტერბურგში, სადაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამალაში ირიცხებოდა ფლიგელ-ადიუტანტის ჩინით. გარდაიცვალა იალტაში („მნათობი“: 11-12).

მანანა, მისი მეუღლე დავით ორბელიანი და შვილი ალექსანდრე დაკრძალულნი არიან კუმისის წმ. სამების ეკლესიაში (კუმისის ეკლესია ორბელიანთა საგვარეულო სამარხი იყო: 1847 წლის დეკემბერში გრიგოლ ორბელიანი თავისი ძმის, ყაჩაღების მიერ მოკლული ზაქარიას, დაკრძალვასთან დაკავშირებით თემირ-ხან-შურადან ქეთევან ორბელიანს სწერს: ჯობს, ზაქარია კუმისის სამებაში დამარხოთ, „იქ უნდა იყოს უკანასკნელი ჩვენი სადგური... მეც იქ დამმარხეთ“ – ორბელიანი: 159; რამდენიმე დღის შემდეგ კი გრიგოლი უკვე ილია ორბელიანს სწერს: „ჩვენი კუმისის სამება ჰსჯობს ჩვენთვის, ამიტომ რომ ეს არის საკუთარი ჩვენი სასაფლაო“ – ორბელიანი: 161. სხვათა შორის, ახლობლებმა გრიგოლის რჩევა არ გაითვალიწინეს და ზაქარია ორბელიანი ქაშვეთის ტაძარში დაკრძალეს).

ლეონიძე: ლეონიძე გიორგი, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო, „ლიტერატურის მატიანე“, წგნ. 1-2, 1940.

მეუნარგია: მეუნარგია იონა, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, წიგნში: ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, I, 1954.

„მნათობი“: [ნეკროლოგი], „მნათობი“, 1869, ნოემბერ-დეკემბერი.

ორბელიანი: ორბელიანი გრიგოლ, წერილები, ა. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, I, თბ., 1936.

ყიფიანი: შექსპირი უილიამ, რომეო და ჯულიეტა, დიმ. ყიფიანის თარგმანი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-2677.

ცინცაძე: ცინცაძე კალისტრატე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბ., 1994.

შტრიხები პორტრეტისთვის

ფოტოზე ირაკლი აბაშიძე

დიტო კიკვაძე

უჩვეულოდ მომხიბლავი

1991 წლის ნოემბერში, **გალაკტიონ ტაბიძის** მოყვარულთა საზოგადოება „ეფემერას“ წევრებმა, რომელსაც ჩვენი დაუვიწყარი მეგობარი, უაღრესად კოლორიტული პიროვნება, გალაკტიონის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი, **ხუტა ყუფარაძე** ედგა სათავეში, გადავწყვიტეთ ფართოდ აღგვენიშნა მეფე პოეტის დაბადების საუბილეო თარიღი. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე განსაცდელის ჟამს, როცა ყველას ყოფა დამძიმდა და გალაკტიონსაც კი ნაკლებად იხსენებდნენ, თვით შემოქმედებითი წრეებიც, ტრადიციას არ ვღალატობდით და ვახერხებდით გენიალური პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღთა აღნიშვნას. ამით ერთმანეთს ვამხნევებდით, ვახალისებდით, პოეტურ სამყაროშიც ვახედებდით, სულიერად ვამაღლებდით და ვალსაც ვიხდიდით გალაკტიონის ხსოვნის წინაშე.

ჩვენი სუფრების მუდმივი წევრები იყვნენ მწერლები: **ლევან სანიკიძე**, **მურმან ლებანიძე**, **ვახტანგ ჯავახაძე** (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების უბადლო მკვლევარი), **გურამ დოჩანაშვილი**, **ემზარ კვიტაიშვილი**, **ლერი ალიმონაკი**, **ზაალ ბოტკოველი**, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი **გივი ლომიძე**, მოქანდაკე **თენგიზ კიკალიშვილი**, „ეფემერას“ აქტივისტი, ლექსიკოგრაფი და პუბლიცისტი **ავთანდილ სიხარულიძე**, ჩვენი სამეგობროს ვეტერანი თავკაცი **ვახტანგ ბუხნიკაშვილი**...

ყოველწლიურად იზრდებოდა ამ შეხვედრების მონაწილეთა რიცხვი. ყოველთვის გვერდით გვედგა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **თამაზ წივწივაძე**, ცნობილი ლიტერატორი და მკლევარი, გალაკტიონ ტაბიძის ძმიშვილი, ჟურნალისტთა არაერთი თაობის აღმზრდელი, პროფესორი **ნოდარ ტაბიძე**.

მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ ჩვენს შეხვედრებს. ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდნენ ოსეთიდან, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ბიბო ვატაევი** და მისი მეგობრები, ქართველი ხალხისა და ჩვენი ეროვნული კულტურის გულწრფელი თაყვანისმცემლები...

„ეფემერას“ წევრებმა ერთობლივად გადავწყვიტეთ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავ სუფრაზე მოგვეწვია ბატონი **ირაკლი აბაშიძე**. მან გალაკტიონს ოცი მშვენიერი ლექსი მიუძღვნა და ხელნაწერის სახით გამოსცა 1968 წელს.

ბატონმა ირაკლიმ რამდენიმე დღით ადრე მოპატიჟება სიამოვნებით მიიღო, მაგრამ როცა წამოსაყვანად მე, ხუტა ყუფარაძე და **ჯონი ჯოხაძე** ვეახელით, უარი გვითხრა, იქ შეიძლება ისეთი ვინმე იყოს, რაღაცას წამომძახებსო. „ბატონო ირაკლი, თქვენ ვერავინ ვერაფერს წამოგაძახებთ, ამის გარანტიას გაძლევთ, თამადის გვერდით იქნებით, სუფრა მე უნდა წავიყვანო, უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემთ, ხოლო თქვენი იქ ყოფნა, წარმოიდგინეთ, რა სიხარულს მოჰგვრის თითოეულ ჩვენგანს“, – არ მოვეშვი მე. წამოსვლაზე, როგორც იყო, დაგვთანხმდა, მხოლოდ დააყოლა, – ნახევარი საათით წამოვალო.

რესტორან „ქალაქურში“, ზედა სართულის დიდ დარბაზში სუფრა გაშლილი დაგვხდა. უამრავ სტუმარს მოეყარა თავი. სანამ პირველი ჭიქა აიწეოდა, მურმან ლებანიძემ გაგიმარჯოთო, გვითხრა, ღვინო მოსვა და წავიდა. ეტყობოდა არ ესიამოვნა ირაკლი აბაშიძის დანახვა.

სუფრა დიდი ზარ-ზეიმით დავიწყეთ. ასეთი გახარებული ირაკლი აბაშიძე არასოდეს მინახავს.

ბატონმა ირაკლიმ მართლაც რომ ფრთები გაშალა. მეც დიდად შევუწყვე ხელი მის გახალისებას. ვეთამამებოდი კიდეც, ლაპარაკში ვბაძავდი. რა იყო მართლაც მომხიბლავი ამ კაცში? მისი არაჩეულებრივი ბუნება, აღფრ-

თოვანების უნარი, მამულიშვილობა, უდიდესი პოეტური ნიჭი, შეუდარებელი იუმორი... რომელი ერთი ჩამოვთვალო... ირაკლი აბაშიძე საქართველოს მწერალთა კავშირის გამორჩეული თავმჯდომარეც გახლდათ; მისი თავმჯდომარეობის დროს აღინიშნა რუსთაველის 800 წლის იუბილე. მისივე თაოსნობით გაიხსნა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში. სრულიად განსაკუთრებული გახლდათ ირაკლი აბაშიძის მოხსენება, რომელიც მან წაიკითხა რუსთაველის საიუბილეო სხდომაზე, თბილისში, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. ამ სხდომას ესწრებოდნენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები, ქართველოლოგები, საზოგადო მოღვაწეები. აი, ბატონ ირაკლი აბაშიძის ბრწყინვალე მოხსენების დასკვნითი ნაწილი:

„ჩვენ გვახარებს ეს დღე, როდესაც რუსთველის ქმნილება ქართველ ხალხთან ერთად მთელი კაცობრიობის ორგანული კუთვნილება ხდება. როდესაც ევროპელი თუ ამერიკელი, აზიელი თუ აფრიკელი შეეცდება ამ პოემაში, ისე როგორც ქართველმა კაცმა საუკუნეების განმავლობაში, ამოიკითხოს უფრო მეტი, ვიდრე სარაინდო რომანს, თუნდაც ლამაზად გალექსილს, შეუძლია დაიტიოს, მაშინ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტყვით ყველას გასაგონად, „რომელთა ასხენან ყურნი სმენად, ისმინენ!“ მოისმინეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნული და სამარადჟამო იგავე: ტარიელი – ზოგადი ადამიანის, კაცობრიობის სახე, განწირულებას მისცემია, რადგან ბოროტების დათრგუნვის, ჭეშმარიტების მიკვლევის ყველა იმედი გადაწურული აქვს. და სწორედ ამ დროს, ამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოევლინება ტარიელს მისივე მეორე არსება – გონების განსახიერება ავთანდილი. მოევლინება, რათა დაუბრუნოს მას რწმენა, რათა კვლავ აგრძნობინოს საკუთარი ძალმოსილება და მოაგონოს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“

აი ეს არის ჩვენი უმთავრესი სათქმელი დღეს, ამიტომ წარმოვდექი თქვენს წინაშე ამ მოხსენებით ამ დიდებულ ფორუმზე. ძვირფასო სტუმრებო! დღევანდელ ადამიანს, მსგავსად ტარიელისა, არ აკლია სიბრძნე, არ აკლია ძალმოსილება, ოღონდ ტარიელისავე მსგავსად, ბოროტებისა და საშიშროების წინაშე მას დღეს დაკარგული აქვს თავისი ძალების რწმენა, თითქოს აღარც კი სჯერა, რომ შეძლებს ეს სიბრძნე და ძალმოსილება მოიხმაროს ბოროტების დასათრგუნავად.

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო,

– მივაშველოთ ტარიელს ავთანდილი!

– დავუბრუნოთ ადამიანს რწმენა!“

რამდენიმე დღე საქართველოს ცენტრალურ პრესაში შეაჩერეს ამ მოხსენების გამოქვეყნება სწორედ მისი ბოლო ნაწილის გამო.

დიახ, სწორედ ადამიანებს სჭირდებათ რწმენა. განა სიმართლე არ იყო იმის თქმა, რომ გონიერებას ხავსი ჰქონდა გადაფარებული, თავისუფალი აზრის დეფიციტი იყო მთელ ქვეყანაში. ადამიანთა მძიმე ყოფის დამანგრეველმა სიომ უკვე დაქროლა, უკმაყოფილების ნიაღვარი უნდა დაძრულიყო, მობეზრებული ჰქონდა საზოგადოებას ამდენი შეურაცხყოფა, ტყუილი, სიყალბე, გაუთავებელი მუქარა სოციალიზმის ე.წ. „მტრების მიმართ“; მოჩვენებითი კეთილდღეობა, პარტიის ზრუნვა, ამაგი და ვინ მოთვლის კიდევ რა. ამ დროს მძლავრად გაისმა სასიგნალო შეძახილი საქართველოდან მთელი მსოფლიოს გასაგონად.

ისიც კარგად მახსოვს, საქართველოში რუსული პოეზიის დეკადის დღეებში, ქუთაისში, გელათში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე, რუსი პოეტის **ნიკოლოზ დორიზოს** გამოსვლის შემდეგ, ირაკლი აბაშიძემ როგორ უპასუხა რუსეთის მწერალთა დელეგაციის წევრს: „ჩვენ ვამაყობთ გელათით, ამ ფრესკებით, თქვენ ატომური ბომბებით... დაიტოვეთ თქვენი ბომბები, ჩვენ გელათს ვიკმარებთო“.

გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სუფრაზე, გენიოსი პოეტისადმი მიძღვნილი ირაკლი აბაშიძის 20 ლექსიდან რამდენიმე კიდევაც გავახმოვანე აბაშიძის ხმის წაბაძვით.

საუბილეო სუფრის დამთავრების შემდეგ, უსაზღვროდ ნასიამოვნებმა, ფრთაშესხულმა ირაკლი აბაშიძემ რამდენიმე მეგობარს გვთხოვა, მის მშობლიურ ხონში წაგვეყვანა, – მინდა იქაურობას თვალი გადავავლოო. დავპირდით, მანქანით წავიდოდით და

ფოტოზე დიტო კიკვაძე

სანუკვარ სურვილს უსათუოდ შევუსრულებდით. მგზავრობის მარშრუტი განვსაზღვრეთ, სად უნდა გაგვევლო, ვინ უნდა გვენახა, ვისთან მოვაწყობდით შეხვედრას. ამ განზრახვას თითქოს წინ არაფერი ედგა. მაგრამ სწორედ მაშინ საშინლად დაიძაბა ვითარება თბილისში. დაპირისპირებას სამოქალაქო ომი და სისხლისღვრა მოჰყვა. კერპთაყვანისცემლობითა და სიძნელით გამოწვეული მაშინდელი უბედურება დღესაც მოუშუშებელ იარად რჩება ერის სხეულზე. ვითარება ულმობლად იცვლებოდა. დაიწყო გაუთავებელი ლანძღვა-გინება, ღირსეული მამულიშვილების დამცირება, სატელეფონო მუქარები, ავყიაობა, თავაშვებულება, ნგრევა და სისხლი. სწორედ ასეთმა ვითარებამ იმსხვეპლა ირაკლი აბაშიძე. იგი 1992 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა. კეთილ მოგონებად რჩება ბევრი რამ, რაც მის სახელთან არის დაკავშირებული.

1960 წელს ისრაელიდან, რუსთაველის ნაკვალევიდან, თბილისში მატარებლით მომავალ ექსპედიციის წევრებს, ბატონებს – ირაკლი აბაშიძეს, **აკაკი შანიძეს**, **გიორგი წერეთელს**, საქართველოს რადიოს „უკანასკნელ ცნობათა“ მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის, ბატონ **ნიკოლოზ აბზიანიძის** დავალებით მცხეთაში დავხვდი, რომ მატარებელშივე ჩამეწერა მათი მოგზაურობის შთაბეჭდილებები და რადიოს ღამის საინფორმაციო გამოშვებისთვის რეპორტაჟი მომემზადებინა. ჩაწერის შემდეგ ბატონმა ირაკლი აბაშიძემ გვერდზე გამიხმო და სინანულით მითხრა: „ქართულად მოლაპარაკე მათხოვარი ვნახეო“. გაკვირვება და წყენაც შევატყვე. რა იცოდა ამ ღირსეულმა პიროვნებამ, რომ გაივლიდა სულ რაღაც, სამი ათეული წელი და საქართველოში მათხოვართა და უპოვართა რიცხვი ათი ათასებს გადააჭარბებდა, ხოლო წარსულში თავმომწონე და დამსახურებული ადამიანები ნაგვის ყუთებში დაუწყებდნენ ძებნას საჭმლის ნარჩენებს. სიბრიყვეს და გაუტანლობას, სამწუხაროდ, დღესაც არ უჩანს ბოლო. ამის გაფიქრებაც კი გაუჭირდებოდა ირაკლი აბაშიძეს. იყო მცირე გამონაკლისი მწერალთა და შემოქმედებით მუშაკთა შორის, ვინც არ ემადლიერებოდა ბატონ ირაკლის, მაგრამ ისინიც ვერ უარყოფდნენ, რომ ჭეშმარიტად დიადი კაცი ბრძანდებოდა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, უჩვეულოდ მომხიბლავი...

დიდი პოეტი, ბატონი **გოგლა ლეონიძე**, ზოგჯერ საყვედურობდა ირაკლის მისდამი უპატივცემლობას. გარდაცვალების შემდეგ ირაკლი აბაშიძემ დაუვიწყარი პოეტური სტრიქონები უძღვნა ერის ამ საამაყო შვილს, მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ბუმბერაზს. შეგახსენებთ ერთ სტროფს ამ ლექსიდან:

როგორ ატყვია უშენობა
ამ შემოდგომას,
ამ ზეცის შეცვლას,
დღის მოკლებას,
მზის შემოკვდომას.
თითქოს ჩვენს მთებში
პასტერნაკის ეფრინოს დემონს –
მცხეთის, ავჭალის,
ტაბახმელის წაეღოს გემოც.

ვის ძალუძს, თუ არა ჭეშმარიტ პოეტს, მეგობრის მსგავსი დატირება?

მწერალი მწერალზე

ჯემალ მეხრიშვილი

ჯადოსნური ბილიკები



2009 წლის აგვისტოს დასაწყისში მეუღლესთან ერთად თიანეთის რაიონის პაწია სოფელში ცოლისდასა და ქვისლთან გავემგზავრე, რათა ცოტა ხნით მაინც გავქცეოდი დედაქალაქის ხვატს. მართალია, თბილისურ პაპანაქებას კი გადავემალე, მაგრამ ბედისწერას – ვერა: იქ მგზავრობისას სამარშრუტო ტაქსის უკანა სავარძელზე ნაპოვნ – შემთხვევით დავიწყებულ თუ ვიღაცის მიერ გადათვალიერების შემდეგ მიგდებულ – ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ ივლისის ცინცხალ ნომერში ნება-უნებურად წავიკითხე დებიუტანტ **ინა არჩუაშვილის** ერთადერთი მოთხრობა **„ბილიკი“**, რომელმაც ისე მომხიბლა, სულ თავდაყირა გადამიტრიალა ჩემი სამუშაო გეგმები და აქედან, არ დაგიმალავთ, გამაღიზიანა კიდეც, ვინაიდან სულ ახალბედა ავტორის ჯადოსნურ საუფლოში ტრიალი მინდოდა, საკუთარ მოთხრობებს კი გულს ვეღარ ვუდებდი!

თუმც მალევე ამეხილა თვალი: აქ საკითხი ეხებოდა არა იმდენად უცნობ თანამოკალმეს, რამდენადაც ჩემს კაცობასა და მწერლურ სინდის-ნამუსს – განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას გულწრფელად გავუზიარებდი მკითხველს თუ ამ პატარა მოთხრობით ნაფეთქ უსაზღვრო სიხარულს ეგოისტურ-არამზადულად გულშივე მოვგუდავდი და საკუთარ ცნობიერებას საშიში და განუკურნავი სენის – შურის დამღით დავიშანთავდი.

დასასრულ, ბედისწერის მაცდულ კლანჭებში მოქცეულმა ნათლად რომ ვიგრძენ, ამდენი ყოყმან-ჯიუტობით დრო უსარგებლოდ იკარგებოდა და სანამ ინა არჩუაშვილზე აზრს არ გამოვთქვამდი, მანამ ჩემს ჩაფიქრებულ მოთხრობებს დაწერა კი არა, დაწყებაც არ ეწერათ, მაშინ კი შვებით ამომესუნთქა და ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობის ფარგლებში მთელი გატაცებით ჩავუჯექი ამ სტატიას.

აზრის თამამად გამოთქმას მიადვილებს შემდეგი გარემოება. ქართულ მწერლობაში მე პატარა კაცი, ერთი უმნიშვნელო პროზაიკოსი ვარ. ამიტომ, ცხადია, ჩემს მოსაზრებებს კანონის ძალა ან მისი პრეტენზია კი არა, მხოლოდ შთაბეჭდილების გაზიარების ხასიათი ექნება.

* * *

ჩემი აზრით, ინა არჩუაშვილის სახით ქართულ მწერლობაში მოვიდა თვითმყობადი ტალანტი, რომლის მსგავსს, აგერ, უკვე ოციოდე წელია, რაც მოთმინებადაშრეტილი ელოდა მავანთაგან საბედისწეროდ წაქეზებულ-წახალისებულ გრაფომან-ეპიგონ-პორნოავტორთა თავაწყვეტილი ურდოების მიერ დახვავებული უსახური ტექსტებით გაქსუებულ-სისხლგამშრალი მკითხველი.

ახალბედა მწერალი აი, როგორ იწყებს თავის მოთხრობას.

„ჩვენ მეხუთე უბანზე ვცხოვრობდით, ბაბოჩემი და პაპაჩემი – მეოთხეზე. ჩვენი ბაღჩები ერთმანეთს მედიკო ძალოაანთ ბაღჩით იყო აცდენილი. როგორც დედაჩემი ამბობდა, მომიჯნავეები ვიყავით ჩვენ და მედიკოაანი. ბებოჩემის და პაპაჩემის ბაღჩის ბოლო კი ვანია ძიაანთ ვენახს ემიჯნებოდა“.

ამ პასაჟმა უნიკალურ ტალანტზე მიმანიშნა და ამავე დროს თან ისე მაცინა, ღმერთმანი, აღარც კი მაგონდება, ასე გულიანად უკანასკნელად როდის ვიცინე.

ვგუმანობ, ბევრი გაიკვირვებს: ეს კაცი ხომ არ გაგიჟებულა?! ჯერ ერთი, ამ ყოვლად ჩვეულებრივ ციტატაში სად ხედავს ტალანტს, ანდა აქ სასაცილო რა მოელანდაო!

ფოტოებზე
ინა არჩუაშვილი



თუ მომითმენთ და მომისმენთ, ყველაფერს თანამიმდევრულად აგიხსნით.

უტყუარი ტალანტის ურანისებური ნატეხები ირეკლება არა ერთი შეხედვით ამ მართლაც ჩვეულებრივ ციტატაში, არამედ თვით ავტორში. და აი, რატომ: იგი ჭეშმარიტად ხალასი ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, რომ ჯერ ნაწარმოების პირდაპირ ასე დაწყება მოუვიდეს აზრად, მერე საიმისო ნერვები და მოთმინება მოსდევდეს, ასე წვრილად აღწეროს და რაც მთავარია, ამავე დროს თან სწამდეს კიდეც – ეს მკითხველზეც სასურველ შთაბეჭდილებას მოახდენს!

ო, ახდენს და მერე როგორს! ღრმად მწამს – ყველას, ვისაც კი სოფლად უცხოვრია და ჰქონიათ ვენახი, ბაღჩა-ბოსტანი, ხეხილის ბაღი, სათიბ-საძოვარი, ეს გრძნეული ციტატა ელვისებურად გადატყორცნიდა იმ სანეტარო დროსა და გარემოში, ტკბილ-მწარე განცდით გაახსენებდა, სად ვინ ემიჯნებოდათ, თითოეული მომიჯნავე რას წარმოადგენდა და ვისთან რა გადახდენიათ!

სიცილის მიზეზი კი წმინდა წყლის პიროვნულია და შეიძლება ამან სხვას ღიმიც კი ვერ მოჰგვაროს. მოთხრობის პირველივე პასაჟმა ელვისებურად ასეთი სურათი წარმომადგენინა. მთელი თანამედროვე ქართველი გრაფომან-ეპიგონ-პორნოავტორები სასწრაფოდ რომ შეეგროვებინათ ერთად – სანიმუშოდ უნდა წაგიკითხოთ ინა არჩუაშვილის შედევრული მოთხრობაო. ვრცელ, გაჭედილ დარბაზში ბუზის გაფრენაც გაიგონება. სულგანაბული მსმენელები მოუთმენლად ელიან დაწყებას. და აი, მხატვრული კითხვის დიდოსტატმა შთამაგონებლად ჩაათავა წეღან მოყვანილი ციტატა. უნებლიეთ სწორედ მაშინ წარმომიდგა იმედგაცრუებული მსმენელების გულწრფელად გაკვირვებულ-გახეტებული სახეები და მათ გულებში გავლებული სავარაუდო მსჯელობა, რამაც სიცილად მაქცია. „რაო! ვენახებიო?!. ბაღჩებიო?!.. ეს არის შედევრული მოთხრობა?! კი მაგრამ, ვის რაში დააინტერესებს, მავანის ვენახი თუ ბაღჩა საიდან იწყებოდა და ვის ბაღ-ბოსტანს ებჯინებოდა თუ ემიჯნებოდა?! და საერთოდ, რაღაც ვენახების, ბაღჩების, ბაღჩის ბოლოსა და მიჯნების გაუთავებელი ხსენებით როგორ უნდა გახდე მწერალი?!“

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მათი არშინით თუ მივუდგებით, უცბად რომ გახდე **მწერალი** და თანაც **პოპულარული მწერალი**, რაღაც ვენახებსა და მიჯნებზე კი არ უნდა წერო, არამედ გონებასუსტ წაქეზებულ ბავშვივით ურცხვად იხავლო: ფალოსი!.. პენისი!.. საშო!.. სექსი!.. პრეზერვატივი!.. გაუპატიურება! – თანაც მდაბიური დასახელებით!.. ქვეყანა რომ ააღელვო და საკუთარ თავზე აყაყანო, შენს მკვდრადშობილ ტექსტში უხვად უნდა მოსჩქეფდეს წრეგადასული ჟარგონისა და უწმაწურ სიტყვა-თქმათა ნიაღვარი!.. ლაფში უნდა ამოსვარო ერისკაცები, ისტორიული პიროვნებები და სამშობლოსათვის თავშეწირული წმინდანები!.. ეჭვქვეშ დააყენო და საქილიკოდ გახადო ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა პერსონაჟების რაინდობა, კაცთმოყვარეობა, მეგობრობა, მანდილოსნური სისპეტაკე!..

საბედნიეროდ, ამგვარ მქისესუნიან ლიტერატურულ წუმპესთან ინა არჩუაშვილს არაფერი აკავშირებს: ის ქართულ მწერლობასა და მკითხველთა გულებში შემოდის თავისი მადლიანი კალმით გაკვალული ბილიკით.

„ბილიკი აქ ისეთი გამოკვეთილი და სწორი აღარ იყო, მაგრამ ერთგან მაინც კარგად ემჩნეოდა წლების განმავლობაში გატკეპნილი ვიწრო ზოლი, რომელიც ხან სწორად მიდიოდა, ხანაც დიდი, გაფართხული თხილების ძირში უჩინარდებოდა და ისევ ჩნდებოდა. მარჯვენა მხარეს გვერდით ჩაუვლიდი ბებერ ხეჭეჭურსა და მის ქვეშ მდგარ, უფრო სწორედ, სოკოსავით ამოსულ ცემენტის რკინისფეხიან მრგვალ მაგიდას, რომელსაც რკინისავე ბრტყელი სალტე ჰქონდა შემოვლებული. წინ და უკან ბევრი რომ არ ევლო, ბაბოჩემი ამ მაგიდაზე აგროვებდა ძირს ნაყარ (უნდა იყოს ძირნაყარ ჯ. მ.) ხილს, ჭყინტ სიმინდს, სხვადასხვა ბოსტნეულს და შებინდებისას, ბაღჩაში საქმეს რომ მოითავებდა, ყველაფერი ერთ წაღებაზე მიჰქონდა შინ“.

აქ კალმის ერთი ჯადოსნული მოსმით არის დახატული არა ავტორის ანდა ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარი ბებია, არა მარტო ქართული ყოფა, სული და ხასიათი, არამედ თვით ის კურთხეული ძირები, რაზეც აღმოვცენდით, რამაც დღემდე მოგვიყვანა, რაზეც დღესდღეობით ჯერ კიდევ ვდგავართ, რის გამოცლასაც ასეთი გააფთრებით ცდილობენ ბნელეთის მოციქულები და რომლის შესანარჩუნებლადაც თვით სიცოცხლე არ უნდა დავიშუროთ!

„ფურცლიდან მიწა ოდნავ მაღლდებოდა, ასე ნახევარი მეტრით. ბორცვზე რამდენიმე ნაბიჯს აადგამდი, მარჯვნივ გაუხვევდი და იწყებოდა ბაბოჩემისა და პაპაჩემის სახლისკენ მიმავალი ბილიკი. ამ ბილიკზე წინ და უკან სიარულსა და სირბილში გაირბინა ჩემი, ჩემი დისა და ჩემი ძმის ბავშვობამ. თუმცა ჩვენი ძმა ჩვენზე ბევრად უმცროსი იყო და დღეს, როცა მესიზმრება ეს ბილიკი ან ვიხსენებ ბავშვობას, სრულიად მარტოს ან მხოლოდ ჩემს დასთან ერთად ვხედავ მასზე მიმავალ საკუთარ თავს. შვიდი-რვა წლისები ვართ. სკოლაში არდადეგები დაგვეწყო და გახარებულები გადასწრებაზე მივრბივართ ბილიკზე – ვინ პირველი ჩაუკაკლავს ბაბოს და პაპას ახალ ამბავს. ხან ერთს აგვიცდება ფეხი და ხნულში გადავცვივდებით, ხან – მეორეს. ტანზე დედაჩემის შეკერილი ჩითის ჭრელი კაბები გვაცვია, თმებიც ერთნაირად მოკლედ გვაქვს შეკრეჭილი, როგორც ყოველ გაზაფხულს, ყურში კი მაშინდელივით ცხადად ჩამესმის ვენახში მომუშავე პაპაჩემის ხმა: „ჰაი, ინოო, მიბრუნდი ერთი, წყაროდან ცივი წყალი მომირბენინე...“

აბა, რაღა ვთქვა ან ამ უკვდავ სურათს როგორ ვკადრო თავშესაწყენი კომენტარები?! მხოლოდ ამასღა ვიტყვი: აქ უამრავი აღელვებული მკითხველი დაინახავდა თავის საკუთარ ბავშვობასაც, ვინაიდან ახალბედა მწერალმა ქართული ვენახის ეს ერთი ჩვეულებრივი ბილიკი ხალასი ნიჭის წყალობით თვალსა და ხელს შუა აქცია ჩვენს განუმეორებელ ბავშვობაში მიმყვან ჯადოსნურ ბილიკად!

არადა, რა ჰიპნოზური მიზიდულობა აქვთ ამ პაწია მოთხრობის დაქსაქსულ ბილიკებს!

„ფართო, ხის ჩარჩოთი შეკრული მავთულის ბადის კარში გახვიდოდი თუ არა... სულ სხვანაირ ბილიკზე იდექი. ეს ისევ იმ ბილიკის გაგრძელება იყო, მაგრამ თან დამოუკიდებელი. უფრო კოხტად, ლარივით გაჭიმული კარიდან კარამდე. ბაღჩის ამ ნაწილში ბაბოჩემსა და პაპაჩემს ბოსტნეული მოჰყავდათ. აქ მიწას გუთნით არასოდეს ხნავდნენ, სულ ბარითა და თოხით ამუშავებდნენ. ამიტომ ბილიკი ყოველთვის საგულდაგულოდ და ფაქიზად იყო გვერდზე ჩამოსწორებული. მასზე მიმავალს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს-ესაა ზღვაში გრძელი ნავით შეცურე და მიწის შავი ბელტები აქეთ-იქიდან გეხლებიანო. თუ გვიანი გაზაფხული იდგა და მთელი ბოსტანი სარზე ასული ლობიოს იისფერნარევი თეთრი ყვავილებით ერთიანად იყო გადაპენტილი, ხომ თავი შუაგულ სამოთხეში გეგონებოდა. მთელ ამ მშვენიერებას ემატებოდა წითლად მოელვარე ღაჟღაჟი, რომელსაც ბაბოჩემი ხახვთან ერთად ულამაზესი კოპწია კვლების გარშემო ჩათესავდა ხოლმე“.

მადლობა უფალს და ჩვენს სალოცავებს! ბოლო წლების ამდენი თავაწყვეტილი პორნოგრაფიული, გრაფომანულ-ეპიგონური და ვითომდა დიდ მწერალთა სინტაქსდაჯღანული უნიჭო, უსაგნო და უშედეგო, თითებიდან გამოწოვილი გულშესაღონებელი აბდაუბდის შემდეგ უახლეს ქართულ ლიტერატურაში კვლავ ვიგრძენით კურთხეული ქართული მიწის მადლი და სურნელი, თვალ-გული გაგვიხარა და იმედის ნაპერწკალი ჩაგვიკვესა ასეთი ცოცხალი, უტყუარი ფერებით დახატულმა ჩვენი გამრჯე მოხუცების მიერ ნალოლიავები მამულის კუნჭულმა!

„ბილიკის მარცხენა მხარეს, საიდანაც მედიკოაანთ ბაღჩა ბაბოჩემისას ემიჯნებოდა, შავი ღოღნაშო ქლიავის ძირში იდგა იმ გარემოსთვის ოდნავ



შეუფერებელი, ვარდისფრად შეღებილი რკინის სკამსავარძელი, რომელზეც დაღლილი ბაბოჩემი და პაპაჩემი, თუ არა ციოდა, საათობით ისხდნენ ხოლმე ერთმანეთის გვერდით“.

აქ ცრემლის მოგვრამდე მშობლიური და საყვარელია ეს **„იმ გარემოსთვის ოდნავ შეუფერებელი“,** აქა-იქ ნათრევი რკინის საკმსავარძელი, რომლის მსგავსი ჯაბახანა რამ ბევრი ჩვენთაგანის ბაღ-ვენახშიც მდგარა ან ახლაც დგას და, რომელშიც, აგერ, ერთმანეთის გვერდიგვერდ ქრისტეს მტრედებივით მსხდარან მთავარი პერსონაჟი გოგონას პაპა-ბებია. მთელი მოთხრობის მანძილზე მწერალი მათ ისეთი გაუხუნარი საღებავებით ხატავს, რომ თავისთავად იმაზე მეტიც გეჯერებათ, რის დარწმუნებასაც თვით ავტორი ცდილობს: საათობით კი არა, არსთა გამრიგეს გამონაკლისი რომ დაეშვა, ისინი, ალბათ, მთელი მარადისობაც კი ასე გვერდიგვერდ ტკბილად ისხდებოდნენ და ბევრი ჩვენთაგანის მსგავსად ერთმანეთი მაინც არ მობეზრდებოდათ, ვინაიდან ისინი შეაკავშირა სიყვარულმა, ქართულმა გენმა და სინდის-ნამუსმა, ღვთისადმი მოკრძალებამ, თავიანთ მონაგარზე ფიქრმა და ზრუნვამ, განუწყვეტელმა ოფლის ღვრამ, მარჩენალ მიწასთან ბრძნულმა ურთიერთობამ.

მწერლის ოსტატობით წაცდენილმა მკითხველმა შეიძლება წინ გაუსწროს მოვლენებს და თავისით ნაადრევი დასკვნა გამოიტანოს: ერთმანეთს ტკბილად შებერებული მოხუცებიდან, ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი გარდაიცვლება, მეორე კი საფლავზე მდუმარე სიდარბაისლით მიაყრის პირველს მუჭა მიწასო. მაგრამ...

პირველი ყველასთან პირნათელი პაპა გარდაიცვლება.

„საწყალი ბაბოჩემი ამ დროს წნევადარტყმული და ფეხმოტეხილი, თუმცა გრძნობაზე მყოფი, მეორე ოთახში გაუნძრევლად იწვა. დროდადრო კედელზე ხელის რტყმითა და ხმამაღალი ამოკვნესით პაპაჩემს აქედან გაეხმიანებოდა ხოლმე. უმეტესად კი თავისთვის იყო გატრუნული ლოგინში და ჭერში უაზროდ აცეცებდა ცრემლდამშრალ თვალებს“.

ო, რა მწარე და უსამართლო დასასრულია – წნევადარტყმულმა და შემთხვევით ფეხმოტეხილმა, გაუნძრევლად მწოლიარე დედაბერმა თავის საყვარელ ბერიკაცს ცრემლი ვერ დააპკურა, უკანასკნელ გზეზე ვერ გააცილა და ერთი პეშვი მიწაც ვერ მიაყარა! შეძრული მკითხველი აქ შეიძლება კიდევ ერთხელ შეცდეს, თუმც ამაში დასაძრახი არაფერია: ასეთი უბედურება-უიღბლობის შემდეგ ოჯახის ყველა წევრის ყურადღება, სითბო და სიყვარული სულ ამ ფეხმოტეხილ ბებიას დაეცრებაო! მაგრამ ვინ განჭვრეტს საწუთროს სიმუხთლეს?!

„პაპაჩემის შემდეგ წესით მისი რიგი უნდა დამდგარიყო, მაგრამ... სრულიად საღ-სალამათი მამაჩემი ავარიაში მოყვა და მისმა გარდაცვალებამ ისედაც გაუბედურებულ ბაბოჩემს კიდევ უფრო გაუმწარა დარჩენილი სიცოცხლე; სიკვდილი სანატრელად ექცა და მამაჩემის ორმოცამდე რამდენიმე დღით ადრე დაისვენა კიდეც საწყალმა. წესიერად ვერც კი გამოვიგლოვეთ. ვიღას ჰქონდა მისი თავი, მამაჩემის შემდეგ დახოცილები ვიყავით“.

ღმერთო, მკაცრი სინამდვილის რა გამაოგნებლად ობიექტური შეგრძნება და მხატვრული ჭვრეტის როგორი შეუმცდარი ალღო! წამით ვიბნევი კიდეც, ვინაიდან უეცრად ვეღარც გავრკვეულვარ, აქ ვინ მელაპარაკება: ახალბედა ავტორი თუ თავისი ოსტატობის მწვერვალზე მყოფი ლევ ტოლსტოი – **„წესიერად ვერც კი გამოვიგლოვეთ. ვიღას ჰქონდა მისი დარდი!“.** აქ მანდილოსანი მწერალი თაყვანისცემას იმსახურებს, რადგან თავისი მწერლური თუ საოჯახო მუნდირის „ღირსების“ დასაცავად უშნო მხატვრულ კეკლუცობას არ მოჰყვა და ხელოვნური მოკოხტავება-შერბილება არ დაუწყო ამ მოულოდნელი გულშემზარავი ტრაგედიით გამოწვეულ განწყობილებას. მართლაც ვიღას ექნებოდა ბებიის დარდი, როცა ავარიაში დაიღუპა ოჯახის მარჩენალი კაცი:

დაობლდა სამ-სამი არასრულწლოვანი და-ძმა, დაქვრივდა ახალგაზრდა დედა, უპატრონოდ დარჩა იმოდენა ფუტკარი, მუხთალმა წუთისოფელმა თავზარდაცემულ ჭირისუფლებს დამცინავად აჩვენა თავისი ყოვლისმძლეობა და მომაკვდინებელი ბრჭყალები...

ინა არჩუაშვილი გაუხუნარი შტრიხებით გვიხატავს სულით ხორცამდე ქართველი გოგონას სულიერ სამყაროს და მისი ზრდა-განვითარების ლირიკულ პროცესს.

„კუბოს გარშემო ერთმანეთზე მიტყუპებული სკამების გრძელ მწკრივში სწორედ იმ ადგილას ვიჯექი, საიდანაც ზამთარში რკინის გრძელი საჩხრეკით პაპაჩემი ღუმელს უჩიჩხინებდა ხოლმე. უცებ სრულიად მოულოდნელად ამომიჯდა გული და ტირილით იმ ამბების ხმამაღლა მოყოლა დავიწყე, რომლებზეც ბოლო დღეებში განუწყვეტლად ვფიქრობდი: ვყვებოდი მინდვრიდან პაპაჩემის მოტანილ, კონებად შეკრულ ყაყაჩოებსა და სურნელოვან დასტამბოებზე; იმაზე, თუ მუხლებზე წამოსკუპებულ მე და ჩემს დას ზღაპრების სანაცვლოდ როგორ გვავარცხნინებდა პაპა შემეჩხერებულ თეთრ თმას ყავისფერი პატარა სავარცხლით, რომელსაც ვაზის სამყნობ დანასთან ერთად მუდამ ჯიბით დაატარებდა; ბაღჩიდან როგორ ბავშვივით მოარბენინებდა ჩვენთვის ხეივანზე აქა-იქ დამწიფებულ ადრეულა ყურძნის კუფხალებს და კიდევ იმაზე, რომ სიცოცხლეში ვერ ვუთხარი, თუ ბოლო დროს ნაავადმყოფარი, თავისი საყვარელი ორჯიბიანი სატინის ხალათით ეზოში მოფარფატე როგორ ჰგავდა რომელიღაც პატარა, გალეულ ჩიტს.

აი, ასე გამოვემშვიდობე პაპაჩემს ჩემი პირველი და ვინ იცის, უკანასკნელი ხმით ნატირალით, რადგან მერე ვერც მამაჩემისა და ვერც ბაბოჩემის ხმით დატირება ვეღარ შევძელი“.

იმდენი შველა მე, რამდენი ცრემლმორეული მანდილოსანიც ამ უკვდავ პერსონაჟში საკუთარ ყმაწვილქალობასა და ბიოგრაფიას დაინახავს!

სიკვდილმა სააქაოდან შავეთში ერთმანეთის მიყოლებით წაიყვანა ჩვენი ნორჩი გმირის პაპა, მამა, ბებია... მშობლიური კერა რომ არ გამოყრუებულიყო, სადღაც გათხოვილი ერთ-ერთი ქალიშვილი გადმობარგდება დედ-მამის ბინაში. მაგრამ...

„მალე ორმოციც გავიდა და დეიდაჩემიც ისევ გადაბარგდა ქმრის სახლში. თავიდან თითქმის ყოველდღიურად გადმოდიოდა, სახლს გაანიავებდა, ლოგინებს გამოამზეურებდა და საღამოს ისევ უკან ბრუნდებოდა. მერე ნელ-ნელა უკლო სიარულს, ხან რამდენიმე კვირა და თვე ისე გავიდოდა, აქეთ არც კი გამოიხედავდა. ასე თანდათანობით, ბაბოჩემისა და პაპაჩემის სახლი საბოლოოდ გამოყრუვდა და გაცივდა... იდგა გარინდებული ოდესღაც სიცოცხლით სავსე და აღარავის ხიბლავდა შიგნით შესვლა. იქ მარტოყოფნა დიდად არც მე მსიამოვნებდა, მაგრამ ზოგჯერ დღისით სახლის კარიდან მაინც ჩამოვხსნიდი უცხო თვალის მოსაჩვენებლად ტყუილად ჩამოკიდებულ ბოქლომს, ჩამოვჯდებოდი მაღალ „კუშეტკაზე“, რომელზეც ბაბოჩემის საყვარელი, უკვე ალაგ-ალაგ ჩრჩილისგან ამოჭმული ჭრელი ფარდაგი იყო გადაფარებული და ვიხსენებდი ბავშვობისა და ყრმობის საუკეთესო წლებს. ზუსტად არ მახსოვს, ბაბოჩემის სიკვდილის შემდეგ რამდენ ხანში დაიწყო სახლის გაყიდვაზე ლაპარაკი. დაიწყო და აღარც დამთავრებულა, სანამ ბოლომდე არ მივიდა საქმე“.

კმარა, მეტს ვეღარ გამაბრიყვებს ვიღაც ინა არჩუაშვილი, რომელსაც ღმერთის მიერ დაწერილი, ბიბლიის სადარ საქართველოს უახლესი ისტორიიდან განსაცვიფრებელი კადნიერებით ამოუჭრია ეს პასაჟი, თამამად მოუწერია საკუთარი გვარ-სახელი და იმედოვნებს, რომ მართლა მის ნაღვაწად მივიჩნევთ!

რა გამაოგნებელი მხატვრული სიღრმე და სიზუსტე! ადამიანური სევდის,



ამაოებათა ამაოების და დღევანდელი სასტიკი სინამდვილის რა სულის შემძვრელი განცდა და დამაჯერებელი გადმოცემა! თავს თითქმის მთელი თვე ვიწვალებდი და ვამოწმებდი – ხომ არ მეჩვენება მეთქი. არ ვიცი, იქნებ მართლაც მეშლება, მაგრამ რამდენი ჩავუფიქრდები, მუდამ ერთი და იგივე მსგავსება ამომდის – ნიკოლოზ გოგოლისა და ნიკო ლორთქიფანიძისებური ხალასი ნიჭიერება!..

ერთი სიტყვით, მოსახდენი მოხდება – მშობლიურ კარ-ფუძეს გაყიდიან! ერთ მშვენიერ დღეს კი მეზობელ რაიონში გათხოვილი ერთ-ერთი ქალიშვილი ამოქანდება და სასწრაფოდ შეყრილ ნათესაობას წუხელ ნანახი სიზმრით ნუსხავს: მშობლები ვენახში დაბინდებამდე ისხდნენ, მაგრამ შინ მაინც არ მიდიოდნენ – წასასვლელი აღარსადა გვაქვს, სახლი შვილებმა გაგვიყიდესო!

ამას მოსდევს ფორიაქი, ფიცი, დაპირებების სეტყვა: სანთლები ავანთოთ და მშობლების ხსოვნას ბოდიში მოვუხადოთო... მათ საფლავებზე ხშირ-ხშირად ვიაროთო... ვინ იცის, იქნებ სახლ-კარიც გამოისყიდონ!... მერე?

„მერე კი ეს დღეც და ყველა მათი შეუსრელებელი დანაპირებიც მშვიდად ჩაიბარა წარსულმა და ცხოვრება კვლავ ძველი გზით წავიდა. ახლა უკვე აღარც სიზმრებში აწუხებენ ბაბოჩემი და პაპაჩემი შვილებს. ისინიც, ოჯახებზე თავგადაკლულები, მოუცლელები და დაღლილები, წელიწადში ერთხელ, აღდგომისთვისღა თუ დაატყობენ თავიანთ ნაფეხურებს მშობლების საფლავებს. ისიც მზიან ამინდში, თორემ თუ წვიმა ან ავდარია, მათ სახელზე გამომცხვარი პასკაც სახლში იჭრება და შესანდობარსაც შინავე, წითელი კვერცხებით აჭრელებულ სუფრასთან სვამენ“.

ეს მარტო იმ ერთი ოჯახის კი არა, ათასგვარი ჭირ-ვარამითა და უსახსრობით ილაჯგაწყვეტილი ყველა ქართული ოჯახის საერთო სურათია.

მოთხრობა მთავრდება ბავშვობის გახსენებით, რომელსაც დროთა ვითარებაში, ალბათ, კლასიკად აღიარებენ.

„ზოგჯერ, გაზაფხულობით, როცა ჩვენს ბაღში ქალის იები აყვავდება, მავთულის ღობესთან მდგარი ისევ ცხადად ვხედავ ბილიკზე მიმავალ საკუთარ თავს. შვიდი-რვა წლისა ვიქნები. ხელში წყლით სავსე ალუმინის ორლიტრიანი ბალონი მიჭირავს და ვენახში მომუშავე პაპაჩემთან ცივ-ცივ წყალს მივარბენინებ. ვჩქარობ, ამიტომ ამოშხეფებული წყლისგან კაბის კალთა ერთიანად ჩამოლუმპული მაქვს, მაგრამ ეს არ მადარდებს, თბილი ნიავის ერთი წამობერვა და მაშინვე გაშრება. მთავარია, მეორედ არ დავაძახებინო, მთავარია, არ ეგონოს, რომ დამეზარა და განგებ წავუყრუე.

არადა, ახლა რას არ მივცემდი, რომ კიდევ ერთხელ გამეგონა ეს ხმა, მეოთხე უბნიდან მეხუთემდე ქარისგან მოტანილი: ინოოოოოო, ჰაი, ინოოოოოოოოოო...“

* * *

ინა არჩუაშვილის სახით ჩვენს მწერლობაში მოვიდა წმინდა წყლის ქართული ცნობიერების, შეგნების, მოქალაქეობრივი სინდისისა და მწერლური პატიოსნება-პასუხისმგებლობით სავსე, სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე ღრმად დაფიქრებული პიროვნება. სწორედ ამიტომაცაა, რომ მის ამ პატარა მოთხრობაში ყველაფერი: პერსონაჟები, მათი ხასიათი, ჩვევები, ვნებები, ნაკლი, ღირსება, მიხრა-მოხრა... ქვევრ-მარანი, ბაღ-ვენახები, ბოსტნის კვლები, ხილის ფერი და გემო, ყვავილთა სურნელი... ადამიანთა გლოვა, მწუხარება თუ სიხარული სუფთა ეროვნულია, ქართული, სულის შეძვრამდე მშობლიური, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყოდი ბოლო წლებში დაგროვილი ქართული მხატვრული პროდუქციის დიდ ნაწილზე, სადაც გვარ-სახელებისა და გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდების გარდა სხვა არაფერია ქართული! უფრო მეტიც: ზოგჯერ გეჩვენებათ, რომ სახელდახელოდ შეხანხლული ესა თუ ის ე. წ. რომანი

ან მოთხრობა მართლა ცოცხალმა ადამიანმა, თანაც ქართველმა კი არ დაწერა, არამედ ექსპერიმენტის სახით მოშლილ რობოტს დააწერინეს, მკითხველთა გასაბრიყვებლად კი არარსებული ქართველი ავტორის გამოგონილი გვარ-სახელი მიუწერეს!!! **„ბილიკს“** კი ისეთი განსაცვიფრებელი კუთრი წონა აქვს, რომ ბოლო წლებში შექმნილ ბევრ ქართულ რომანსაც კი შეშურდება, რომლის წაკითხვის შემდეგ მკვრივი ყდის, ავტორის პოზიორული ფოტოსურათის, ძმაკაცის მიერ დაწერილი სახოტბო წინასიტყვაობისა და თვალის ამაჭრელებელი ფერადი გრაფიკული გაფორმების მეტი არაფერი შეგრჩებათ ხელში.

„ბილიკმა“ ცხოველი ინტერესი გამიღვიძა თვით ავტორის პიროვნებისადმიც: ვინ არის ინა არჩუაშვილი, სადაურია, რა განათლებისაა ან ახლა სად ცხოვრობს და აქვს თუ არა ყოფა-ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის პირობები? და რაც მთავარია, როგორი ურთიერთობითაა დაკავშირებული ოჯახის წევრებთან, ნაცნობ-მეგობრებთან, სანათესაოსთან?

ვიცი, ბევრი გაიკვირვებს: ეს კაცი რაებს იძახის – დებიუტანტის გარემოცვასთან რა ხელი აქვს, აქ ისინი რა შუაში არიანო?!

ეჰ, რამდენი ქართველი მანდილოსანი მოიძებნება, უმნიშვნელო მიზეზით უარი რომ უთქვამს დაოჯახებაზე, პირად მიზნებსა და ბედნიერებაზე და რაღაც ამოუხსნელი თავგადადებით უშედეგოდ გადაჰყოლია მავანსა და მავანს!..

მე არ ვიცი, ამ მხრივ რა ვითარებაა ჩვენს გამორჩეულ ავტორთან, მაგრამ მის სამეგობრო-სანათესაოს მოკრძალებით ვთხოვ: ინა არჩუაშვილს ხელს თუ ვერაფრით შეუწყობენ, ხელს მაინც ნურაფერში შეუშლიან! თავად დებიუტანტმაც უნდა გამოიჩინოს რკინის ლედისებური სიმტკიცე და ცივილიზებულად მოიწესრიგოს ეს ურთიერთობები: ყველასთან დროულად დადოს სამართლიანობაზე, ურთიერთპატივისცემასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული „საზავო ხელშეკრულება“ და მთელი ძალისხმევით მიეცეს ლიტერატურულ მუშაობას იმის ღრმა შეგნებით, რომ თავისი ხალასი ნიჭი ქართულ მწერლობას, საქართველოს ეკუთვნის და მას არა აქვს მორალური უფლება ქარ-წყალს გაატანოს ეს ნიჭიერება...

* * *

დასასრულ, ავტორის ფოტოსურათსაც შევეხები, ვინაიდან სწორედ მისმა იშვიათმა ბუნებრიობამ და შინაგანმა მოკრძალებამ მიმიზიდა და წამაკითხა „ბილიკი“.

დააკვირდით: ზოგიერთივით ის სულაც არ ცდილა, თავისი გარეგნული პოზიორობით ვინმე მოეხიბლა. თუმცა მეც რას ვლაპარაკობ – ეს რომ ჰქონოდა განზრახული, მაშინ მკითხველ საზოგადოებას როგორ წარუდგებოდა ერთობ უსახური, თანაც მაღალყელიანი შავი სვიტერითა და სოფლელი ქალის მოსახდენი გულხედაკრეფით?! ფოტოზე არც ბეჭედი, ბროში, მძივი, საყურე ან რაიმე თავსამკაული იხილვება – ეტყობა, ის ამგვარ ზინზილებზე უფრო მაღლა დგას!.. ის კი არა, დებიუტანტის მიმზიდველი გარინდება მიგვანიშნებს – ფოტოაპარატის გაჩხაკუნების მომენტშიც კი თითქოს მაინც თავის მოთხრობებზე ეფიქრებაო.. ახალგაზრდა თანამოკალმის გვერდზე ბუნებრივად ოდნავ გადახრილმა თავმა უნებლიეთ ჯანსაღი, სიმწიფეშეპარული ნაყოფით დახუნძლული ტოტი მომაგონა... გაბანტულ ტუჩებსა და სწორნაკვთებიან მშვენიერ სახეზე ძველქართველური პატიოსნება, დათმენა და შინაგანი წესრიგიანობა ატყვია, ხოლო ბინდდაკრული კილოიანი უპეებიდან მსუბუქი სევდითა და უმანკოებით მაცქერალი დიდი, მეტყველი თვალებით თითქოს 1916 წელს თბილისელი ფოტოგრაფ კლარის მიერ გადაღებულ სურათზე აღბეჭდილ ნიკო ფიროსმანაშვილის თვალებს ენათესავება...

თეატრი



ფოტოზე რეზა სერვატი

თამარ კიკნაველიძე

რეზა სერვატის „მაკბეტი“ საქართველოში
თანამედროვეობის განმსაზღვრელი წარსული

ნაწილი I

26 მაისს თბილისში ირანული თეატრალური დასი ჩამოვიდა და 2 ივნისამდე რამდენიმე რეგიონი მოიარა. MAX თეატრის წარმომადგენლებმა **უილიამ შექსპირის** „მაკბეტის“ მიხედვით გაცოცხლებული წარმოდგენა შემოგვთავაზეს. თავდაპირველად სპექტაკლს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა (ყოფილი „თეატრალური სარდაფი ვაკეში“) უმასპინძლა, შემდეგ სამეფო უბნის თეატრმა, სადაც წარმოდგენა 25 წუთიანი სპექტაკლების ფესტივალ „არდიFEST“-ის ფარგლებში აჩვენეს, მოგვიანებით კი ახალგაზრდა ირანელი რეჟისორის, **რეზა სერვატის** „მაკბეტი“ ფოთის, ბათუმის და ჭიათურის თეატრებშიც გათამაშდა.

ამ წარმოდგენამ მაყურებლის ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. მისი საქართველოში ჩვენება იმითაც გამოირჩეოდა, რომ სპექტაკლმა ირანული თეატრისადმი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების „იმედები“ არ გაამართლა. მათ აღნიშნეს, რომ პროფესიონალებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა სცენოგრაფიით, ქორეოგრაფიით, საშემსრულებლო და სარეჟისორო ხელოვნებით, მუსიკალური გაფორმებით გამორჩეული დადგმა შემოგვთავაზა. ეს არ იყო სასმელი ალკოჰოლის გარეშე, როგორადაც ირანულ თეატრს მოიხსენიებენ ხოლმე და ისლამური რესპუბლიკის მოთხოვნების გათვალიწინებით გაცოცხლებულ „მაკბეტში“ შემოქმედებითი ჯგუფის ახლებური აზროვნებაც გამოიკვეთა.

თანამედროვე თეატრი ირანში ტრადიციებს ეფუძნება და მისი შესწავლისას გასათვალისწინებელია ის, რაც განსხვავებული მსოფლმხედველობითა და ადათ-წესებით გამორჩეული ხალხისთვის არის დამახასიათებელი. საქართველოში ჩამოსულ ირანელებთან ურთიერთობისას უკეთ გავეცანი მათ ფოლკლორს (სულ მღეროდნენ), ხასიათს, საქმისადმი დამოკიდებულებასა და შემოქმედებით შესაძლებლობებს, რომლებსაც თეატრალურ ხელოვნებაში მაქსიმალურად იყენებენ. ვისი მოწვევით ჩამოვიდნენ ისინი საქართველოში? ვინ დაუჭირა მხარი პროექტის განხორციელებას? როგორი წარმოდგენა შემოგვთავაზეს? როგორ ჩაიარა მათმა გასტროლმა საქართველოში? რა პრობლემები გამოიკვეთა პროექტის განხორციელებისას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მომავალ წერილში ვეცდები. აქ ორიოდე სიტყვით შევეხები ირანის თეატრალურ ხელოვნებასა და მისი განვითარების თავისებურებებს, რათა პარალელები გავავლოთ წარმოდგენასთან, რომელიც საქართველოში ჩამოიტანეს.

რატომ აღმოჩნდა ქართველი ირანოლოგებისთვის რეზა სერვატის „მაკბეტი“ სიურპრიზი? ამის არაერთი მიზეზი არსებობს. თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტმა შეძლო სათქმელი ისეთი გამომსახველობითი ხერხებით გადმოეცა, რომ პირობა, რომელიც ირანში არსებობს და ქალის სცენაზე თამაშის შემთხვევაში სერიო-

ზულ შეზღუდვებს გულისხმობს, სათავისოდ გამოიყენა. მასთან ლედი მაკბეტს მამაკაცი, **მაჰმუდ აღაზადე** განასახიერებს, მაგრამ რეჟისორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მაკბეტისა (**ჰესამ მანზური**) და ლედი მაკბეტის ურთიერთობა ერთი სქესის წარმომადგენლებისას არ გავს (ამაზე წერილის მეორე ნაწილში ვისაუბრებ) და კიდევ, რეზა სერვატიმ მინიმალისტური ხერხებით მაქსიმუმს მიაღწია, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა მუსიკაზე, რომელსაც ორი მუსიკოსი (**ბამდად აფშარი და რუზბეჰ შაჰგალდი**) ცოცხლად ასრულებდა. სპექტაკლში ვიგრძენი ირანული კინემატოგრაფიის გავლენაც, მაგრამ როდესაც ირანული ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები გამახსენდა, მივხვდი, რომ სადა გარემოში ჩასმული პერსონაჟის, სიუჟეტის მთავარი გმირის განსხვავებულად გამოსახვა და მისი შინაგანი განცდის, ემოციისა და გრძნობის დანახვა დამახასიათებელია ზოგადად ირანული ხელოვნებისთვის. იქ ტრაგედიის გადმოცემა და ტრაგიკულის დატირება განსაკუთრებით ეხერხებათ. ეს „მაკბეტშიც“ იგრძნობოდა და ერთგვარი დამაკავშირებელი ძაფი იყო წარსულთან, რომლითაც ირანი „საზრდოობს“.

ირანის თეატრალურ ხელოვნებაზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით ნაციონალურ-რელიგიურ წარმოდგენებს, სახელწოდებით თააზია, რომელიც **იმამ ხუსეინის** მოწამეობრივი სიკვდილის უკვდავსაყოფად იმართება. ცხოვრებასა და სიკვდილზე აგებული მისტერიები კამერული წარმოდგენებია, რომლებიც ჯერ ქუჩაში ეწყობოდა, შემდეგ კი დახურულ სივრცეში გადატანეს. ირანული თეატრის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ თააზიას შექმნაში მონაწილეობდა ხალხი და არა ხელისუფლება... ლექსის ფორმით მოწოდებული ტექსტი სამეტყველო ენასთან არის მიახლოებული. მაყურებელმა რელიგიური თემატიკის სხვადასხვა სიუჟეტის დასასრული კარგად იცის. ამის მიუხედავად, ასეთი ტიპის წარმოდგენები მნახველზე იმდენად დიდ ზემოქმედებას ახდენს, რომ ყველა ინტერესით ადევნებს თვალს. მასში განსაკუთრებული როლი ენიჭება მუსიკას, რომელიც ტრაგედიის შეგრძნებას აძლიერებს. ირანში სიმღერის გარეშე ვერც ერთ წარმოდგენას ვერ ნახავთ. ქალებისთვის აუდიტორიის წინაშე გამოსვლა და სიმღერა კი ცუდ ტონად ითვლება. ეს ერთ-ერთი

ფაქტორია, რის გამოც ქალებს მამაკაცები განასახიერებენ.

ირანულ სცენაზე ქალებთან დაკავშირებით აკრძალვები არსებობს: მსახიობი ქალისთვის დაუშვებელია მამაკაცთან ინტიმური კონტაქტი, ხელის ჩამორთმევაც კი... მას არ უნდა უჩანდეს თმა, რასთანაც გამკლავება იმაზე რთულია, ვიდრე ალკოჰოლთან ან ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ აკრძალვებთან. არ შეიძლება თმის გაშლა, სამაგიეროდ დაშვებულია ნებისმიერი ზომისა და ფორმის ქუდის, პარიკის ტარება. ირანში არ არსებობს სპექტაკლები პრეზიდენტზე და ქვეყნის მმართველებზე. იქ პოლიტიკური სატირა მიუღებელია.

ირანის უფრო შორეულ წარსულს თუ გავიხსენებთ და რამდენიმე ისტორიკოსის მოსაზრებასაც გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ირანული თეატრალური ხელოვნება მჭიდროდაა დაკავშირებული ე. წ. „მსოფლმხედველობის თასსთან“. ეს მაგიური საგანი ოპტიკური წარმოდგენის პროგრესზე მეტყველებდა. გადმოცემის თანახმად, ის ისე იყო დამზადებული, რომ მოძრაობისას განსხვავებულ გამოსახულებათა ჩრდილებს ქმნიდა. რამდენიმე ისტორიკოსისა და კრიტიკოსის მოსაზრებით, ეს თეატრალური საგანი რეალურად არსებობდა. თასში გამოსახულებათა ჩვენების ხელოვნებაზე ირანში ესპანელი ისტორიკოსი **კუენკაც** კი წერს წიგნში „კინემატოგრაფიის ისტორია“...

თეატრალური წარმოდგენების კვალი მისი დამთავრებისთანავე ქრებოდა და რჩებოდა მხოლოდ მისი ლიტერატურული ასპექტი, ანუ პიესა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც საუკუნეების განმავლობაში სპარსეთს დაატყდა თავს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი ისტორიულ-კულტურული და ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი დაიკარგა.

ისევ თააზიას რომ მივუბრუნდეთ, თეატრალური წარმოდგენის ყველაზე უნიკალური ფორმა ირანში რელიგიური გრძნობისა და განცდის გამომხატველია. იმ ადამიანებისთვის კი, რომლებიც რელიგიისგან შორის არიან, თააზია საინტერესო სანახაობაა, რადგანაც მასში შერწყმულია შემსრულებელთა გასაოცარი სილამაზის ხმები, მათი სცენაზე გადაადგილების დინამიკა და სულიერების განცდა... ჩვენი ირანოლოგების მსგავსად რუსეთშიც გაოცდნენ, როდესაც იქ, რამდენიმე წლის წინათ, ირანელი რეჟისორი ქალის, **ჩისტა იასრების** მიერ **თეოდორ დოსტოევსკის** „დანაშაული და სასჯელის“ მიხედვით გაცოცხლებული სპექტაკლი ნახეს. სპექტაკლი განსაკუთრებულიაო, აღნიშნავდნენ დარგის სპეციალისტები, რომლებმაც რუსული კლასიკის ფესტივალზე ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი სწორედ ამ დადგმის მთავარი როლის შემსრულებელს, **მახსა მახჯურს** გადასცეს.

ირანული წარმოდგენის ნახვისას ირანული თეატრის ისტორიის ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ მიხვდე თუ რა არის შენარჩუნებული



და მოდერნიზებული წარმოდგენებში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ცნობილია, რომ 1978 წლიდან ირანი მასობრივმა დემონსტრაციებმა მოიცვა. 1979 წლიდან ირანის შაჰმა ქვეყანა იძულებით დატოვა და დაბრუნდა **რუჰოლა ჰომეინი**, რომელსაც ქვეყნის არმიამ დაუჭირა მხარი. 1979 წლის 1 აპრილიდან ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ქვეყანა დაუბრუნდა შარიათის ნორმებს, პირბადეს (ჩადრს) და ურწმუნოებისადმი შეუწყნარებლობას. 1989 წელს ჰომეინი გარდაიცვალა და ირანში აკრძალვები შემსუბუქდა. თუმცა, ისლამური რესპუბლიკის რევოლუციამ ისეთი ინსტიტუტების დეგრადირება განაპირობა, რომლებიც ევროპული აზროვნების განვითარებას უწყობდა ხელს.

დღეისათვის ირანის თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს თეატრალური ხელოვნების ცენტრს, რომელიც რამდენიმე მიზნის განსახორციელებლად შეიქმნა. თავისი მოღვაწეობის პირველი წლები ცენტრმა სამომავლოდ განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვას მოანდომა. მისი მთავარი პრიორიტეტი იყო საზოგადოებაში ნაციონალური თეატრისადმი ინტერესის გაღვივება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდა მწერლებსა და მსახიობებს, მხარი დაუჭირა რეგიონალურ თეატრებს, განათლების საკითხს, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის ფესტივალების ჩატარებას. ამის საუკეთესო მაგალითია ქვეყნის მთავარი თეატრალური ფესტივალი, სახელწოდებით „ფადჟრ“, რომელიც ტრადიციულად თეირანში ტარდება. მისი მსვლელობისას ჩანს, რომ ირანის თეატრალურ ხელოვნებაში ახალგაზრდა მწერლებისა და დრამატურგების მოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, 1990 წელს თეირანის თეატრალურ სცენაზე დადგმულ 159 პიესას შორის 138 ირანული იყო, მათი უმრავლესობის ავტორი კი რევოლუციის შემდგომი პერიოდის თაობის წარმომადგენელი გახლდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ირანში დრამატურგია ცალკე ისწავლება. მის სტუქტურასა და აგების სპეციფიკაზე აქტიურად მუშაობენ სტუდენტები, რომელთა პედაგოგებიც პროფესიონალები არიან. მათ შორის გამორჩეულია ცნობილი ირანელი დრამატურგი **მუხამადის ჩარმშირი**, რომელიც სხვადასხვა გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დრამატურგად ქცევის პროცესი რთულია. თუმცა, შეხვედრია ისეთებსაც, რომლებიც ვერასოდეს იფიქრებდნენ თუ ოდესმე კარგ დრამატურგიულ ნაწარმოებებს შექმნიდნენ. ასეთი სტუდენტებით პედაგოგი ამაყობს. მისი მუშაობის კურსი და მეცადინეობები სასწავლო დაწესებულების მიერ გათვალისწინებული განრიგით არ შემოიფარგლება. საქართველოში კი უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ახალგაზრდები თეატრალურ ხელოვნებას უეფლებიან, დრამატურგიის ფაკულტეტი გაუქმებულია. ამის შედეგია ისიც, რომ ქართული დრამატურგია უკანა პლანზეა გადაწეული, ქართული დრამატურგიის ნიმუშები კი, ძირითადად, დაუსრულებელ ხასიათს ატარებს. ეს რომ სერიოზული პრობლემაა, ამას 28 მაისს დასრულებული 25 წუთიანი სპექტაკლების ფესტივალიც მოწმობს. „არდიშთ“-ის ჟიურიმ საუკეთესო დრამატურგიული ნამუშევრისთვის განკუთვნილი პრიზი ვერ გასცა, რადგან თვალი ვერ დახუჭა პრობლემაზე, რომელიც სცენაზე გასაცოცხლებლად განკუთვნილი ნაწარმოების შექმნის სპეციფიკის არცოდნას ითვალისწინებს. ამ საქმის დამაკმაყოფილე-



ბლად შემსრულებელი წლევანდელი ფესტივალის მონაწილეთა შორის არ მოიძებნა და რა გარანტია გვაქვს, რომ სიტუაცია გამოსწორდება თუ საკითხს სერიოზულად არ მივუდგებით?!.

ჩარმშირის დრამატურგიული ნაწარმოებების გამაოგნებელ მონოლოგებსა და დიალოგებში გამოყენებულია ვოკალური „ილეთები“. მისი ნამუშევრები რეჟისორებს ინტერპრეტირების საშუალებას აძლევს. თანამედროვე ირანული თეატრის ისტორიაში შესული ცნობილი სპექტაკლები, მაგალითად: „აღდგომა“, „მონასტერი“ და „მაკბეტი“ სწორედ მისი პიესების მიხედვით განხორციელდა. დრამატურგი შეეხო ისეთ თემებს, როგორიცაა: ჭეშმარიტება, ცოდვა, ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსადმი და ღმერთისადმი. ის კლასიკურ სიუჟეტებს ახლებურად იაზრებს. „მაკბეტში“ მან წინა პლანზე წამოსწია ცოდვა და მისი ზემოქმედება, ზეწოლა ადამიანზე. „მაკბეტის“ ისტორია განსხვავებულად გაიაზრა რეზა სერვატიმ, რომელმაც ყურადღება პიესის პირველ ნაწილზე გაამახვილა. ცალკეული სცენების გამოყოფა და ფრაგმენტულად აღქმა – ესეც ირანული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშანია. ამ ხერხით ავტორი ძალიან კონკრეტულს უღმავდება და ფართო პლანით გაჩვენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ რეზა სერვატი გამარჯვებულია ზემოთ ნახსენები „ფადჟრ“ ფესტივალის, რომელზეც კითხულობენ ახალ პიესებს, ექსპერტებს აჩვენებენ სპექტაკლებს, წერენ სტატიებს ნაციონალურ ჟურნალში („ირანი ნამაიეშ“), ატარებენ სტატისტიკურ გამოკვლევებს, მაყურებელს ავსებინებენ ანკეტებს და პროფესიონალები ყოველდღიურად განიხილავენ სპექტაკლებს კრიტიკოსთა კლუბში. ამ ფესტივალის ორგანიზატორია „დრამატული ხელოვნების ცენტრი“, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, ირანის თეატრალური ხელოვნების განვითარებას უჭერს მხარს. ამ ცენტრმა წვლილი ირანელების საქართველოში ჩამოსვლაშიც შეიტანა. ეს ყველაფერი კი იმის მანიშნებელია, რომ ირანში, მკაცრი შეზღუდვების მიუხედავად, თეატრალური დარგის განვითარებაზე თანმიმდევრულად მუშაობენ და ერთობლივი შრომის შედეგიც სახეზეა. რითი გამოირჩეოდა რეზა სერვატის „მაკბეტი“? რა იყო მასში შენარჩუნებული და ახლებურად გააზრებული? ამ კითხვებზე პასუხს წერილის მომდევნო ნაწილში გაგცემთ.

ფოტოებზე
სცენები სპექტაკლიდან „მაკბეტი“ (ირანი)

კონტაქტები

გვანცა ჯობავა

ასტრიდ ლინდგრენის სამშობლოში

რამდენად იშვიათი და გამორჩეული შემთხვევაც არ უნდა იყოს, შვედეთის მწერალთა კავშირი და შვედეთის ინსტიტუტი ქართველი საბავშვო მწერლებითა და ილუსტრატორებით დაინტერესდა და მალე სავსებით შესაძლებელია, რომ ქართველი და შვედი მწერლებისა და ილუსტრატორების ერთობლივი წიგნები შვედურ ბაზარზეც გამოჩნდეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთი წლის წინ, 2009 წლის მარტში თბილისში **ჰელენა ბერგენდალი** (შვედ მხატვართა გაერთიანების მმართველობითი საბჭოს წევრი) და **მარი ოსკარსონი** (შვედეთის მწერალთა კავშირის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის სექციის თავჯდომარე) ჩამოვიდნენ საგანგებოდ საქართველოში საბავშვო ლიტერატურის სფეროში ჩართული ადამიანების გასაცნობად.

მე „ელფის“ გამომცემლობიდან დამირეკეს და შემომთავაზეს შევხვედროდი შვედეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენლებს მეტად საინტერესო პროექტში მონაწილეობის მისაღებად. ზუსტად ვერც მივხვდი პროექტი რას გულისხმობდა, მაგრამ მაინც ულაპარაკოდ დავთანხმდი. ჩემი და ჰელენას შეხვედრა წიგნის სახლის ლიტერატურულ კაფეში შედგა, დაახლოებით 40 წუთს ვისაუბრეთ. მე ჩემს საქმიანობაზე ვუყვებოდი, ვუხსნიდი, რომ მწერლობა საქართველოში ძალიან არამომგებიანი საქმიანობაა, მაგრამ მაინც ჯიუტად მინდოდა შევჭიდებოდი ამ საქმეს, რადგან წერა ჩემთვის ყველაფერია. მგონი ამ ბოლო ფრაზამ ჩემი ბედი გადაწყვიტა კიდეც... შვედები იმ საღამოს უკვე სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ჰელენამ მითხრა, რომ უამრავ მწერალსა და ილუსტრატორს შეხვდა და ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი იყო. ჩაიწერა საფოსტო მისამართი და ასე დავშორდით ერთმანეთს.

გავიდა რამდენიმე თვე და ის იყო ყველაფერი თავისთავად დავიწყებას მიეცა, რომ მეილზე ძალიან მოულოდნელი და სასიხარულო წერილი მივიღე. იმ წუთიდან პროექტის ერთ-ერთი მონაწილე გავხდი სხვა ქართველ და შვედ მწერლებთან და ილუსტრატორებთან ერთად. აი ისინიც: **სანდრო ასათიანი**, **ნანა კაციაშვილი**, **მაკა მიქელაძე**, **სოფიო კინწურაშვილი**, **გვანცა ჯობავა**, **რუსუდან ყიფიანი**, **ანა ჰოგლუნდი**, **ანდერს ვესტბერგი**, **ვივეკა შოგრენი**, **მატიას დანიელსონი**, **ლილიან ედვალი**, **კაისა გორდანი**.

შემოდგომაზე შვედების დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა. ორი დღის განმავლობაში თოჯინების მუზეუმში ძალიან საინტერესო სემინარები მიმდინარეობდა.

ქართველების მხრიდან ამ პროექტის თანადგომა და მხარდაჭერა „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელებმა, **მარიამ წიკლაურმა** და **ირმა მალაციძემ** ითავეს. როგორც შვედებმა მოგვიანებით აღნიშნეს, მათ ამ ორი ადამიანის სახით საბავშვო ლიტერატურის ორი თავგანწირული და უანგარო ქომაგი იპოვეს.

ორდღიანი სემინარების შემდეგ ქართულ-შვედური პროექტის ორი ხელმძღვანელი მარი და ჰელენა და თორმეტი ქართველი და შვედი მწერალი და ილუსტრატორი ბათუმში გავემგზავრეთ და დაიწყო პროექტის ყველაზე საინტერესო ნაწილი, საბავშვო წიგნების შექმნის ცოცხალი პროცესი. ოთხ ჯგუფად დაყოფილმა მონაწილეებმა დავიწყეთ ჯგუფური მუშაობა. მუშაობის პროცესში ერთმანეთს ვუზიარებდით გამოცდილებას, იდეებს, ხშირი იყო კამათი ორი ქვეყნის განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების გამო. თუმცა

საბოლოოდ მაინც ვახერხებდით ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღებას. ბათუმში რამდენიმედღიანი მუშაობის შედეგად ოთხივე ჯგუფმა წარმოადგინა საკუთარი წიგნი, თუმცა ჯერ დაუსრულებელი სახით. ამის შემდეგ შვედებმა დატოვეს საქართველო და დაგვიტოვეს პირობა, რომ შვედეთის მწერალთა კავშირისა და შვედეთის ინსტიტუტის ორგანიზებით გაზაფხულზე კვლავ შევხვდებოდით ერთმანეთს, ოღონდ ამჯერად უკვე სტოკჰოლმში. და მართლაც 2010 წლის 6 მაისს, გამთენიისას ქართული დელეგაციის თვითმფრინავი თბილისის აეროპორტიდან აფრინდა და გეზი სტოკჰოლმისკენ აიღო. ვიყურებოდი თვითმფრინავის ილუმინატორიდან და ვფიქრობდი რაღაც ზღაპრულზე – მე ხომ პეპის სამშობლოში მივდიოდი.

გაწეული უანგარო შრომა მარიამ წიკლაურს და ირმა მალაციძესაც დაუფასდათ და ისინი ჩვენზე ადრე, 3 მაისს შვედეთის მწერალთა კავშირის სპეციალური მიწვევით ასევე სტოკჰოლმში გაემგზავრნენ. წინ უამრავი საინტერესო შეხვედრა გველოდა გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში, ინსტიტუტებში, მწერლებთან, მხატვრებთან.

როდესაც სტოკჰოლმში ჩავედი და მარიამი ვნახე, ასე მითხრა: მე და ირმამ საქართველოში 10 წლის განმავლობაში მისაღები გამოცდილება ამ სამ დღეში მივიღეთ, დავამყარეთ უამრავი კონტაქტი და ამ ადამიანებმა გვასწავლეს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისთვის საჭირო უამრავი სასიკეთო გზაო.

ძალზე საინტერესო იყო ვიზიტი შვედეთის ერთ-ერთ უდიდეს საბავშვო გამომცემლობა „raben & sjogren"-ში, სადაც თვით ასტრიდ ლინდგრენი 25 წელი მუშაობდა რედაქტორად.

ვესტუმრეთ საბავშვო გამომცემლობა „ალფაბეტასაც", გავეცანით მათ წიგნებსა და ავტორებს. სხვათაშორის გამომცემლობა „ალფაბეტას" რამდენიმე წიგნი უკვე ქართულ ენაზეცაა გამოცემული „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ.

დაუვიწყარი იყო სტუმრობა „იუნიბაკენში". ეს არის მუზეუმი, სადაც შეგიძლია პატარა მატარებლით ასტრიდ ლინდგრენის შთამბეჭდავ ზღაპრულ სამყაროში გაისეირნო. აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ პეპის სამშობლოში დავდგი ფეხი, არამედ მასთან სახლშიც კი მივედი ამ პატარა მატარებლით, კარლსონთან ერთად სახურავზეც ავედი და იქიდან გადავხედე სამყაროს. გაოგნებული ვიჯექი ვაგონში და ვფიქრობდი რამდენი ბავშვის აუხდენელი ოცნება იყო ეს! ვინატრე, რა მოხდება, მსგავსი ჯადოსნური მუზეუმი ოდესმე საქართველოშიც გვქონდეს-მეთქი. „იუნიბაკენი" აერთიანებს აგრეთვე საბავშვო თეატრს, წიგნის მაღაზიას, კაფეს. ეს არის გაცოცხლებული ჯადოსნური ზღაპარი!

ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „კულტურის სახლში" საბავშვო ბიბლიოთეკის „ოთახი ბავშვებისთვის" ხილვამ (ჩვენდა მოულოდნელად „კულტურის სახლში" წავაწყდით აფიშას ქართველი პოეტის – **ზურაბ რთველიაშვილის** ფოტოთი, წარწერები შვედურად იყო, მაგრამ აგვიხსნეს, რომ რამდენიმე დღეში ზურაბს ლექცია უნდა წაეკითხა). მარტო ამ ბიბლიოთეკის ნახვით შეგექმნება წარმოდგენა, თუ როგორ ზრუნავს შვედი ხალხი ბავშვებზე, მათ წიგნიერებაზე. ამ ოთახში ბავშვები ძალიან პატარა ასაკიდან დაჰყავთ მშობლებს და მათთან ერთად თამაშობენ წიგნებით სავსე თაროებით მოწყობილ სამყარო-

ში, ხატავენ, აფერადებენ, კითხულობენ და ასე თამაშ-თამაშით აყვარებენ თავის პატარებს წიგნებს.

გვქონდა შეხვედრა ხელოვნების ინსტიტუტშიც, რომელიც განსაკუთრებით შთამბეჭდავი ჩვენი მხატვრებისთვის აღმოჩნდა, თუმცა არამარტო მათთვის. აქვე გავიცანით ქართველი სტუდენტი ნინო ბინიაშვილი, რომელიც უკვე დამამთავრებელ კურს ასრულებს. მან თავისი სადიპლომო ნამუშევარი გაგვაცნო.

ბათუმში დაწყებული ვორქშოფის გასაგრძელებლად სპეციალურად გავემგზავრეთ შვედეთის ერთ-ერთ კუნძულზე, არნოში, დავსახლდით სკანდინავიური უმაღლესი სასწავლებლის შენობაში, სადაც მშვიდ გარემოში, ულამაზესი ბუნების წიაღში შევუდექით მუშაობას. შედეგი ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. გარდა იმისა, რომ ყველა ჯგუფმა წარმოადგინა თითო წიგნი, მათ უკვე ახალ წიგნებზეც დაიწყეს მუშაობა და რადგანაც მათ დასასრულებლად საკმარისი დრო არ რჩებოდა, შევთანხმდით, რომ სამომავლოდ ინტერნეტით ვითანამშრომლებდით უამრავი საინტერესო პროექტის განსახორციელებლად.

ამის შემდეგ დავბრუნდით სტოკჰოლმში, სადაც შვედეთის საბავშვო ლიტერატურის ინსტიტუტში ლილემურ ტორსტენსონის მასპინძლობით გაიმართა საღამო ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ. სამი ქართველი – სანდრო ასათიანი, მაკა მიქელაძე და სოფიო კინწურაშვილი – შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგნენ და ქართულ საბავშვო ლიტერატურასა და საკუთარ შემოქმედებაზე მოუთხრეს მას.

გამოსამშვიდობებლი საღამო სტოკჰოლმში, მწერალთა კავშირის შენობაში გაიმართა. საღამოს პროექტის ორგანიზატორებთან, პროექტის მონაწილეებთან, შვედ მწერლებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი და ქართველი სტუდენტი ხელოვნების ინსტიტუტიდან მეუღლესთან ერთად.

ეს იყო ძალიან ამაღელვებელი საღამო. შვედებმა უამრავი საჩუქარი გვისახსოვრეს, მათ შორის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი პეპის ულამაზესი თოჯინა იყო. ნინო ბინიაშვილი განცვიფრებული გვეუბნებოდა, რომ შვედეთში სამწლიანი ცხოვრების განმავლობაში ასეთი ემოციური შვედები თვალით არ ენახა. ჩვენ კი ვთქვით, რომ ამ ადამიანებმა ჩვენს თვალში დაამსხვრიეს ჩრდილოული სიცივის მითი და მათი სახით ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები შევიძინეთ. თანამშრომლობა კი გრძელდება...

12 მაისს ქართველების თვითმფრინავი სტოკჰოლმის აეროდრომიდან აფრინდა. თვითმფრინავის ილუმინატორიდან მე და ჩემი მეგობარი პეპი ქალაქის ხედს გადავყურებდით. პეპი საქართველოში გამომყვა...

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
ვლადიმერ პერანიძე
ბადრი ტალახაძე
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22